პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდ მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—53
) ღამის მორიგეს 18—88.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- შეტაკება პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე.
- გერმანიის კომპარტიის სამზადისი არჩევნებისათვის.
- საბჭოთა სამეურნეო ორგანოების მუშაობა სპარსეთში.
- პოლონეთში პესიმისტურად აფასებენ გერმანიასთან მოლაპარაკების პერსპექტივას.
- ამერიკის აეროპლანების თავდასხმა გენ. სანდინოს ბანაკზე ნიკარაგუაში.
- სპარსეთ-თურქეთის მოლაპარაკება.
- სპარსეთის მთავრობამ დაითხოვა ამერიკელი მრჩევლები.
- საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება
- 13 ტურისტის დაღუპვა ტიროლის მთებში (ავსტრია).

პარასკევი, 23 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 68 (2111)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მთავარი ამოცანები

საგაზაფხულო თესვის კამპანია სულ უფრო ფართოდ იშლება. სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მასში ებმება მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ასეთი ცხოველი ინტერესი სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ თესვის წარმატებით ჩატარების მთელ მნიშვნელობას ერთი მხრით, მეორე მხრივ იმ სიძნელეებს, რომლებიც ამ მხრივ აღმართულია ჩვენს წინაშე.

ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ ყოფნიდა თავისი პურეული, ხოლო მისი ნაკლებობა მიმდინარე წელს უფრო საგრძნობი შეიძლება შეიქნეს, ვინაიდან შარშან შემოდგომაზე ნაადრევი ზამთრის გამო დაუთესავი დარჩა მიწის მნიშვნელოვანი არე 23500 ჰექტარი. ეს დანაკლისი უნდა შევავსოთ და დაუთესავად არ დავტოვოთ არც ერთი ნაჭერი გამოსადეგი მიწა — ასეთია საგაზაფხულო თესვის კამპანიის უპირველესი ამოცანა. მხოლოდ ამ ამოცანის სავსებით გადაჭრით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის და ქალაქის მოსახლეობა პურეულის საჭირო რაოდენობით.

ამასთან, მიწის ძველებური წესით დამუშავება, თუნდაც დაითესოს მისი მთელი არსებული სივრცე, შესაფერ ეფექტს ვერ მოგვცემს. საქმე ისაა, რომ ჩვენში მიწის მოსავლიანობა მეტად დაბალია, რაც გამოწვეულია გლეხობის აგრონომიული უცოდინარობით და სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობით. აქედან — მოსავლიანობის რაც შეიძლება მაქსიმალური გადიდება — ეს კამპანიის მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვენი ყურადღება თესვის დროს მიქცეული იქნება არა მარტო ხორბლეულზე, არამედ არა ნაკლებ ტეხნიკურ, სამრეწველო კულტურებზე, რომელთა განვითარება ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაშლის ძირითად პირობას წარმოადგენს. მიმდინარე თესვის კამპანიამ საგრძნობლად უნდა გააფართოვოს ნედლეულის ბაზა მრეწველობისათვის. კერძოდ ჩვენი რესპუბლიკებისათვის, რომელიც მიწის დიდი სიმცირით ხასიათდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტეხნიკურ კულტურების გავრცელებას თავისი მაღალი ღირებულების და შრომის დიდი ტევადობის გამო.

გლეხის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდება და სამრეწველო კულტურების განვითარება ნიშნავს მთელი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციას, მის მაღალ ტეხნიკურ ნიადაგზე გადაყვანას. თესვის კამპანია უნდა ჩატარდეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საერთო ლოზუნგის ნიშნით.

მთელი ეს მუშაობა უნდა დაკავშირებულ იქნეს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციასთან. აშკარაა, რომ გლეხურ მეურნეობათა შემდგომი განვითარება, შესაძლებელია გლეხობის პირველ ყოვლისა შეკავშირების, მისი საწარმოო პროცესების გაერთიანების ნიადაგზე. ჩვენ მტკიცე კურსი გვაქვს აღებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე, მის სოციალისტურ გარდაქმნაზე, და თესვის კამპანიაც ამ კურსთან უნდა იყოს შეფარდებული.

რა პრაქტიკული ღონისძიებები უნდა მივიღოთ აღნიშნულ ამოცანების განსახორციელებლად? ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება რომელსაც შეუძლია თესვა შეაფერხოს, არის სათესი მასალის ნაკლებობა. მეორე დაბრკოლებაა —მუშა-საქონლის სიმცირე, რომელიც განსაკუთრებით მწვავეა დღეს, ვინაიდან ხანგრძლივი ზამთრისა და საკვების უქონლობის გამო მრავალი პირუტყვი დაიხოცა. სოფლის მოსახლეობისათვის სათესლის დარიგების, ამ სათესლის და მუშა-საქონლის შესაძენად კრედიტების მიწოდების მხრით უკვე გადადგმულია საჭირო ნაბიჯები. ასევე მიღებულია ზომები ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, აგრეთვე მინერალური სასუქით გლეხობის მოსამარაგებლად. თავის თავად ცხადია, რომ სოფლის მეურნეს გაეწევა დახმარება აგრონომიულ რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელობით მანქანების გამოყენების დროს.

მთელი ეს დახმარება, ცხადია, პირველ ყოვლისა უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს, სხვადასხვა ამხანაგობებში გაერთიანებულ მიწის მუშებს, ღარიბ და მასთან ახლო მდგარ საშუალო გლეხობას. გადაჭრილი ზომები უნდა იქნეს მიღებული კულაკების ცდასთან, რომ ხელთ იგდონ სახელმწიფოს მიერ მშრომელ გლეხობისათვის დანიშნული შეღავათები. ამავე დროს ეჭვი არ არის, რომ კულაკები და მევახშეები შეეცდებიან გამოიყენონ თესვასთან დაკავშირებით ღარიბ გლეხობისათვის შექმნილი სიძნელენი მისი ეკონომიური დამონების მიზნით. ამას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

დიდი როლი აწევთ თესვის კამპანიაში კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობებს. მათ არამც თუ თვითონ სათანადოდ უნდა დაამუშავონ თავის განკარგულებაში მყოფი მიწები, არამედ ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ახლო-მახლო სოფლებს რჩევით თუ საჭირო იარაღების და მასალების [illegible].

სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის ჩვენ უნდა აღვნიშნოთ გლეხკომების განსაკუთრებული მოვალეობა თესვის კამპანიაში. წითელ არმიელთა ქვრივ-ობლების და სხვა შეუძლო ოჯახებს ისინი უნდა დაეხმარონ მიწის დამუშავებაში საერთო ძალებით და საშუალებებით.

თესვის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. საჭიროა მოსამზადებელ კამპანიის დაჩქარება. ყველაზე მეტად გვავნებს აქ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ „ზოგიერთი დაწესებულებები და უწყებები გულგრილად ეკიდებიან კამპანიის ჩატარებას და სახაზინო მიწერ-მოწერით ფარგლავენ თავის მუშაობას ამ მიმართულებით“ (თესვის კამპანიის ა.-კ. რწმუნებულის განცხადებიდან). ასეთი მოვლენები ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი. საჭიროა პარტიულ ორგანიზაციების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სხვა სათანადო ორგანოების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრით ფხიზელი კონტროლის დაწესება, რათა თესვის კამპანიის ჩატარებისათვის გამომუშავებული ღონისძიებანი დროზე და სისწორით განხორციელდეს და რათა ყოველმა დაწესებულება-ორგანიზაციამ თუ ცალკე მუშაკმა პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობანი.

განიარაღების პროლეტარული პროექტი

საბჭოთა წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ განუწყვეტელი მსჯელობის საგანს შეადგენს ევროპის ბურჟუაზიული გაზეთების ფურცლებზე. ამჟამად ისინი განიხილავენ არა მარტო საბჭოთა წინადადებებს, არამედ გერმანიის და თურქეთის დელეგაციის „მოულოდნელ“ გამოსვლებს. განსაკუთრებით გაცოფებულია საფრანგეთის რეაქციონური პრესა, რომელიც ხან „გაცოფებას“, ხან „სიბრაზეს“, ხან „შიშიანობას“, ხან „იმედის გაცრუებას“ გამოსთქვამს იმ მისალმებათა გამო, რომლებიც თურქეთის და გერმანიის დელეგატების მხრივ გაისმა საბჭოთა კავშირის წინადადების მიმართ. საფრანგეთის შავრაზმელი კალმოსნები გესლსა და ნაღველს ანთხევენ „საბჭოთა მელისა“ და „გერმანული ბოქლის“ შესახებ (ამ „მხატვრულ“ შედარებაში საფრანგეთის იმპერიალიზმს, ალბად, აკუთვნებენ „ცხვარის“ როლს). თხზავენ სასაცილო თეორიებს „ყოველი სახის იმპერიალიზმის“: გერმანიის, ამერიკის, საბჭოთა და სხ. „შეთქმულების“ შესახებ. მთელ ამ ტუტუცურ თეორიებს თხზავენ იმისათვის, რომ მდგომარეობის დახლართვით და წყალის ამღვრევით როგორმე გვერდი აუხვიონ პასუხს საბჭოთა წინადადებაზე, რომელიც მოითხოვს ყველა სახელმწიფოების სავსებით განიარაღებას განსაზღვრული ხნის განმავლობაში.

საფრანგეთის „ცხვრები“ აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი სცდილობს „მოსპოს დასავლეთის სახელმწიფოები“-ო. ასეთი განცხადება უდრეკად დიდი თავხედობაა იმ პირთა მხრივ, რომელთა მისწრაფების საგანს შეადგენს საბჭოთა კავშირის მოსპობა, რისთვისაც ისინი განუწყვეტლივ აწარმოებენ ცილისწამების კამპანიას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არავითარ საშუალებებს, ქურდულ საშუალებებსაც კი არ ერიდებიან ამ მიზნის მისაღწევად, რასაც ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს ელემენტები შეეცადენ ხელში ჩაეგდოთ ამერიკაში გატანილი საბჭოთა ოქრო. გამყიდველი პრესის უსირცხვილობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება, როცა იგი გაიძახის „საძაგელ ანტიმილიტარისტულ პროპაგანდაზე“ (არ არის საძაგელი, ალბად, მილიტარისტული პროპაგანდა), როცა „მშვიდობიანობის საფრთხედ“ აცხადებს იმ პირთა მოქმედებას, რომლებიც გადამჭრელ და კონკრეტიულ ნაბიჯებს სდგამენ საყოველთაო განიარაღებისათვის.

გაბრაზება გერმანიის დელეგაციის გამოსვლის გამო, რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივია იმათ მხრივ, ვინც გერმანიას ენერგიულად აქეზებდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაფუჭებისაკენ (ჯერ კიდევ ამ დღეებში ჰქონდა ადგილი ასეთ წაქეზებას, რისთვისაც საბაბად გამოიყენეს გერმანელი ინჟინერების დაპატიმრებასთან დაკავშირებული ინციდენტი). ძნელი არ იყო იმის გათვალისწინება, რომ ლიტვინოვის სიტყვა და გერმანიის და თურქეთის დელეგაციების გამოსვლა ძალიან გააბრაზებდა ინგლისის წარმომადგენელს ერთა ლიგის მოსამზადებელ კომისიაში, ლორდ კუშენდენს.

კომისიის სხდომაზე ამ ლორდმა ასეთი „გამანადგურებელი არგუმენტი“ წამოაყენა: „საბჭოთა პროექტს მხედველობაში აქვს საერთაშორისო ომების მოსპობა, მაგრამ არაფერის არ ამბობს სამოქალაქო ომების შესახებ“. მოლაყბე „ჯენტლმენი“, რომელსაც ენა უსწრებს წინ, ალბად ვერ მიხვდა, რომ მან თავისი თავი გამოთრახა, როცა ლაპარაკი ჩამოაგდო „სამოქალაქო ომებზე“. მხოლოდ იმ მთავრობებს, რომლებიც თავისი ქვეყნის შიგნით ემყარებიან ხიშტებს, და რომელთაც მუდამ აშინებს მასიური აჯანყების საფრთხე, შეუძლიათ წინ აღუდგენ განიარაღებას სამოქალაქო ომების შესახებ მოსაზრებათა გამო. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, რამდენი სიცრუეც არ უნდა ილაპარაკოს კუშენდენმა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა ხელს უწყობს „სამოქალაქო ომებს“ სხვა ქვეყნებში, და როგორი ფანტასტიური ჭორებიც არ უნდა გაავრცელოს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ „ჩიჩერინის მოხსენებისა“ და სხვადასხვაგვარ „წერილების“ შესახებ, — ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ, თავისი გადამჭრელი და ნათელი წინადადებით საყოველთაო განიარაღების შესახებ, დაამტკიცა, რომ მხოლოდ იმპერიალიზმის მხრივ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხე აიძულებს საბჭოთა სახელმწიფოს იყოლიოს არმია და ფლოტი, და რომ ვინაიდან საბჭოთა მთავრობას მხარს უჭერენ თავისი ქვეყნის მშრომელნი, მას არ სჭირდება არმია და ფლოტი „შინაური საჭიროებისათვის“, რომელიც აუცილებელია იმპერიალისტურ სახელმწიფოების მთავრობებისათვის.

ლორდ კუშენდენმა დასახა „ევოლიუციონური გზა“, რომლითაც უნდა წავიდეს განიარაღების საქმე. მისთვის სასურველი „ევოლიუციის“ ილუსტრაციისათვის ორატორმა მაგალითად მოიყვანა ერთა ლიგა, „რომელიც 7 წელიწადია მუშაობს განიარაღების საკითხზე“. ამ გზით ლიგას შეეძლო ევლო არა შვიდი, არამედ ასი წელი, რომლის განმავლობაშიაც იგი გამართავდა არა 120, არამედ მრავალ ათას სხდომას, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკითხი განიარაღების შესახებ, ისევ ძველ მდგომარეობაში იქნებოდა, ვინაიდან ეს საკითხი, ასე ვსთქვათ, „ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას“ (იაპონიის დელეგატის გამოთქმა).

საბჭოთა წინადადება, იმპერიალისტური მთავრობების სამწუხაროდ, მასებისათვის მსჯელობის საგანი გახდა, სწორედ ისეთ მომენტში, როცა მთელი რიგი დიდი ევროპიული სახელმწიფოები დგანან ახალი საპარლამენტო არჩევნების წინ. ამით აიხსნება ის გაათკეცებული გაბრაზება, რომელიც გაისმის იმპერიალისტური გაზეთების წერილებში და დიპლომატების სიტყვებში. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება ყველასათვის, რომ ანტანტის ქვეყნების მთავრობები ატარებენ შეიარაღებათა გადიდების მტკიცე პოლიტიკას და რომ ერთა ლიგის „მუშაობას“ განიარაღებისათვის, აქვს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა დეკლარატიული მნიშვნელობა. ევროპის ქვეყნები, რომლებიც ანტანტამ განაიარაღა ვერსალის ზავის პირობების მიხედვით, განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან; ეს მდგომარეობა ამ ქვეყნების ბურჟუაზიას საშუალებას აძლევს განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირონ განიარაღების საკითხში. ამ პოზიციის პოლიტიკური აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობებმა შეინარჩუნონ ამომრჩეველთა პაციფისტური ფენები. ამ მხრივ საგულისხმოა ავსტრიის ბურჟუაზიული გაზეთის „ნეიე ფრეიე პრესი“-ს პოზიცია, რომელიც სრულიადაც არ ეთანხმება საბჭოთა დეკლარაციას განიარაღების შესახებ არსებითად, მაგრამ უარყოფით დამოკიდებულებას ლიტვინოვის წინადადებისადმი, უწოდებს „უდიდეს სისულელეს“ და აყენებს ისეთ ტაქტიკას, რომლის მიზანია გამოსტაცოს ხელიდან ბოლშევიკებს „აგიტაციის საინტერესო იარაღი“. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას არავითარ შემთხვევაში არ ეშინია ამ ტაქტიკის, ვინაიდან საბჭოთა პროექტის აშკარად განხილვა დაეხმარება მასებს იმაში, რომ დაინახონ ამ პროექტის ნამდვილი პროლეტარული არსება, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ, და ნათლად გამოააშკარავებს ყოველგვარი სახის ბურჟუაზიული პაციფიზმის სიყალბეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ მილიტარისტებმა და იმპერიალისტებმა ვერ მოახერხეს გვერდი აევლოთ საბჭოთა პროექტისათვის. მათ ნება - უნებლიედ უნდა გამოეთქვათ თავისი დამოკიდებულება ამ პროექტისადმი. სწორედ აქ ირკვევა, რომ საბჭოთა წინადადება მოულოდნელი იყო მათთვის. მათი ლაპარაკი საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ ნათლად ააშკარავებს იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებას, ხოლო საბჭოთა წინადადებანი კი ყველასათვის ნათელს ხდის საბჭოთა კავშირის პროლეტარულ ბუნებას.

„პრავდა“, 22 მარტი.

საბჭოთა განიარაღების პროექტის განხილვა ჟენევაში

ამხ. ლიტვინოვის სიტყვამ ნიღაბი ჩამოგლიჯა იმპერიალისტებს

დიდი და პატარა იმპერიალისტები „არარეალურათ“ თვლიან საბჭოთა პროექტს

საბჭოთა პროექტის განხილვა

პროექტის მიჩქმალვა ვერ შესძლეს

ჟენევა, 21 მარტი. ლიტვინოვის გამოსვლამ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში დაარღვია კომისიის ხელმძღვანელთა პირვანდელი გეგმა, რომლის მიხედვით მათ სურდათ განიარაღების საბჭოთა პროექტის თავიდან მოშორება მისი მიჩქმალვის და რომელიმე ქვე-კომისიაში გადაცემის გზით. პროექტის მიჩქმალვის მაგიერ 20 მარტს დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მოუხდათ გამოსვლა იმ მიზნით, რომ გაექარწყლებიათ ლიტვინოვის სიტყვით მოხდენილი ძლიერი შთაბეჭდილება. 21 მარტის სხდომა მთლიანად მიეძღვნა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა გამოსვლებს ლიტვინოვის სიტყვის და საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ.

„მიუწვდომელი“ იდეალი

პირველად გამოვიდა იტალიის წარმომადგენელი გენერალი მარინისი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა პროექტი „წარმოადგენს განიარაღების იდეალს და ამიტომ საჭიროა რათა წინასწარ ცხოვრებაში გატარებულ იქნეს იდეალური უშიშროების პირობები, რაც განუხორციელებელია დღევანდელ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაში“.

„არა განიარაღება, არამედ შეიარაღების შეზღუდვა“

საფრანგეთის წარმომადგენელმა კლოზელმა გაიმეორა მარინისის არგუმენტები და განაცხადა, რომ საბჭოთა პროექტი სცილდება კომისიის წინაშე დასმულ ამოცანის ფარგლებს, ვინაიდან კომისია მიზნად ისახავს „არა განიარაღების, არამედ შეიარაღების შეზღუდვის“ პროგრამის შემუშავებას. კლოზელის აზრით საბჭოთა პროექტი განხილულ უნდა იქნეს წინად წარმოდგენილ სხვა პროექტებთან ერთად და მათთან ერთნაირ საფუძველზე.

კუშენდენი გაბრაზებულია

კლოზელის შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ლორდი კუშენდენი, რომელმაც საათ ნახევარი ილაპარაკა. საერთო შთაბეჭდილებით, კუშენდენის სიტყვაში აშკარად გამოიხატა მისი გაბოროტება იმის გამო, რომ საბჭოთა პროექტი ირჩევა კომისიის ღია სხდომაზე. მთელი მისი სიტყვა აგებული იყო იმ შემცდარ მოსაზრებაზე, თითქოს საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა ულტიმატუმი საბჭოთა პროექტის მთლიანად მიღების ან უარყოფის შესახებ. კუშენდენმა გაილაშქრა ამ მოგონილ ულტიმატუმის წინააღმდეგ, დაწვრილებით გაარჩია საბჭოთა პროექტის ცალკე მუხლები და განაცხადა, რომ პროექტი „არ შეიძლება მიღებულ იქნეს სერიოზული განხილვის გარეშე“.

საბჭოთა პროექტის გარჩევის დროს კუშენდენი ცდილობდა პროექტში გატარებული აზრის გადამახინჯებას. მან ვერ შეიკავა თავი აგრეთვე ჩვეულებრივ რეაქციონერთა თავდასხმებისაგან საბჭოთა კავშირზე და ბრალი დასდო საბჭოთა დელეგაციას იმაში, რომ მას სურს „ერთა ლიგის მუშაობისათვის საბოტაჟის გამოცხადება“, ვინაიდან საბჭოთა პროექტი „ყოველთვის ლაპარაკობს ხალხების შესახებ და ერთხელაც არ ახსენიებს ერთა ლიგას, რომელიც უკვე 7 წელიწადია მუშაობს განიარაღების საკითხზე და რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა“. ეყრდნობა რა „იზვესტიას“ წერილს, კუშენდენი ამტკიცებს აგრეთვე, რომ საბჭ. დელეგაცია მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოამჟღავნოს ერთა ლიგის მუშაობის უნიადაგობა და უნაყოფობა; კუშენდენის აზრით, მთელი საბჭოთა პროექტი მხოლოდ ამ მიზნით არის შედგენილი.

შემდეგ კუშენდენი აცხადებს: „საბჭოთა პროექტი თვალისწინებს საერთაშორისო ომების მოსპობას, მაგრამ არაფერს არ ამბობს სამოქალაქო ომზე, მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობის მთელი პოლიტიკა აქამდის ეყრდნობოდა სამოქალაქო ომის და აჯანყებების გაღვივებას ყოველ ქვეყანაში, რომელშიაც საბჭოთა მთავრობა სარგებლობდა გავლენით“-ო. მეორე ძირითად არგუმენტად საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ კუშენდენმა წამოაყენა ის, რომ „არსებობს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ერები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ თავის მეზობლებისათვის სრულ განიარაღების განხორციელების შემთხვევაში“.

დასასრულ, კუშენდენი ამტკიცებს, რომ საჭიროა „დაწვრილებით, მუხლობრივად, განხილულ იქნეს პროექტი, ხანამ უპასუხებდეთ ლიტვინოვის კითხვაზე—ღებულობს თუ უარყოფს კომისია პროექტის ძირითად პრინციპებს“. საბჭოთა პროექტი, კუშენდენის სიტყვით, კომისიის მიერ უნდა იქნეს დაწვრილებით დამუშავებული, „შეთანხმებული ერთა ლიგის წესდებასთან“, ხოლო შემდეგ დასკვნისათვის უნდა გადაეცეს ცალკე მთავრობებს.

„ეს ხანგრძლივი პროცედურაა—განაცხადა კუშენდენმა, მაგრამ განიარაღების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ევოლიუციის გზით, რომელიც სათანადო დროს მოითხოვს“.

იაპონიის წარმომადგენლის სიტყვა

კუშენდენის შემდეგ იაპონიის წარმომადგენელმა სატომ განაცხადა, რომ საბჭოთა პროექტი „ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას“, და დასვა კითხვა—შეუძლია თუ არა მოსამზადებელ კომისიას ასეთ პირობებში განიხილოს ეს პროექტი ლიგისაგან სპეციალურ რწმუნებების მიუღებლად და ლიგის წესდების შეუცვლელად?

კანადის წარმომადგენელმა გამოსთქვა აზრი, რომ პროექტი წინასწარ განსახილველად უნდა გადაეცეს ცალკე მთავრობებს.

კომისიის შემდეგი სხდომა შესდგება 21 მარტს.

ვერ ეთხოვებიან თოფ-ზარბაზნებს

ჟენევა, 21 მარტი. 21 მარტს მოსამზადებელ კომისიის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის განხილვა.

ჰოლანდიის დელეგატმა რიუტგერსმა გაიმეორა უკვე გამოთქმული არგუმენტები საბჭოთა პროექტის „არარეალობის“ შესახებ. თავისი სიტყვის ბოლოში რიუტგერსმა ისევე, როგორც მის შემდეგ გამოსულმა შვეციის დელეგატმა ხენინგსმა და პოლონეთის დელეგატმა სოკალმა, მოუწოდა საბჭოთა დელეგაციას განაგრძოს კომისიასთან თანამშრომლობა შეიარაღების შემცირების საქმეში.

შეერთებული შტატების დელეგატი გიბსონი გამოვიდა მკაცრი სიტყვით საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. უპასუხა რა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის ლიტვინოვის მოწოდებას, გიბსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ცდილობს შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობიანობა და ამიტომ მან წამოაყენა წინადადება, რათა სახელმწიფოებს დაედვათ ხელშეკრულება ომზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ ამავე დროს შეერთებული შტატები უარს ამბობს საბჭოთა პროექტის მიღებაზე. გიბსონმა წინადადება შეიტანა კომისიაში უარყოფილ იქნეს საბჭოთა პროექტი, „ვინაიდან ის ეწინააღმდეგება შეიარაღების შეზღუდვის გზის შეხამუშავებლად მოწვეულ კომისიის ამოცანებს“.

21 მარტის საღამოს სხდომაზე გაგრძელდება კამათი. 22 მარტის დილის სხდომაზე საპასუხო სიტყვას წარმოსთქვამს ლიტვინოვი.

ჟენევა, 21 მარტი. 21 მარტს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის საღამოს სხდომაზე საბჭოთა პროექტის გარშემო გამართულ კამათში ბელგიის წარმომადგენელმა უაკენომ განაცხადა, რომ საბჭოთა პროექტის ერთად ერთი მიზანია „არსებულ წესწყობილების აფეთქება მთელს მსოფლიოში“ და შემოიტანა წინადადება პროექტის უარყოფის შესახებ.

კუბის წარმომადგენელმა საბჭოთა პროექტი „პრინციპიალურად“ მისაღებად სცნო.

საბერძნეთის წარმომადგენელმა პოლიტისმა განაცხადა, რომ პროექტი ეწინააღმდეგება ლიგის პრინციპებს. თავისი სიტყვის დასასრულ პოლიტისმა მოუწოდა საბჭოთა კავშირს შევიდეს ერთა ლიგაში.

სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელმა მარკოვიჩმა პროექტს უწოდა არარეალური, განაცხადა რა, რომ კომისიამ უნდა შეიმუშაოს შეიარაღების შემცირების და არა მოსპობის გეგმა.

კამათი დამთავრდა ბულგარეთის და ფინეთის წარმომადგენელთა გამოსვლით. სულ ილაპარაკა 18 ქვეყნის წარმომადგენლებმა. გარდა გერმანიისა, თურქეთისა და ნაწილობრივ კუბისა, ყველა სახელმწიფოებმა დაიკავეს უარყოფითი ან ორჭოფული პოზიცია.

ხუთშაბათს საპასუხო სიტყვით გამოვა ამხ. ლიტვინოვი (ადს).

პრესის გამოძახილი

გერმანიის პრესა

ბერლინი, 21 მარტი. ეხება რა განიარაღების საბჭოთა პროგრამას, „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი სწერს: „არავის არ აქვს უფლება საბჭოთა პროექტის ძირითადი პრინციპი ჩასთვალოს არარეალურად ან არაპრაქტიკულად, ვინაიდან არსებითად საბჭოთა პროექტი მიდის იმავე დასკვნამდე, რომლებიც სავალდებულო გახდა მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოებისათვის, როცა მათ მიიღეს ვილსონის 14 მუხლი. წინდაწინვე გადაწყვეტილი საბჭოთა წინადადებების დამარცხება, და თუ ეხლა მათ საერთოდ იხილავენ, ეს ხდება მხოლოდ იმისათვის, რომ მოაწყონ საპატიო დაკრძალვა“ (ადს).

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 21 მარტი. „ჟურნალ დე დება“ განსაკუთრებით მკაცრ წერილს ათავსებს ლიტვინოვის გამოსვლის გარშემო. გაზეთი აკრიტიკებს ბერნსტორფს, რომლის გამოსვლა, მისი სიტყვით, „აქარწყლებს ყოველგვარ იმედს, რომ გერმანელ ინჟინერების დაპატიმრება გამოიწვევს ურთიერთობის ჩაშლას ბერლინსა და მოსკოვს შორის“. რაც შეეხება რუშდი-ბეის, ის, როგორც გაზეთი ამბობს, „მოემხრო საბჭოთა მელს და გერმანიის მძღარ ქოფაკს“.

„ტან“-ი მოწიწებით სწერს: „ჩვენ განცვიფრებით აღვნიშნავთ, რომ გერმანიის და თურქეთის წარმომადგენლებმა საჭიროდ ჩასთვალეს მხარი დაეჭირათ ლიტვინოვის წინადადებისათვის რუსეთის წინადადებათა დაუყოვნებლივ განხილვის შესახებ. ძნელია წარმოიდგინოთ, რომ ბერნსტორფი, რომელსაც საუკეთესოდ შესწავლილი აქვს აქტუალური პრობლემები, პრაქტიკულ ღირებულებას ხედავდეს საბჭოების რადიკალურ ფორმულაში. საქმე იმაშია, რომ გერმანიას სურს იმდენადვე განიარაღებული იხილოს სხვა სახელმწიფოები, რამდენადაც ის განიარაღებულია ვერსალის ზავის მიხედვით; ამიტომ გერმანია ცდილობს გამოიყენოს განიარაღების კონფერენციის მოწვევის ჩაშლა, როგორც საბაბი, რომელიც მას საშუალებას მისცემს მოითხოვოს თავისთვის შეიარაღების თავისუფლება“ (ადს).

ეკონომიური კონტრ-რევოლუციის გარშემო

რეიხსტაგის კომისიაში

ბერლინი, 21 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ განიხილა საკითხი რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკების შესახებ, რომლის გარშემო შტრეზემანმა გააკეთა ვრცელი მოხსენება. გარდა კომუნისტებისა, კომისიის ყველა დანარჩენმა წევრებმა მოიწონეს გერმანიის მთავრობის პოზიცია.

ბერლინი, 21 მარტი. გაზეთების ცნობით, შტრეზემანმა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში დაწვრილებით განმარტა გარეშე საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისი გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მოლაპარაკების და გერმანელ ინჟინერთა დაპატიმრების საკითხში.

როგორც პრესა აღნიშნავს, ყველა ორატორები გამოსთქვამდენ მწუხარებას გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სერიოზულად გაუარესების გამო, კერძოთ, ეკონომიურ სფეროში. ამავე დროს ორატორები გამოსთქვამდენ აზრს, რომ მთავრობამ დახმარება უნდა მიიღოს საბჭოთა მთავრობის „თავმომაბეზრებელ მოქმედების“ წინააღმდეგ. მთავრობის, „თავმომაბეზრებელ მოქმედების“ წინააღმდეგ. მთავრობის მოქმედება, ორატორების სიტყვით, მიმართულ უნდა იქნეს იქეთკენ, რომ გააუმჯობესოს დაპატიმრებულთა მდგომარეობა და ამავე დროს თავიდან აიცილოს კონფლიქტის გამწვავება“ (ადს).

შტრეზემანის განცხადება

ბერლინი, 21 მარტი. გაზეთ „ახტ ურ აბენდბლატ“-ის ცნობით, შტრეზემანმა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობამ დაარღვია უფლებრივი შეთანხმება, რომლის თანახმად საბჭოთა მთავრობა ვალდებულია შვიდი დღის განმავლობაში აცნობოს გერმანიის კონსულს გერმანელ ქვეშევრდომთა დაპატიმრების შესახებ, ვალდებულია ნება დართოს დაპატიმრებულთ იქონიონ ურთიერთობა გერმანიის საკონსულოებთან და უზრუნველყოს დაპატიმრებულთათვის უფლებრივი დახმარება მათი სურვილის მიხედვით. გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში ბროკდორფ-რანცაუს საბჭოთა მთავრობისათვის ხელმეორედ აღარ მიუმართავს დიპლომატიური გზით, მაგრამ, ელჩი განუწყვეტლივ ღებულობს ზომებს დაპატიმრებულთა ინტერესების დასაცავად.

შტრეზემანის განცხადებიდან სჩანს, რომ დაპატიმრებულ გერმანელ ინჟინერების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით უცვლელი რჩება.

გერმანიის ელჩს დროზე ეცნობა ყველაფერი

ბერლინი, 21 მარტი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ის მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის ელჩს თავის დროზე გადაეცა ცნობა დაპატიმრებულთა ვინაობის და ბრალდების შინაარსის შესახებ. (ადს).

„თანხმობა უკან მიაქვთ“

ბერლინი, 21 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„კობლენცში მყოფ საბჭოთა ინჟინერების, საბჭოთა ლითონის ქარხნების წარმომადგენლების ჯგუფმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის მდივნის თანხლებით აღძრა შუამდგომლობა გერმანიის სხვადასხვა ლითონის ქარხნების დათვალიერების ნებართვის მიცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა გადაეცა დაინტერესებულ ქარხნებს კობლენცის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საშუალებით, მაგრამ ქარხნებმა შუამდგომლობა უარყვეს. უარი მათ იმით დაასაბუთეს, რომ გერმანელ ინჟინერების დაპატიმრების გამო საბჭოთა კავშირში, ქარხნებს უკან მიაქვთ თავისი წინანდელი თანხმობა და არ მიიღებენ საბჭოთა ინჟინრებს“ (ადს).

ტანჟერის კონფერენციაზე

პარიზი, 21 მარტი. ბრიანის თავმჯდომარეობით, გაიხსნა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და ინგლისის კონფერენცია ტანჟერის საკითხზე. შესავალ სიტყვაში ბრიანმა ხაზი გაუსვა, რომ განზრახული არ არის ტანჟერის სტატუტის რადიკალურად შეცვლა.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ კონფერენციაზე გაიზრახულია მხოლოდ მეგობრულად იქნეს განხილული იტალიის მოთხოვნილებები, რომელიც ეხება მხოლოდ იმას, რომ იტალიას მიეცეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ტანჟერის მმართველ-გამგეობაში; აგრეთვე აღნიშნავენ, რომ საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიღწეულია შეთანხმება იტალიისათვის ზოგიერთ დათმობის მიცემის შესახებ.

შენიშვნა: 1923 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად ტანჟერი გამოცხადებულ იქნა საერთაშორისო ნეიტრალურ ზონად, რომელიც იმყოფება მაროკოს სულთანის სუვერენიტეტის ქვეშ (ადს).

საბჭოთა ოქრო და ამერიკა

ნიუ-იორკი, 21 მარტი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრმა მელონმა, გააკეთა რა 6 მარტს მოხსენება საბჭოთა ოქროს მიღების უარყოფის შესახებ, კატეგორიულად აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრო, დაწყებული 1920 წლიდან, უარს აცხადებდა მიეღო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სასინჯო პალატაში ან ზარაფხანაში ოქრო საბჭოთა კავშირიდან“.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. შეინმანის ინტერვიუში, რომელიც ამერიკის გაზეთების კორესპონდენტებმა გადმოსცეს მოსკოვიდან, ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა სამინისტრომ 1922 წ. მოხსნა აკრძალვა საბჭოთა ოქროს შეტანაზე და მიიღო საბჭოთა მთავრობისაგან 10 მილიონ დოლარზე მეტი ამერიკულ პურის საფასურში.

„არა“-ს ხელმძღვანელებმა დაადასტურეს შეინმანის განცხადება. ფინანსთა სამინისტროს მოხელეებმა აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება საბჭოთა ოქროს მიღება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში 1922 წ. მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ უარი განაცხადა ამ დოკუმენტების გამოქვეყნებაზე.

ხაზინის მოხელეები სცდილობენ შეათანხმონ მელონის განცხადება საბჭოთა ოქროს მიღების ფაქტთან 1922 წელში და ამიტომ აცხადებენ, რომ „საბჭოთა ოქროს მიღება 1922 წელში გამოწვეული იყო მომენტის განსაკუთრებული გარემოებებით და ნაკარნახევი იყო კაცთ მოყვარეობის მოსაზრებებით“.

საკითხი საბჭოთა ოქროს შესახებ იმყოფება ფინანსთა მინისტრის ამხანაგის მილსის განკარგულებაში. მილსს მჭიდრო პოლიტიკური კავშირი აქვს ჰუვერთან. უკანასკნელი განსაკუთრებით არის დაინტერესებული ამ საკითხით, რომლებიც ეხება საბჭოთა ოქროს, ვინაიდან რევოლიუციამდე ის იყო რუსეთის ოქროს სამრეწველო წარმოებათა აქციების მეპატრონე.

იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოცემულ ცნობაში აღნიშნავს წინააღმდეგობას მელონის და „არა“-ს ხელმძღვანელების განცხადებებს შორის, ეს ცნობა ადასტურებს, რომ ფინანსთა სამინისტრო უარს აცხადებს გამოაქვეყნოს დოკუმენტები, რომლებიც ეხება საბჭოთა ოქროს მიღებას 1922 წელში, მაგრამ არ უარყოფს იმას, რომ საბჭოთა ოქრო 1922 წელში მიღებული იყო“. (ადს).

საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოების მუშაობა სპარსეთში

თეირანი, 20 მარტი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თეირანელ კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის (სპარსეთში) მოადგილეობის ამსრულებელმა ამხ. პრონზინმა განაცხადა:

„სპარსეთში მომუშავე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხელის შეწყობა სპარსეთის ნაციონალურ მრეწველობის განვითარებისათვის. სამეურნეო ორგანოების მუშაობა სპარსეთში შეფასებულ უნდა იქნეს არა მარტო სავაჭრო ოპერაციებში არსებულ მიღწევების თვალსაზრისით, არამედ იმ მხრითაც, თუ რამდენად უწყობს ხელს ჩვენი მუშაობა სპარსეთის სამრეწველო განვითარებას, ელექტრო-სადგურების აგებას, მანქანების გამოყენებას, დამზადების გაუმჯობესებას და სხ.

თუ ამგვარად მივუდგებით ჩვენ სამეურნეო ორგანოების მუშაობას სპარსეთში, დავინახავთ, რომ მათ ჩაატარეს დიდი დადებითი მუშაობა.

ასე, მაგალითად, შარშან წარსულ წელს დემავენდის მთის მახლობლად გახსნა კალიფორნიული წესით ხილის შრობის საცდელი სადგური. ამ ცდამ საუკეთესო შედეგი გამოიღო და დიდი პოპულარობა მოიპოვა გლეხობაში. მიმდინარე წელს ჩვენ ამ მუშაობის განვითარებას და მასში ჩავაბამთ სპარსელ მოსახლეობას.

ასეთივე მუშაობა ჩატარებულია სპარსეთის აზერბაიჯანში.

„პერსხლოპოკ“-მა სპარსეთის ვაჭრებს დაუმტკიცა ბამბის გაწმენდის მექანიზაციის უპირატესობა, რის შედეგად, მთელი რიგი სპარსელი ვაჭრები გაერთიანდნენ და გახსნეს ბამბის საწმენდი ქარხანა. ვაჭრების მეორე ჯგუფი „პერსხლოპოკ“-თან აწარმოებს მოლაპარაკებას მეორე ქარხნის გახსნის შესახებ.

მიმდინარე წელს შარშან განზრახული აქვს ყაზვინში ბამბის საწმენდი ქარხანა. მანქანური წესით გაწმენდის საშუალებით სპარსეთის ბამბას შესაძლებლობა ეძლევა კონკურენცია გაუწიოს [illegible] ბამბას. ამდენად, სპარსეთის ბამბის გაიტანს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიც. ამ საქმით უკვე დაინტერესდა, როგორც მოსახლეობა ისე მთავრობა.

რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. ჩვენს წინაშე კიდევ უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზია, მაგრამ მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ აღებული ხაზი, რომელიც ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა უნდა გაატარონ გადაჭრილად.

ბრძოლა ჩინეთში

აჯანყებულ გლეხების მოძრაობა ჩჟილიში

შანხაი, 21 მარტი. როგორც გაზეთები იუწყებიან, აჯანყებულ გლეხების რაზმები გაჩნდნენ ტიან-ჩიაუსთან, ტიანცზინის მახლობლად, ჩჟილის პროვინციაში, მთავრობის ჯარი ებრძვის აჯანყებულებს. ბრძოლა, რომელიც ორი დღე გაგრძელდა. აჯანყებულთა რაზმებმა უკან დაიხიეს. (ადს).

კომუნისტების ფარული კრება

პეკინი, 21 მარტი. „შუნ-ბაო“ იუწყება, რომ პოლიციამ ხანკოუს ერთ-ერთ ლითონის ქარხანაში აღმოაჩინა კომუნისტების ფარული კრება. დაპატიმრებულია 26 კაცი. შვიდი მათგანი დახვრიტეს. (ადს).

გერმანიის კომპარტია

ემზადება არჩევნებისათვის

ბერლინი, 21 მარტი. გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციამ საარჩევნო კამპანია დაიწყო შვიდი მასიური საარჩევნო მიტინგის გამართვით, მიტინგები ძლიერ მრავალრიცხოვანი იყო. კომპარტიის წარმომადგენლები, რომლებიც გამოვიდნენ მიტინგზე, ხაზს უსვამდნენ, რომ საარჩევნო კამპანია უნდა წარმოადგენდეს მასების რევოლიუციონურ მობილიზაციას პარლამენტის გარეშე ბრძოლისათვის. (ადს).

პროფინტერნის კონგრესი

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 22 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 21 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

ამხ. დვორსკიმ განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია ეთანხმება საერთაშორისო მოძრაობის იმ ანალიზს, რომელიც გააკეთა ამხ. ლოზოვსკიმ.

„ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასის მდგომარეობა,—სთქვა ამხ. დვორსკიმ,—ძლიერ მძიმეა. უკანასკნელ დროს მუშათა კლასი თანდათანობით შეტევაზე გადადის. რეფორმისტულ ლიდერების გავლენა თანდათან სუსტდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ფეიქრებისა და მემაღაროეთა გაფიცვის დროს, როდესაც მასები ამხილებდნენ რეფორმისტულ ლიდერების მოღალატურ ტაქტიკას“.

ამხ. გომეცი (ურუგვაი) მიესალმა კონგრესს ლათინურ ამერიკის პროფკავშირთა გაერთიანებულ დელეგაციის სახელით.

„ჩვენი დელეგაცია,—სთქვა ამხ. გომეცმა,—განსაკუთრებით მიესალმება იმ ფაქტს, რომ პროფინტერნი დიდ ყურადღებას აქცევს პროფმოძრაობას ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. ლათინურ ამერიკის რევოლიუციონურ პროფკავშირების ძალები შეუწყვეტლივ იზრდება. ამჟამად ითვლება რევოლიუციონურ პროფკავშირების 100.000 წევრი კუბაზე, 100.000 წევრი—ბრაზილიაში, 10 ათასი—ჩილიში, 100.000-ზე მეტი—არგენტინაში, 75.000—კოლუმბიაში, 30 ათასი—ურუგვაიში. ლათინურ ამერიკის მუშათა კლასი, რომელიც გმინავს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ორმაგი უღლის ქვეშ, სწრაფად ადგება რადიკალურ გზას“.

ამხ. სუ (ჩინეთი), რომელსაც კონგრესის წევრებმა ოვაციები გაუმართეს, იძლევა თავის სიტყვაში ჩინეთის მუშათა მოძრაობის დაწვრილებით შეფასებას. ორატორი ეხება იმ პირობებს, რომლებშიაც ვითარდება ჩინეთის მუშათა მოძრაობა და აღნიშნავს, რომ თეთრი ტერორი ჩინეთში საშინელ სახეს ღებულობს. ხალხის მასების მიერ ხელისუფლების დაპყრობა კანტონში გამოწვეული იყო იმ საშინელი მდგომარეობით, რომელშიაც ჩააგდეს ჩინეთის მშრომელი მასები გომინდანის ხელმძღვანელებმა. თუმცა კანტონის აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ვინაიდან ის შლის ახალ ფურცლებს ჩინეთის მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამხ. სუ ფაქტებით ახასიათებს იმპერიალისტების და გომინდანელების მთლიანი ფრონტის შექმნას და აღნიშნავს პროფკავშირთა წყნარ ოკეანის კონგრესის და პროფკავშირთა წყნარ ოკეანეს სამდივნოს მნიშვნელობას წყნარ ოკეანეს სანაპიროების მშრომელთა მთლიანი ფრონტის შექმნისათვის რეაქციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ.

ამხ. რამოსი (ესპანეთი) აღნიშნავს, რომ საჭიროა ესპანეთში შეიქმნას პროფინტერნის მომხრეთა ხელმძღვანელი ცენტრი და მთლიანობის კომიტეტები ესპანეთის ყველა მსხვილ ცენტრებში.

მოსკოვი, 22 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 21 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო. გამოვიდნენ ამხ. ვიედნი (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები), გოსიპი (ინგლისი), სინი (შანხაელი ფეიქარი ქალი) და გინზბურგი (საკავშირო პროფსაბჭო).

მოსკოვი, 22 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 22 მარტის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების ირგვლივ.

სიტკოვსკიმ (პოლონეთი), შეეხო რა ის პოლონეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების ამოცანებს, აღნიშნა, რომ საგაფიცვო ბრძოლაში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს რევოლიუციონური პროფკავშირების ხელმძღვანელობას გაფიცვაში.

სანტინომ (იტალია) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იტალიის შრომის კონფედერაციის წარმომადგენლები პირველად იღებენ მონაწილეობას პროფინტერნის კონგრესში. რეფორმისტული ბელადები სისტემატიურად ცდილობდენ მოეხდინათ კონფედერაციის ლიკვიდაცია და გამოაცხადეს იგი დაშლილად, მაგრამ მუშათა მიერ მოწვეულმა კონფერენციამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება. ამსტერდამის ინტერნაციონალს ორჭოფული პოზიცია უჭირავს კონფედერაციის მიმართ. იტალიის შრომის კონფედერაციამ უახლოეს კონგრესისათვის გადასდო საკითხი თავის საერთაშორისო კავშირის შესახებ, მაგრამ მაინც გადაწყვიტა დელეგაცია გაეგზავნა პროფინტერნის კონგრესზე, რითაც მან გამოააშკარავა თავისი სოლიდარობა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან და ღირსეულად შეაფასა პროფინტერნის დახმარება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრისემ (საფრანგეთი) აღნიშნა, რომ კონგრესის უმთავრესი ამოცანაა გამონახოს საუკეთესო მეთოდები კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ [illegible] და აგრეთვე საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

ინგლისის კომპარტიის ცეკა „ზინოვიევის წერილის“ შესახებ

ლონდონი, 21 მარტი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ხაზს უსვამს „ზინოვიევის წერილის“ სიყალბეს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობა წერილის გამოყენებისათვის მთლიანად ეკისრება მაკდონალდს, ვინაიდან მან გასცა განკარგულება საპროტესტო ნოტის გადაცემის შესახებ და პირადად კი არ შეეცადა მიეღო ახსნა-განმარტება ამ საკითხზე. ამით მან დაარღვია რაკოვსკისათვის მიცემული დაპირება. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკებას ჩაშლა მოელის

ვარშავა, 21 მარტი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რობოტნიკ“-ი სწერს, რომ პოლონეთის მთავრობის მოქმედებას შეუძლია ჩაშალოს პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობა, ამ საფრთხეს, გაზეთის აზრით, განსაკუთრებით ქმნის იმ კანონის განხორციელება, რომელიც ზღუდავს უცხოელთა უფლებებს სასაზღვრო ზოლში. პოლონეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიაში უკვე გადიდებულ საბაჟო ტარიფებს უყენებენ პოლონეთიდან შემოტანილ ზოგიერთ საქონელს (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 21 მარტი. ბელორუსთა გრომადის პროცესის მე-13 დღეს მოსმენილ იქნა ბრალდების მოწმეების—პოლიციის აგენტების ჩვენება. ყველა ისინი ერთსა და იმავეს აჩვენებენ. ამ მოწმეების ჩვენების მიხედვით, გრომადის დეპუტატები დადიოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ეწეოდნენ აგიტაციას მოსახლეობაში, ამასთან ერთად თითქოს ხმარობდნენ მზადება აჯანყებისათვის. მოსახლეობა გადასახადებს არ იხდიდა და მიწებს არ ყიდულობდა იმ იმედით, რომ გადატრიალების შემდეგ უფასოდ მიიღებდა. მოწმეები აჩვენებენ, რომ ბელორუსიის მოსახლეობაში ლაპარაკობდნენ პოლონეთის ხელისუფლების გაძევების და საბჭოთა ბელორუსიასთან შეერთების შესახებ.

მოწმე კუტოვსკი, საიდუმლო-[illegible] კომისარი, აცხადებს, რომ ბელორუსიის მოსახლეობას ჰქონდა ხელისუფლების პარალელური საკუთარი ორგანოები.

მე-13 დღეს გამოსული მოწმეები საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ზედმეტი გულმოდგინების გამო, ისინი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და ააშკარავებენ თავის სიცრუეს. მაგალითად პაშკევიჩი აცხადებს, რომ მას კარგი ნაცნობობა ჰქონდა მეტლასთან. დამცველი გონიგვილი ეკითხება მას —ეწეოდა თუ არა მეტლა აგიტაციას კომუნისტების სასარგებლოდ? პაშკევიჩი ადასტურებს ამას. ნამდვილად კი მეტლა გავიდა სეიმში ნაციონალურ უმცირესობათა სიით.

მოწმე გერცოგის, პოლონეთის არმიის ოფიცრის, ჩვენებას სასამართლო ისმენს დახურულ კარებში (ადს).

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„პრავდა“ ამიერ-კავკასიის რკინის-გზების შესახებ

მოსკოვი, 22 მარტი. გაზეთი „პრავდა“ ეხება იმ კომისიის მუშაობას, რომელმაც მოახდინა ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამოკვლევა. კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს საწარმოო დისციპლინა, რაც ხშირად იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს და ადამიანთა მსხვერპლს.

კომისიის დასკვნაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამო დამსხვრეა რვაასი ვაგონი, დაზიანდა ათასამდე კაცი და რკინის გზამ იზარალა ერთი მილიონი მანეთი.

გამოდის რა კომისიის ამ დასკვნებიდან, „პრავდა“ აღნიშნავს ახლო მდგომარეობის დაუყოვნებლივ და პროფესიონალურ კავშირის, პროკურატურისა და შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე აყენებს საკითხს რკინის გზაზე შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

ხილისა და ბოსტნეულობის ექსპორტის გაძლიერება

მოსკოვი, 22 მარტი. ხილისა და ბოსტნეულობის ექსპორტის გაძლიერებისათვის სახელმწიფო ვაჭრობის ცენტრალურ ორგანოს გადაწყვეტილებით მიმდინარე სეზონში აგებული იქნება საექსპორტო საქონლის გადასამუშავებელი ფართო წარმოება. ამ წარმოებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოეწყობა ამიერ-კავკასიაში ხილეულობისა და ბოსტნეულობის გადასამუშავებლად.

საექსპორტო საქონლის დამამზადებელ ქარხნების ასაგებად სახელმწიფო ვაჭრობამ გადადო შვიდი მილიონი მანეთი. საქმის ფართო ნიადაგზე დაყენების მიზნით და აღნიშნულ წარმოებათა ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევის მიხედვით მოსაწყობათ, მოწვეულ იქნებიან სპეციალისტები როგორც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ისე უცხოეთიდანაც.

დისპუტი უმაღლეს სასწავლებლებზე

მოსკოვი, 22 მარტი. უკანასკნელ ხანებში მოსკოვის პრესა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უმაღლეს სასწავლებელთა აკადემიურ მდგომარეობის საკითხს. ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რამდენად ამართლებს ჩვენი დღევანდელი სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებებს უმაღლესი სკოლა.

ამ საკითხის გარშემო აქ შესდგა ფრიად საინტერესო საჯარო დისპუტი, რომელმაც აღნიშნა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მთელი რიგი დეფექტები, როგორც მაგალითად: მრავალ საგნების სწავლება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ძირითად ცოდნის შეძენაზე; სტუდენტობის ზედმეტად დატვირთვა საზოგადოებრივ მუშაობით, სასწავლებლების პერსონალის კვალიფიკაციის შედარებით დაბალი დონე; ხანგრძლივი ძველი, კაზიონური მეთოდებით სწავლება; მსმენელების რიცხვის ზომაზე მეტი სიმრავლე უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა.

ეროვნულ რესპუბლიკათა მოთხოვნილება კინო-თათბირზე

მოსკოვი, 22 მარტი. პარტიის საკავშირო თათბირზე კინომრეწველობის საკითხების შესახებ ეროვნულ რესპუბლიკათა წარმომადგენელმა მოითხოვა, რათა ეროვნულ რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატებთან დატოვებულ იქნას კინომრეწველობის საკუთარი ცენტრი. თავის ამ დებულებას ეროვნულ რესპუბლიკათა წარმომადგენელი ასაბუთებდა ნაციონალურ კულტურისა და ხელოვნების შემდეგი განმტკიცების მოსაზრებით.

ნაციონალური ლიტერატურა რემედასის შესახებ

მოსკოვი, 22 მარტი. რემედასის სრულიად საკავშირო ყრილობაზე ეროვნულ რესპუბლიკათა წარმომადგენლები აღნიშნავდენ, რომ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების იდეათა ფართო პოპულარიზაციას ნაციონალურ რესპუბლიკებში დიდათ უშლის ხელს ამ საკითხების შესახებ ადგილობრივ ენაზე ნაციონალურ ლიტერატურის სიმცირე ან ამ ლიტერატურის სრული უქონლობა. ამასთან ერთად, ეროვნულ რესპუბლიკათა წარმომადგენლების განცხადებით რემედასის ცენტრალური ხელმძღვანელობა უწევს თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის კომპარტიის ცეკა იცავს კომინტერნის ხაზს

მოსკოვი, 22 მარტი. კომინტერნის აღმასკომის სამდივნომ ინგლისის კომპარტიის ცეკასაგან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ცეკა ერთხმად ღებულობს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუციას, რომელიც ნიშნავს ტაქტიკის სავსებით შეცვლას. ცეკა ხსნის თავის თეზისებს, რადგან ისინი არ არიან დამაკმაყოფილებელი და შეიცავენ შეცდომებს, და მათ სცვლის პლენუმის რეზოლიუციით (ადს).

პოლონეთის სეიმის მოწვევა

ვარშავა, 27 მარტი. პრეზიდენტმა გამოაქვეყნა დეკრეტი ახალი სეიმისა და სენატის მოწვევის შესახებ. პირველი სხდომა დანიშნულია 27 მარტისათვის პარლამენტის შენობაში. (ადს).

რუმინეთ-საბერძნეთის ხელშეკრულება

ჟენევა, 22 მარტი. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტიტულესკუმ და საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიხალკოპულოსმა დასდეს რუმინეთ-საბერძნეთის ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და არბიტრაჟის შესახებ. (ადს).

ბელორუსიის გრომადის პროცესი

ვარშავა, 22 მარტი. ბელორუსიის გრომადის პროცესზე სასამართლომ დაჰკითხა ვოლოჟინის ოლქის მოწმე გლეხებს, რომელნიც ამჟამად ციხეში იმყოფებიან იმის გამო, რომ ბრალად ედებათ კომპარტიის წევრობა. ყველა ამ გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი არასოდეს არ ეკუთვნოდნენ კომპარტიას და რომ წინანდელი ჩვენება მიცემული იყო ცემისა და წამების გამო. ვლაცლავეს ოლქის პოლიციის კომისარმა კუხარკინმა, რომელიც გამოვიდა ბრალდების მოწმედ, განაცხადა, რომ ბრალდებული აგიტაციას ეწეოდა დასავლეთი ბელორუსიის საბჭოთა ბელორუსიასთან შეერთების სასარგებლოდ. პოლიციელმა კონაცკიმ განაცხადა, რომ თითქოს ვლადისლავის ოლქის ერთ-ერთ თემში აჯანყების შემთხვევისათვის დანიშნული იყო ბელორუსიის სათემო უფროსები, სათემო მწერალი და ორი პოლიციელი. ოლქის ახალგაზრდობა აგიტაციას ეწეოდა სამხედრო ბეგარის წინააღმდეგ და ემზადებოდა სახალხო მილიციის შექმნისათვის. (ადს).

„დეილი ტელეგრაფის" ჭორი

ლონდონი, 22 მარტი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: „ფადიშახის მეუღლე დიქანცულობას გრძნობს ხანგრძლივი მგზავრობით. შესაძლოა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობამ აიძულოს ფადიშახი უარი სთქვას საბჭოთა კავშირის გზით სამშობლოში დაბრუნებაზე. ავღანისტანის მისიაში, სადაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი შეეკითხა ამის შესახებ, „დეილი ტელეგრაფი"-ის ცნობას უწოდეს „აშკარა ჭორი". ინგლისის ხელისუფლება ენერგიულად აცნობებს ფადიშახს ინგლისის სამხედრო ძალების მდგომარეობას. საქმის მცოდნე წრეებში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ „ინგლისის სამხედრო ძლიერების" დემონსტრაციას მიზნად აქვს „შექმნას განსაზღვრული ფსიქოლოგიური ეფექტი და მოამზადოს ხელსაყრელი ნიადაგი ფადიშახთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის, რომელიც ალბად დაიწყება უშუალოდ ფადიშახის ინგლისიდან გამგზავრების წინ. (ადს).

მარქსისტულ-ლენინურ დაწესებულებათა კონფერენცია

მოსკოვი, 22 მარტი. 22 მარტს გაიხსნა მარქსისტულ-ლენინურ სამეცნიერო დაწესებულებების პირველი საკავშირო კონფერენცია. ამხ. პოკროვსკიმ, გახსნა რა კონფერენცია, აღნიშნა, რომ ერთად ერთი სოციალისტური აკადემიის ნაცვლად, რომელიც გვქონდა 10 წლის წინეთ, ახლა საბჭოთა კავშირში მოიპოვება მთელი რიგი სამეცნიერო მარქსისტული დაწესებულებები. სოციალიზმის მშენებლობა გარკვეული გეგმით მიმდინარეობს და თეორიული მუშაობაც, რომელიც ამ მუშაობასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე გეგმის მიხედვით უნდა სწარმოებდეს. კონფერენცია მოახდენს პირველ ცდას, რომ შეათანხმოს მარქსისტულ-ლენინურ სამეცნიერო დაწესებულებათა გეგმები.

რემეღასის ახალი ცეკა

მოსკოვი, 22 მარტი. 22 მარტს დაიხურა რემეღასის მე-2-ე საკავშირო ყრილობა. რემეღასის ახალ ცეკაში არჩეულია 50 წევრი და 14 კანდიდატი. ყრილობის შემდეგ შესდგა ახალ ცეკას პირველი პლენუმი. არჩეულია ცეკას პრეზიდიუმი 13 წევრის და 4 კანდიდატის შემადგენლობით. პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულია ხტახოვა. (ადს).

ომი ნიკარაგუაში

სანდინოს ჯარებს აეროპლანებიდან ყუმბარებს უშენენ

ვაშინგტონი, 21 მარტი. შეერთებული შტატების საავიაციო რაზმებმა გენერალ სანდინოს ჯარებს ნიკარაგუაში დაუშინეს ყუმბარები. ბევრია მოკლული და დაჭრილი. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება

პარიზი, 21 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ საფრანგეთის მთავრობის ანტიკომუნისტურ კამპანიის გაძლიერების საპასუხოდ გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის მშრომელ მასებისადმი; ამ მიმართვაში პოლიტბიურო მოუწოდებს მუშებს აღსდგენ პარტიის, შრომის უნიტარულ კონფედერაციის და მუშათა პრესის დასაცავად. (ადს).

თურქეთ-სპარსეთის მოლაპარაკება

თეირანი, 21 მარტი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ანგორაში იუწყებიან, სპარსეთის საგანგებო ელჩმა ანგორაში ფორუგიმ თეარების საკითხის გარშემო წარმოშობილ უთანმოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ის აწარმოებს ოსმალეთსა და სპარსეთს შორის საზღვრების საკითხის გარშემო წამოშობილ უთანხმოებების მოსაგვარებლად. (ადს).

ინციდენტი პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

კოვნო, 21 მარტი. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობით 18 მარტს [illegible] პოლონელი ჯარისკაცი სადემარკაციო ხაზზე დაუგირდიშის ტყესთან თავს დაესხა ლიტველ სანაპირო ჯარისკაცს. პოლონელი ჯარისკაცები შეიარაღებული იყვნენ თოფებით და ყუმბარებით. 19 მარტს სოფელ პორაინიასთან ვალკომირის მაზრაში პოლონელმა სანაპირო ჯარისკაცმა სიგნალით გამოუძახა ლიტველ ჯარისკაცს, ესროლა მას ხუთჯერ და მიიმალა. (ადს).

არც ერთი რეფორმისტი

პარიზი, 21 მარტი. რკინის გზის მუშებისა და მოსამსახურეების მიერ იანვარში არჩეულ ამომრჩეველთა კრებამ რკინის გზის უმაღლეს საბჭოში თავის კანდიდატებად და მათ მოადგილეებად გაიყვანა 14 რევოლიუციონერი და არც ერთი რეფორმისტი. (ადს).

პატიმართა წამება

რიგა, 21 მარტი. ლატვიის სეიმში სოციალ-დემოკრატმა პეტრევიცმა და ბუნდის წევრმა მაიზელმა პოლიტიკური პოლიციის წინააღმდეგ შემოიტანეს ბრალდება პატიმართა წამების შესახებ, რაც უკვე გამოარკვია სეიმის საგამომძიებლო კომისიამ. პატიმრებს სწვავდენ ქუსლებს, აუპატიურებდენ ახალგაზრდა ქალებს და სხვ. (ადს).

„მრჩევლების" დათხოვნა

თეირანი, 21 მარტი. ფინანსთა სამინისტრომ დაითხოვა ოთხი ამერიკელი მრჩეველი: მრჩეველი ლუმისი ხოროსანში, მრჩეველი პიტერ სიმონი ქერმანში, ფინანსთა სამინისტროს ბუხჰალტერიის უფროსი რედერი და მრჩეველი კელმანი თეირანში. ნაციონალური ბანკის დირექტორის თანამდებობაზე გერმანიიდან მოწვეულია ბულგარეთის სახელმწიფო ბანკის დირექტორი ლინდენბლატი, რომელსაც ჯამაგირად ექნება 18.000 თუმანი (სპარსული).

„მართლმადიდებელ" ხუცეს

არ მოსწონთ ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 21 მარტი. სეიმში მართლმადიდებელ მა. არქიეპისკოპოსმა იოანემ მკაცრად გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კერძოდ ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების წინააღმდეგ. ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა განაცხადა, რომ იოანეს განცხადებები უსაფუძვლოა, ვინაიდან სავაჭრო ხელშეკრულებამ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ის დადებულია მხოლოდ 5 თვის წინად (ადს).

კატასტროფა მთებში

ვენა, 21 მარტი. ტიროლში ჩამოსული 17 ტურისტი, რომელთაც განზრახული ჰქონდათ მთაზე ასვლა, გადაეჩეხნენ უფსკრულში. ოთხი გადაარჩინეს. ქარბუქი ხელს უშლის დანარჩენთა მოძებნას. (ადს).

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების „ეკონომიური გაერთიანება"

ბერლინი, 21 მარტი. ოფიციოზური „დოიჩე პოლიტიშე კორესპონდენც"-ი კომენტარიებს უკეთებს სეიდეს წერილს „ტაიმს"-ში და სწერს:

„ლაპარაკი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების ეკონომიურ გაერთიანებების შესახებ, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ განზრახულია შეიქმნას ეკონომიური ბლოკი, ერთის მხრივ [illegible] შეერთებულ შტატების, და მეორე მხრივ—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანია არასოდეს არ მიემხრობა ასეთ ბლოკს, ვინაიდან მარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებს მას მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ყველა სახელმწიფოებთან. გერმანიის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაპიტალების საკითხს, რაც აგრეთვე მოითხოვს მეგობრულ ურთიერთობას ყველასთან" (ადს).

დე-ჟუვენელის წერილი

საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების შესახებ

ბერლინი, 21 მარტი. საფრანგეთის სენატორმა დე-ჟუვენელმა გაზეთ „იუნგე დოიჩ"-ის თანამშრომელთან საუბარში საფრანგეთ-გერმანიის დახლოების შესახებ განაცხადა, რომ მისი აზრით, საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისათვის ყველაზე უფრო მტკიცე ბაზისი—კოლონიებში თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან ერთად.

აღმოსავლეთში ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ დე-ჟუვენელმა განაცხადა, რომ საჭიროა ლოკარნოს ხელშეკრულების გავრცელება.

გერმანიის პასუხი

შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ" დე-ჟუვენელის ინტერვიუს საპასუხოდ აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ლოკარნო ზედმეტია, ვინაიდან ლოკარნოს ხელშეკრულება უზრუნველყოფს პოლონეთის საზღვრებს. რაც შეეხება დათმობებს კოლონიალურ სფეროში, მარტო ეს ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებას, რომლის საფუძველს წარმოადგენს ვერსალის ზავის უსამართლო პირობების გაუქმება (ადს).

თეირანის სავაჭრო პალატაში

თეირანი, 21 მარტი. თეირანის სავაჭრო პალატის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა იმ სპარსელ ვაჭრების მოხსენება, რომლებიც იყვნენ მოსკოვში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის პრაქტიკაში არსებულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად მოლაპარაკება სწარმოებდა მოსკოვში აღმოსავლეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის მიერ არჩეულ კომისიასთან. მეტწილ სადაო საკითხებში, რომლებიც შეეხებოდა სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულებების დადებას, მიღწეულია შეთანხმება. აღნიშნულ მოლაპარაკების ოქმი დაბეჭდილია ცალკე და დაეგზავნება თეირანის სავაჭრო პალატას, აღმოსავლეთ-საბჭ. კავშირის სავაჭრო პალატის [illegible] ერთად, რომელშიაც ეს უკანასკნელი სთხოვს, რომ მისმა სავაჭრო წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ თეირანის სავაჭრო პალატაში და სპარსეთის ვაჭრებმა—მოსკოვის სავაჭრო პალატაში. თეირანის სავაჭრო პალატამ დაადგინა გადათარგმნოს ეს ოქმი სპარსულ ენაზე და დაურიგოს პალატის წევრებს გასაცნობად. (ადს).

მელონი-მექრთამე

ნიუ-იორკი, 21 მარტი. ნავთიან მიწების უკანონოდ დარიგების შესახებ სენატის მიერ გამოძიებულ საქმესთან დაკავშირებით, სენატორმა კუზენსმა სენატში შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ფინანსთა მინისტრ მელონის გადადგომას (გამოძიებიდან გამოირკვა, რომ მელონს სინკლერმა ქრთამად მისცა 50.000 დოლარი და ქრთამის გაცემით სინკლერმა მიიღო ხელსაყრელი ნავთის კონცესია).

პოლონეთ-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 21 მარტი. 21 მარტს ინიციალებით მოაწერეს ხელი პოლონეთ-ლატვიის მუდმივ სავაჭრო ხელშეკრულების პროექტს. საკითხი იმ მუხლის შესახებ, რომელიც ეხება ლატვია-ლიტვის ურთიერთობას, ჯერ-ჯერობით ღიად დარჩა, რის წინააღმდეგ ილაშქრებს ლატვია.

საბჭოთა კავშირში

ამხ. სვიდერსკის განთავისუფლება თანამდებობიდან

მოსკოვი, 22 მარტი. რ.ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭომ 22 მარტს დაადგინა ამხ. სვიდერსკი განთავისუფლოს რ.ს.ფ.ს.რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილის თანამდებობიდან. (ადს).

სამრეწველო ბანკის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ სამრეწველო ბანკის რეორგანიზაცია მოხდეს და მის მაგიერ შეიქმნას „მრეწველობისა და ელექტრო-მეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტით მომმარაგებელი ბანკი"; ეს გამოწვეულია ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით, რომ მრეწველობის მომარაგება მოკლევადიანი კრედიტით სახელმწიფო ბანკს მიენდოს და გაუქმდეს ელექტრობანკი. ახალი ბანკი უნდა მოეწყოს სახელმწიფო საქციო საზოგადოების სახით. მისი ძირითადი მიზანია—საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის ხელისშეწყობა. ბანკის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 100 მილიონი მანეთით. ბანკი საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში იქნება. (ადს).

კულტურული ძალები პროვინციაში

მოსკოვი, 22 მარტი. თათბირმა რ.ს.ფ.ს.რ შრომის სახალხო კომისარიატთან დაამტკიცა ღონისძიებათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახალ შეღავათებს პერიფერიაში მიმავალი გონებრივი შრომის მუშაკებისათვის. თათბირმა დაამტკიცა აგრეთვე გონებრივი შრომის მუშაკთა ახალი კადრების მომზადების გეგმა. პროექტს და გეგმას განიხილავს სახალხო კომისართა საბჭო. (ადს).

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა კომისიამ, რომელსაც ეკისრება 7 საათის სამუშაო დღის გატარება მრეწველობაში, მოისმინა მოხსენება საფეიქრო ფაბრიკებში შემცირებული სამუშაო დღის პირველ შედეგების შესახებ. საფეიქრო ფაბრიკების ნაწილის გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე სწარმოებდა არა საკმაო მომზადებით, ახალი მუშების კვალიფიკაცია გამოუსადეგარი გამოდგა, რაც შედეგად იწვევს შრომის ნაყოფიერების დაცემას. ამ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ზომები. (ადს).

ნაროდოვოლეც დაიჭენკოს გარდაცვალება

ირკუტსკი, 22 მარტი. გარდაიცვალა რევოლიუციის ერთ-ერთი მცხოვანი ვეტერანი ყოფილი ნაროდოვოლეცი დაიჭენკო. (ადს).

თერმომეტრების დამზადება

მოსკოვი, 22 მარტი. ლენინგრადში გახსნილია თერმომეტრების ორი ახალი ფაბრიკა. ლენინგრადის ფაბრიკამ უკვე გამოუშვა თერმომეტრების პარტია, რომლებიც კარგი ღირსების გამოდგა. 1929 წლის 1 იანვრამდე ორივე ფაბრიკა დაამზადებს 100.000 თერმომეტრს (ადს).

ბავშვთა საზაფხულო ბაგები

მოსკოვი, 22 მარტი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ წინადადება მისცა მუშა-ქალთა ადგილობრივ განყოფილებებს დაუყოვნებლივ შეუდგენ სოფლის საზაფხულო ბაგების მოწყობას; მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება ამასთანავე აღნიშნავს, რომ საზაფხულო ბაგების რაოდენობა აუცილებლად უნდა გადიდდეს, უნდა გაუმჯობესდეს მათი ხარისხი და გაიაფდეს ღირებულება. (ადს).

ფინანსები ა.-კ. კაპიტალური მშენებლობისათვის

მოსკოვი, 27 მარტი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო, რომ რეზერვი ამ.-კავკასიის კაპიტალური მშენებლობისათვის ფინანსების მისაწოდებლად—1.500.000 მანეთი, განაწილებულ იქნას ამგვარად: სომხეთს მიეცემა 400.000 მან. ლენინაკანის ფაბრიკის ასაგებად, აზერბეიჯანს—120.000 მან. განჯის ბა[illegible] ქსოვილების ფაბრიკის ასაგებად. „აზგორპრომს"—350.000 მანეთი; საქართველოს—520.000 მან. კონსერვების ქარხნის ასაგებად გორში, და 60.000 მან. სატყეო მრეწველობისათვის. (ადს)

ქიმიკოსების წინადადებათა დამუშავება

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: განსაკუთრებულ კომისიას დაავალოს ორი კვირის ვადის განმავლობაში განიხილოს წინადადებანი, რომლებიც ქიმიკოს-მეცნიერებმა გადასცეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს, და შეიმუშაოს ამ წინადადებათაგან გამომდინარე ღონისძიებანი, აგრეთვე მთელი რიგი კონკრეტული ზომები სამეცნიერო-გამოკვლევითი საქმის გასაუმჯობესებლად საბჭოთა კავშირში. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. რუძუტაკი, ხოლო წევრებად: ამხ. ორჯონიკიძე, კრჟიჟანოვსკი, კუიბიშევი, მიქოიანი და გორბუნოვი. (ადს).

კინო-თათბირი

მოსკოვი, 22 მარტი. შესდგა კინოთათბირის უკანასკნელი სხდომა. რეზოლიუციის მიღების შემდეგ უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა კრინიცკიმ. ამხ. კრინიცკიმ აღნიშნა კინო-თათბირის უდიდესი მნიშვნელობა კულტურული რევოლიუციის დარგში. ამ მუშაობაში მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმული პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობა, პრესა, კომკავშირი და სხვა ორგანიზაციები. თვით კინო-თათბირმა ერთხმულოვნად შეაფასა კინემატოგრაფია, როგორც პარტიისა და მუშათა კლასის ერთ-ერთი უდიდესი იარაღი კულტურული რევოლიუციისათვის ბრძოლაში. პარტიული კინო-თათბირი ახალ ხანას ქმნის საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში. თათბირის შემდეგ არავის არ შეიძლება შეუვიდეს იჭვი, იმაში, რომ კინოს უდიდესი როლი ენიჭება, როგორც პარტიის ყოველდღიური ამოცანების აგიტაციისა და პროპაგანდის იარაღს. თათბირმა ერთხმულოვნად აღიარა, რომ კინემატოგრაფიამ ორიენტაცია უნდა აიღოს მხოლოდ მუშათა და გლეხთა მასებზე. კინო პარტიისათვის წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ იარაღს სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში, წვრილბურჟუაზიულ ტენდენციებთან ბრძოლაში, თუ დისკუსიამდე კინოს საკმაოდ არა ვაფასებდით, კინო-თათბირის შემდეგ ყველა პარტიული ორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს მივაღწიოთ იმას, რომ კინო-თათბირის გადაწყვეტილებანი გავატაროთ ცხოვრებაში იმავე ენერგიით, როგორც გატარებულ იქნა საბჭოთა კინემატოგრაფიის კრიტიკა კინო-თათბირამდე და აგრეთვე კინო-თათბირის დროს. (ადს).

საურთიერთო კრედიტის მუშაკთა საქმე

მოსკოვი, 22 მარტი. 21 მარტს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში დაიწყო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მუშაკთა საქმე. საბრალმდებლო სკამზე ზის 42 კაცი; ესენი არიან: საურთიერთო კრედიტის მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების ხელმძღვანელები, რომლებიც თავისი მოქმედებით არღვევდენ სახელმწ. ინტერესებს მსხვილი კერძო კაპიტალის სასარგებლოდ; დიდი სპეკულიანტები—კერძო პირები, რომლებიც საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საშუალებით უკანონოდ იყენებდნენ სახელმწიფო თანხებს თავისი სასპეკულიაციო ოპერაციებისათვის და საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც ქრთამს იღებდენ და ხელს უწყობდენ ზემოხსენებულ პირთა დანაშაულის დაფარვას. ორივე საზოგადოების სალიკვიდაციო კომიტეტები ბრალდებულებს უჩივის—6.192.116 მანეთს.

სასამართლოს დილის სხდომა მოუნდა 250 ფურცლიანი საბრალმდებლო აქტის კითხვას. საღამოს სხდომაზე საბჭოთა რუსეთის ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. გრინშტეინმა, რომელიც საურთიერთო კრედიტის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების რევიზიას აწარმოებდა, განაცხადა, რომ რევიზიამ გამოარკვია ბოროტმოქმედება, რამაც სახელმწიფოს უდიდესი ზარალი მიაყენა. საზოგადოება იყენებდა სახელმწიფო თანხებს გაკოტრებულ მსხვილ კერძო ვაჭრებისა და მრეწველებისათვის სესხის მისაცემად. რევიზიამ გამოარკვია, რომ 1925—1926 წლებში საზოგადოებამ გასცა 9 მილიონი მანეთის ყალბი აქცეპტიანი ჩეკები.

მოსკოვი, 22 მარტი. მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მთავარ ბრალდებულთა დაკითხვას. 21 და 22 მარტს დაკითხულ იქნენ მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო საკრედიტო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გუროვიჩი და საზოგადოების გამგეობის წევრი კისინი. ორივე უარჰყოფს მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას.

შეთანხმების მიღწევა

გერმანია-პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენციაზე

ლენინგრადი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის, პოლონეთის და გერმანიის სარკინიგზო კონფერენციის სხდომაზე მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას პირდაპირი სატვირთო მიმოსვლის ქსელში გერმანიის სადგურები მარიენბურგი და ხოშნიდორფი, როგორც გადამცემი პუნქტები. ეს საგრძნობლად გაადვილებს ჩვენი ტვირთის გატარებას „დანციგის კორიდორზე". (ადს).

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

თესვის კამპანიის ჩასატარებლად დღემდი გაცემულია 6.643.000 მანეთი

მიღებულია ზომები სოფლის უზრუნველსაყოფად მუშა-საქონლით

თესვის კამპანია და გლეხკომები

საქართველოს ყველა გლეხკომებს და მათ სამაზრო კომიტეტებს

ქვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება გაზაფხულის თესვის კამპანია, რომლის სასურველად ჩატარებაში აქტიური და მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებებმა. ამჟამად გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებებში გაერთიანებულია ჩვენი სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც თავისი მუშაობით ხელს უწყობს სოფლის კეთილდღეობის ამაღლებას და მის მეურნეობის განმტკიცებას და გაძლიერებას. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია თავიანთ წევრების ეკონომიურ სიძლიერეზე, მათი მეურნეობის სიმტკიცეზე; ამიტომ მათ მომავალ თესვის კამპანიის ჩატარებაში უნდა ითამაშონ თვალსაჩინო როლი. გარდა ფულადი და ნატურალური დახმარებისა მათ ევალებათ გაუწიონ შრომითი დახმარება სოფლის იმ მოსახლეობას, რომელსაც არა ჰყავს მუშა-ხელი და მუშა-საქონელი. აგრეთვე უნდა მიაწოდონ შეძლებისდაგვარად სოფლის ღარიბ მოსახლეობას გადარჩეული და დახარისხებული სათესლე მასალა. ამიტომ გლეხკომები ამ თავითვე უნდა შეუდგენ ამ მუშაობას. საწყისათ უნდა აიყვანონ აღრიცხვაზე ის მეურნეობები, რომლებიც საჭიროებენ შრომითი დახმარებას (როგორც არიან: ქვრივები, ობლები, წითელ არმიელთა ოჯახები, ომის და შრომის ინვალიდები და ულარიბესი გლეხები) და თავიანთ წევრების საშუალებით კოლექტიურად დაამუშაონ მათი მიწები.

ამ მიზნით მათ ევალებათ: 1. აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ სამეულების მუშაობაში რომლებიც გამოყოფილი იქნებიან ადგილებზე თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

2. გაშალონ პროპაგანდა-აგიტაცია თავიანთ წევრებს შორის თესვის კამპანიის მნიშვნელობაზე და ხელი შეუწყონ თავიანთ სახსრებით და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მის წარმატებით ჩატარებას.

3. ამ კამპანიაში ფართოდ უნდა იქნეს ჩაბმული სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა და დაუპირისპირონ მათი კავშირი სოფლის კულაკებს, რომლებიც თესვის კამპანიის დროს აუცილებლად მოინდომებენ ღარიბ გლეხობის გაყვლეფას.

4. გარდა ამისა გლეხკომებმა ეხლავე უნდა მიაქციონ ყურადღება სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის და მათ წესიერად განაწილების საქმეს ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის.

5. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილებზე სათესლე მასალის მიზანშეწონილად განაწილების საქმეში.

არც ერთი ნაკვეთი მიწა არ უნდა დარჩეს დაუმუშავებელი და დაუთესავი. მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ უნდა იყოს ამჟამად მიქცეული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური გლეხკომი პრემიით დააჯილდოვებს იმ გლეხკომს, რომელიც მეტ უნარს გამოიჩენს ამ კამპანიის ჩატარების საქმეში.

სრ. საქ. ცენტრ. გლეხკომის თავმჯდომარე
ქ. ხომერიკი.

სრ. საქ. ცენტრ. გლეხკომის მდივანი
მ. ჩხიკვიშვილი.

კრედიტები თესვის კამპანიისათვის

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულის განკარგულებით გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გადასინჯა თესვის კამპანიის ჩასატარებლათ ა.-კ. რესპუბლიკებს შორის განაწილებული კრედიტების რაოდენობა, გამოერკვია, თუ რამდენათ იქნება უზრუნველყოფილი კამპანია ამ კრედიტებით და რა გავლენას მოახდენს აღნიშნული კრედიტების გამოტანა ფულის ბაზარზე. კომისიაში შედიოდნენ—ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან ამხ. ქ. ჩხენკელი, სახელმწიფო ბანკიდან—ამხ. კაციევი და ა.-კ. ფინსახკომიდან ამხ. ხოფერია.

კომისიამ დაადასტურა, რომ 10 მარტიდან 20 მარტამდე გაცემული ყოფილა გრძელვადიანი კრედიტის სახით ა.-კ. რესპუბლიკებისათვის 2.133.000 მანეთი და მოკლევადიან კრედიტის სახით 2.975.000 მანეთი. 1-ლიდან 10 მარტამდე კი, ამავე მიზნით გაცემული ყოფილა 1.526.000 მანეთი. სულ 6.643.000 მანეთი.

აღნიშნული თანხიდან მებამბეობის რაიონებში გაიგზავნა—500.000 მან., მეთამბაქოობის რაიონში—500.000 მან., სათესლე მასალის შესაძენათ 200.000 მანეთი და საქონლის საკვების შესაძენათ—200.000 მანეთი.

სამელიორაციო კრედიტის სახით გასული წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე განაწილებული თანხიდან აზერბეიჯანს ხვდა—662.000 მან., სომხეთს—97.000 მან. და საქართველოს—131.000 მან.. ამგვარად. კომისია აღიარებს, რომ აღნიშნული რაოდენობის კრედიტები საკმარისი იქნება საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

რაც შეეხება კრედიტების სახით გაცემული თანხის ბაზარზე გამოტანას და აქედან მოსალოდნელ ფინანსიურ აჟიოტაჟს, კომისია სცნობს: ვინაიდან მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე კვარტალში, თანახმად ფინსახკომის ოფიციალური ცნობებისა, გლეხობამ ხაზინას უნდა დაუბრუნოს (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, საგლეხო სესხის ობლიგაციების და სხვა გადასახადთა სახით) დაახლოებით 5 მილიონი მანეთი, ამიტომ ფულის ბაზარზე რაიმე ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

150.000 მან. მუშა-საქონლის შესაძენად

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკმა სათანადო ორგანოების წინაშე აღძრა შუამდგომლობა 150.000 მანეთის სასწრაფოდ გადადების შესახებ მუშა-საქონლის შესაძენად.

ბანკს გადაწყვეტილი აქვს ეს თანხა გაანაწილოს საკრედიტო ამხანაგობებს შორის, რათა უკანასკნელებმა გლეხობას მიაწოდონ საშუალებები წრევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის საჭირო მუშა-საქონლის შესაძენად.

თათბირი მუშა-საქონლის შეძენის შესახებ

გუშინ შესდგა თათბირი საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე ა.-კ. რესპუბლიკების დაზარალებულ რაიონებისათვის მუშა-საქონლის შეძენის შესახებ. თათბირს დაესწრნენ—ა.-კ. კოოპერატივთა საბჭოს, ამიერ-კავკასიის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკების, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის, ა.-კ. და საქ. ფინსახკომის და სხ. დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ა.-კ. კოოპერატიულ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბუძრუემა, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს საქონლის საკვების კრიზისს, საქონელი ბევრგან იხოცება და იქმნება საფრთხე იმისი, რომ თესვის დაწყებისთვის ბევრ გლეხს აღარ ეყოლება მუშა-საქონელი მიწების მოსახნავად.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები მუშა-საქონლის შესაძენად. კერძოდ საქართველოს ზოგიერთი დაზარალებული რაიონებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილ უნდა იქნეს შესაფერი თანხები.

თათბირმა დაადგინა საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბულ მეურნეობათა დამხმარე ფონდიდან გამოყოფილ იქნეს 100.000 მანეთი, ხოლო 50.000 მანეთი გაიღოს სას.-სამეურნეო ბანკმა საკუთარი თანხებიდან საქართველოსათვის მუშა-საქონლის შესაძენად ეს თანხა გადადებულ უნდა იქნას დამატებით იმ თანხისა, რომელიც მოუწევს საქართველოს ა.-კ. ყველა რესპუბლიკებისათვის საქონლის შესაძენად გადადებულ 450.000 მანეთიდან.

საქონლის შესაძენად მიღებული ზომების შესახებ ადგილებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ა.-კ. თესვის კამპანიის რწმუნებულს ამხ. ბაგიროვს.

ამინდი და თესვის პერსპექტივები

მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსმა აგრ. დ. გედევანიშვილმა მიმდინარე ზამთართან და ცუდ ამინდებთან დაკავშირებით, საგაზაფხულო თესვის პერსპექტივების შესახებ, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საქართველოში წრევანდელი ზამთარი უჩვეულოა. საგაზაფხულო სამუშაოთა სეზონი ჩვენში იწყება ჩვეულებრივათ თებერვლის მეორე ნახევრიდან. ასეთ საგაზაფხულო სამუშაოებს ეკუთვნის: ვენახების დამუშავება, ვაზის მოვლა და შემდეგ, ხვნა-თესვა. წელს კი სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს ცნობით საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება მთელ რესპუბლიკაში ბრკოლდება დიდი თოვლის გამო. უკვე მარტი თავდება და რესპუბლიკის ბევრ მაზრებში ჯერ თოვლს დნობაც არ დაუწყია.

ჩვეულებრივათ ჩვენში გაზაფხულზე სწარმოებს სიმინდისა და ქერის თესვა და თესვის სეზონი გრძელდება დაახლოებით მაისის ბოლომდე, ეს იმიტომ, რომ საქართველოში გაზაფხულზე იცის დიდი გვალვები, რაც ხვნას აბრკოლებს და მხოლოდ მაისი ითვლება ისეთ თვეთ, როცა ადგილი აქვს ბევრ ატმოსფერულ ნალექებს (წვიმებს). წელს კი ამ მხრივ უზრუნველყოფილი ვართ. თოვლის დნობის დაწყების შემდეგ გვალვა აღარ იქნება საშიში და ხვნაც აღარ დაბრკოლდება. ამით შესაძლებელია ერთი მხრივ ანაზღაურდეს ის ნაკლი, რომ წელს დიდი ზამთარი ძალიან ამოკლებს საგაზაფხულო სამუშაოთა სეზონს.

ერთმა დაბრკოლებამ შეიძლება შეუშალოს ხელი საგაზაფხულო თესვაში: ეს ისაა, რომ საკვების სიმცირე იწვევს მუშა-საქონლის დასუსტებას და ეხლა კიდეც რომ ვიშოვოთ საკვები, ძნელი გახდება მაინც საქონლის მომზადება მძიმე სამუშაოების ასატანათ.

თუ ეს უკანასკნელი დაბრკოლება თავის დროზე გადაილახება, მაშინ საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატება მნიშვნელოვანად უზრუნველყოფილი იქნება.

სამზადისი აფხაზეთში

სოხუმი, 21 მარტი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ აფხაზეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. ლაკობამ განაცხადა შემდეგი:

აფხაზეთის ძირითადი მარცვლეული პროდუქტი არის სიმინდი, რომელსაც შარშან ეჭირა 29.000 დეს. სივრცე. რადგან შარშანდელი თესვის კამპანია ვერ ჩატარდა შესაფერისად, ჩვენ მივიღეთ პროდუქციის ნაკლები რაოდენობა. პროდუქციის ნაკლები რაოდენობით მიღება ყოველთვის იწვევს სოფლის მეურნეში ნათესების სივრცის გაფართოების ტენდენციას. ამიტომ მიმდინარე თესვის კამპანიაში სიმინდის ნათესის სივრცე გაფართოებულ იქნება 2.000 დესეტინით.

თუმცა მარცვლეულის სხვა პროდუქციას აფხაზეთში არ ჰქონია მნიშვნელობა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქალაქებში და სოფლებში ყოველწლიურად შეგვქონდა ნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი, აუცილებელს ხდის ერთგვარი ეკონომიური ბაზის შექმნას ამ მხრივ, ვინაიდან ხორბლის შეტანის შეფერხება ყოველთვის იწვევდა კრიზისებს. ეს გარემოება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს აიძულებს იზრუნოს ხორბლის ნათესების სივრცის გადიდებისათვის.

რაც შეეხება თამბაქოს ნათესების სივრცეს, ამას განსაზღვრავს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების პირობები. დღემდე თამბაქო ყოველწლიურად ითესება 10—12 ათასი დესეტინა.

მესაქონლეობის განვითარება აუცილებელს ხდის საქონლის უზრუნველყოფას საკვები საშუალებებით, რის გამო საჭირო ჩანს ბალახის თესვის მნიშვნელოვნად გაფართოება.

ამჟამად მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან მოწყობილია სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქციის კომიტეტი, რომლის გამგებლობაშიაც იქნება თესვის კამპანიის მოწყობა. მომავალი სეზონისათვის კომიტეტს განზრახული აქვს სიმინდის კულტურის გაუმჯობესება ახალი ხარისხის სიმინდის დათესვის საშუალებით. კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკვები ბალახების ნათესის გადიდებას რისთვისაც აფხაზეთის სას.-სამ. კავშირს დაავალა [illegible] შეიძინოს საჭირო თესლი.

ამასთან ერთად, კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალა შეიძინონ და ქვედა საფეხურის ქსელში გაანაწილონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნ. კავშირმა უკვე მიიღო 900 გუთანი, რომელიც ამ დღეებში იქნება განაწილებული სასოფლო-მეურნეობებს შორის. სასოფ.-სამეურნეო იარაღების მიწოდების დროს ღარიბი გლეხობის ინტერესები უზრუნველყოფილია შეღავათებით.

ცივი ამინდები აფხაზეთში ხელს უშლის თესვის კამპანიის დაწყებას. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას შეუდგნენ ხვნას. როგორც კი დადგება თბილი ამინდი, მაშინვე გაჩაღდება სასოფლო-სამეურნეო მუშაობა აფხაზეთში.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო ბიუჯეტი

ა.-კავკ. ცაკის მესამე სესიის რეზოლიუცია

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარის ამხ. დ. გუსეინოვის მოხსენებისა და ამიერ-კავკას. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეტიანის თანამოხსენების გამო

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-4 მოწვევის მე-3 სესია, მოისმინა რა მან ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. გუსეინოვის მოხსენება და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნაზარეტიანის თანამოხსენება ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. 25 ოქტომბერს დამტკიცებულ ამიერ-კავკასიის 1927—28 წ. მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ მასში შეტანილ ცვლილებების შესახებ,— სავსებით იწონებს ამიერ-კავკასიის მთავრობის საფინანსო პოლიტიკას.

ამასთანავე ერთად:

1) აღნიშნავს რა ინტენსიურ ზრდას 1927—28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისას, რომელიც წინ უსწრებს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის ზრდას, და აღნიშნავს რა აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროს განუწყვეტლივ გაძლიერებას და არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონის გადიდებას,—სესია ამავე დროს ფიქრობს, რომ ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო ბიუჯეტში საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ შეტანილ ცვლილებების გამო,—რაიც გამოიხატება მთელ რიგ შემოსავლის წყაროებიდან, უმთავრესად კი, არასაგადასახადო წყაროებიდან ანარიცხების გადიდებაში,—ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სიძნელითაა გამოყვანილი.

2) ადასტურებს რა ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის შეუჩერებელ ზრდას და ბიუჯეტის დეფიციტიანობის დიდათ შემცირებას ამ უკანასკნელ წლებში—47 პროცენტიდან 1925—26 წ. 3,7 პროცენტამდე 1927—28 წ.,—სესიას აუცილებლად მიაჩნია მომავალი წლისათვის ბიუჯეტის უდეფიციტოთ შედგენა.

3) სესია წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობასა და ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. შემავალ რესპუბლიკების მთავრობებს მიიღონ ყოველგვარი ზომები სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესასრულებლად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგადასახადო საქმეს როგორც საგადასახადო ობიექტების მთლიანად აღრიცხვისა, ისე, განსაკუთრებით კერძო კაპიტალის მთლიანად დაბეგვრის მხრით, ნარჩენების დაუშვებლად.

4) აღნიშნავს რა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთგვარ მიღწევებს სახელმწიფო ბიუჯეტისა, და კერძოდ საგადასახადო შემოსავლის შესრულების დარგში,—სესია, ამასთანავე, ყურადღებას მიაქცევს არასაგადასახადო შემოსავლის სისტემატიურ შეუსრულებლობას და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობას მიიღოს მთელი რიგი კონკრეტული ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა ექსპლოატაციის მოწესრიგებას, მათი მომგებიანობის გადიდებას და მათი ვალდებულებების თავის დროზე შესრულებას სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

5) ვინაიდან არსებულმა საგადასახადო სისტემამ (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი) სავსებით გაამართლა თავისი თავი, სესიას სწორად მიაჩნია მისი დატოვება მომავალი წლისათვის ცვლილებების შეტანით იმ მხრივ, რომ ის უფრო დაუახლოვდეს საშემოსავლო და პროგრესიულ სისტემას სოფლის შეძლებული ფენების უკეთ და უფრო მთლიანად დაბეგვრის მიზნით. ამასთანავე ერთად ხელუხლებლად უნდა დარჩეს ყველა შეღავათები მცირე შეძლების გლეხებისათვის და გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს ღარიბი გლეხობა.

6) სესია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იმ სახელმწიფო სესხების ბაზარი, რომლებიც წრევანდლამდე შედარებით დიდათ არ ვრცელდებოდა, წელს პირველად მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციამ ბაქოსა, თბილისსა, ერევანისა და სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურეების აქტიური დახმარებით, მნიშვნელოვნად გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ თანხას. სესია ამიერ-კავკასიის მთავრობასა და ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. შემავალ რესპუბლიკების მთავრობებს ავალებს შემდეგშიაც არ შეასუსტონ თავისი ყურადღება სახელმწიფო სესხებისადმი და განსაკუთრებით, უზრუნველჰყონ საგლეხო სესხის წარმატებითი რეალიზაცია.

7) სესიას სწორად მიაჩნია ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შედგენა ისე, რომ მასში საწარმოო ხასიათის ხარჯები სჭარბობდეს და საჭიროდ მიაჩნია ამ ხაზის შემდგომი გაღრმავება, განსაკუთრებით სამრეწველო მშენებლობისა და ელექტროფიკაციის დარგში.

ამასთანავე ერთად, სესიას აუცილებლად მიაჩნია სთხოვოს საკავშირო ცაკს ქაღალდის ფაბრიკებისათვის ასიგნობების აღდგენა იმ რაოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ 1927—28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით.

8) აღნიშნავს რა 1927—28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობების მნიშვნელოვნად გადიდებას სახალხო მეურნეობისათვის, კერძოდ ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ირიგაციისათვის და აგრეთვე ასიგნობების ზრდას ღარიბი გლეხებისათვის კრედიტების მიწოდების დარგში,— სესიას აუცილებლად მიაჩნია შემდეგშიაც გაძლიერებულ იქნეს ეს პოლიტიკა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ღონისძიებების განვითარებას სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

9) სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მრეწველობისათვის, ელექტროფიკაციისათვის, სასოფლო მეურნეობისათვის, ირიგაციისათვის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მნიშვნელოვან თანხების გაღებასთან დაკავშირებით და მთელ რიგ შემთხვევაში მათი გამოყენების არასაკმაო ეფექტიანობის გამო— მშენებლობის დამთავრების ვადებისა და მისი ღირებულების მხრივ,—სესია ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთავრობისა და ამიერ-კავკ. რესპუბლიკების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს შემდეგი ღონისძიებების აუცილებლობაზე:

ა) საჭიროა დაწყებული მშენებლობის დამთავრების ვადების დაწესება და მშენებლობის ობიექტების რაოდენობის შემცირება იმ მიზნით, რათა ისინი რაც შეიძლება მალე ჩაებან საწარმოო მოქმედებაში;

ბ) კაპიტალური მშენებლობის, როგორც ტეხნიკურ-ორგანიზაციულ, ისე ეკონომიური ხასიათის ნაკლის თავიდან აცილება;

გ) კონტროლის გაძლიერება იმ საშუალებების გამოყენებაზე, რომლებიც სახალხო მეურნეობას ხმარდება;

დ) მშენებლობის ღირებულების 15 პროც. დაკლების ცხოვრებაში გატარება და მშენებლობისათვის ფინანსების თავის დროზე მიწოდება;

ე) დაევალოს ამიერ-კავკასიის მთავრობას მიიღოს ზომები მთელი კაპიტალური მშენებლობისათვის და კერძოდ საბინაო და კომუნალურ მშენებლობისათვის ფინანსების თავის დროზე მისაწოდებლად.

ამასთანავე ერთად, იღებს რა მხედველობაში ამიერ-კავკასიის ირიგაციისათვის ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხების გაღებას და იმ დიდ როლს, რომელიც აქვს საირიგაციო მშენებლობას ქვეყნის ეკონომიკაში,—სესია იწონებს ამიერ-კავკ. მთავრობის ღონისძიებებს წყალთა მეურნეობის რაციონალიზაციის დარგში, და საჭიროდ მიაჩნია ამ ხაზის გაღრმავება შემდეგშიაც.

10) სესია აღნიშნავს, რომ კრედიტების განაწილება რესპუბლიკებს შორის იმ მიზნით, რომ ფინანსიურად მომარაგებულ იქნას სასოფლო მეურნეობა, კომუნალური წარმოებანი და სხვა,—მიზანშეუწონელია ზოგადი ეკონომიური კოეფიციენტების საფუძველზე და არ შეეფერება სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მომარაგებული დარგების გეგმაშეწონილად განვითარების ამოცანებს, ამიტომ სესია ავალებს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, დაამუშაოს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის კრედიტების განაწილების საკითხი, საფუძვლად დაუდოს მას სახალხო მეურნეობის თვითეული ცალკე დარგის საჭიროებისა და კრედიტის მიზნობრივი დანიშნულების გულდასმით შესწავლა და იხელმძღვანელოს სახალხო მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმებით და საკონტროლო ციფრებით.

11) სესია კმაყოფილებით აღნიშნავს საკავშირო მთავრობის და ამიერ-კავკ. მთავრობის ღონისძიებებს სასოფლო მეურნეობისათვის მავნებლებთან ინტენსიური ბრძოლის დარგში, უმთავრესად კი, ღონისძიებებს მსხვილფეხა საქონლის ჭირის ასაცილებლად, რაც გამოიხატა ამ მიზნისათვის 1927—28 წელს თვალსაჩინო თანხის—3 მილიონი მანეთის გადადებაში; სესია საჭიროდ სცნობს, რომ გაძლიერებული ბრძოლა სწარმოებდეს ამ სახალხო უბედურების მოსასპობად, ხოლო ამ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარჯები უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებიდან შემდეგ წლებშიაც.

12) სესია ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და ავალებს მთავრობას უზრუნველჰყოს საჭირო თანხების გადადება ამ.-კავკასიის საელექტროფიკაციო მშენებლობისათვის, რათა დაჩქარდეს არსებულ და დაწყებულ ელექტრო-სადგურების დამთავრება.

სესია თვლის, რომ ა.-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ელექტრომშენებლობისათვის გადადებული 1.858.000 მანეთი საკმაო არ არის და ავალებს ა.-კავკასიის მთავრობას, აღძრას შუამდგომლობა საკავშირო ცაკის წინაშე, რათა დამატებით გადაიდოს 1.000.000 მანეთი ბიუჯეტის მიხედვით ან საბანკო კრედიტის საშუალებით.

13) სესია იწონებს 1927-28 წლის ამ.-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტში, წარსული წლების მსგავსად, აზერბეიჯანის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური ხანავთო ფონდის შეტანას აზერბეიჯანის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და საჭიროდ სთვლის, რომ ეს ფონდი მომავალშიაც არსებობდეს ა.-კავკასიის ბიუჯეტში.

14) რადგან ა.-კავკასიის შარა-გზები და გზატკეცილები კვლავ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ა.-კავკასიის პირობებში საგზაო მშენებლობის მოწესრიგებისა და გზების ქსელის გაფართოების საკითხი მეტის-მეტად აქტუალურია, ამიტომ სესია ა.-კავკასიის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა მომავალი წლების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების გაძლიერება ამ მიზნისათვის.

15) სესია იწონებს მთავრობის ღონისძიებებს ამიერ-კავკასიის საბინაო და კომუნალური მშენებლობის გრძელვადიანი კრედიტებით უზრუნველყოფის დარგში (საკავშირო ბიუჯეტისა და ცენტრ. კოოპერატიული ბანკის ხაზით), ამავე დროს ითვალისწინებს საბინაო მშენებლობის შემდგომი გაფართოების და კომუნალური მეურნეობის გაძლიერების საჭიროებას და საჭიროდ სთვლის, რომ მომავალი წლიდან ა.-კავკასიის ბიუჯეტში შეიქმნას საბინაო და კომუნალური მშენებლობის ფინანსიურად მომარაგების საგანგებო ფონდი, დამატებით იმ ფონდებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საკავშირო ბიუჯეტის მიხედვით.

16) სესია აღნიშნავს, რომ მიუხედავად სხვა და სხვა სიძნელისა (ა.-კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის კონსტიტუციონური თავისებურებანი, 1927-28 წლის ა.-კავკასიის ბიუჯეტის დაგვიანებით განხილვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში, სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ჩატარების საჭიროება და სხვ.), —მთლიანად არის შესრულებული დირექტივა ა.-კავკასიის ბიუჯეტის საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ და სამმართველო ხარჯების შემოკლებით გაწეული ეკონომია—2.358.000 მანეთი მთლიანად მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული და სამეურნეო ხარჯების გასაძლიერებლად.

ხარჯთ-აღრიცხვით მიღწეული ეკონომიის რეალურად ცხოვრებაში გატარებისა და განმტკიცების მიზნით, სესია წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიისა და მის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს გააძლიერონ მუშგლეხთა ინსპექციის ორგანოთა მუშაობა, რათა შემოწმებულ იქნას რეალური შესრულება დირექტივისა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის შესახებ, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა განამტკიცონ მიღწეული შედეგები.

17) სესია იწონებს ა.-კავკასიის მთავრობის ღონისძიებათა გაძლიერებას სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დარგში და, ამავე დროს, საჭიროდ სთვლის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გადიდდეს ასიგნობა სოციალურ-კულტურულ საჭიროებისათვის, კერძოდ, ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებელთა მოწყობილობისათვის, რომელიც ამჟამად სრულიად საკმარისი არ არის სამოსწავლო პროგრამების ნორმალურ შესრულებისათვის

18) სესია აღნიშნავს ა.-კავკასიის ადგილობრივი ბიუჯეტების განვითარების ჯანსაღ მიმართულებას, რაც გამოიხატება სამომხმარებლო ხასიათის ხარჯების შემცირებაში და სახელმწიფოებრივი საწარმოო ხარჯების გაძლიერებაში, იგი საჭიროდ სთვლის ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის გაძლიერებას და ამიტომ აუცილებლად მიაჩნია, რომ ზომები იქნას მიღებული წარმოებისათვის საჭირო თანხების გასადიდებლად იმ მიზნით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების საწარმოო ხარჯებმა უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვონ. გარდა ამისა, სესიას საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიექცეს სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა (სკოლები და საავადმყოფოები) ღირსების გაუმჯობესებას და სასწორით იქნეს განსაზღვრული სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტების ხვედრობა.

19) ამიერ-კავკასიის სხვადასხვა თავისებურებათა წყალობით, ადგილობრივი ბიუჯეტები განსაზღვრულ გაჯანსაღებასთან ერთად, კვლავ დეფიციტიანია და რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ დასჭირდება თვალსაჩინო დახმარება და სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები.

ამიტომ სესია თვლის, რომ საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სუბვენციური ფონდის რაოდენობა საკმაოდ ვერ დააკმაყოფილებს ადგილობრივი ბიუჯეტის უპირველეს საჭიროებათ და სთხოვს საბჭოთა კავშირის ცაკს სუბვენციური ფონდის დასამატებლად 1.500.000 მანეთს.

20) ქვედა ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცებისა და საბჭოთა ქვედა ორგანოების უფლებათა გასაფართოვებლად საჭირო მატერიალური ბაზისის შექმნის მიზნით,—სესია წინადადებას აძლევს ა.-კავკასიის მთავრობას, დააჩქაროს ა.-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების დარაიონების საქმე.

21) სესია აღნიშნავს, რომ ა.-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის არასაკმაო მონაწილეობა საბიუჯეტო მუშაობაში აიხსნება ა.-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის აგებულების ობიექტიური პირობებით, მისი გატარების წესის სირთულით და ინსტანციების სიმრავლით, იგი ითვალისწინებს, რომ მომავალში ა.-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის უდეფიციტოდ შედგენასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ გამარტივდება ბიუჯეტის განხილვის წესი და საჭირო პირობები შეიქმნება კომისიის გეგმაშეწონილი მუშაობისათვის, ამიტომ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 მოწვევის მე-3 სესია საჭიროდ სთვლის, რომ მომავალში საბიუჯეტო კომისიამ უფრო უშუალო და სისტემატიური მონაწილეობა მიიღოს როგორც საერთოდ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში, ისე საბიუჯეტო მშენებლობის სხვადასხვა პრობლემათა გადაწყვეტაში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
ა. შავერდოვი.

1928 წ. მარტის 17.
ქ. ბაქო

პარტიული ცხოვრება

მიმაგრების პრაქტიკა უნდა გადაისინჯოს

(წინადადების სახით)

უჯრედების პასივში, როგორც ამას გვიჩვენებს მუშაობის პრაქტიკა, თითქმის ყოველთვის მოხვდებით ეგრედ წოდებულ უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგებს. მიმაგრებულებს, როგორც სხვა წარმოებაში თუ დაწესებულებაში მომუშავეთ, არა აქვთ საწარმოო კავშირი უჯრედის წევრთა უმრავლესობასთან. ყოველდღიურ მუშაობაში ისინი ვერ ხვდებიან ბიუროს წევრებს, ვერ ადევნებენ თვალს უჯრედის მუშაობას და სხვა. ნაწილობრივ ამისგან არის გამოწვეული ის ქრონიკული მდგომარეობა, რომ მიმაგრებულები ხშირად არავითარ პარტიულ მუშაობას არ ეწევიან და კმაყოფილდებიან მხოლოდ უჯრედის საერთო კრებებზე დასწრებით.

პარტიულ სამუშაოების განაწილების დროს ბიურო ხშირად განზრახ გაურბის მიმაგრებულ ამხანაგებისათვის რაიმე დავალების მიცემას, რადგან ის ტერიტორიალურად შორს არის უჯრედიდან, ბიურო მას ყოველდღიურად ვერ ნახულობს სხვადასხვა დირექტივების მისაცემად ან ჩატარებულ მუშაობის ანგარიშის მოსათხოვად.

არის მაგალითები, როცა ამისდა მიუხედავად ბიუროები აბამენ პარტიულ მუშაობაში მიმაგრებულ ამხანაგებს, მაგრამ პრაქტიკული შედეგი ამას არაფერი მოაქვს. პირიქით, ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ისეთი მდგომარეობაც იქმნება, რომ მიმაგრებული ამხანაგები, შეიძლება მათდა უნებლიეთ, ხელს უშლიან პარტიულ მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას. ჩვენ ალაგ-ალაგ ვიტყვით აქ იმის შესახებ, რომ ზოგიერთ უჯრედებში მიმაგრებულნი მედიდურობენ, „პასუხისმგებელ ხელმძღვანელობას" იჩემებენ, რომ არ არის მიმაგრებულთა და უჯრედის წევრთა უმრავლესობის შორის მჭიდრო ამხანაგური ურთიერთობა და სხვა. ამის მაგალითები არც ისე იშვიათია.

ყოველივე ეს იმას გვიჩვენებს, რომ საკითხი მიმაგრებულთა შესახებ საჭიროებს გადასინჯვას. უნდა გამოიძებნოს ისეთი ფორმები, რომ მიმაგრების გამო არ ფერხდებოდეს უჯრედის მუშაობა და მეტი შესაძლებლობა შეიქმნეს მიმაგრებულის პარტიულ მუშაობით დასატვირთავად. ამხანაგები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ საკითხს, უთუოდ გამოსთქვამენ ამის შესახებ თავიანთ აზრს.

უჯრედელი.

მფრინავი კრებების შესახებ

(გორის მ.)

მიუხედავად იმისა, რომ ცეკამ მიზანშეწონილად სცნო კომუჯრედების მფრინავ კრებების მოწყობის აუცილებლობა, ზოგიერთი უჯრედები ჯერ კიდევ ვერ გადავიდნენ ასეთების მოწყობაზე. მოიპოვებიან ასეთი კრებების მოწყობის წინააღმდეგ ზოგიერთი თემკომის პ.-მ. მდივნები.

აქ ამხანაგები მხედველობიდან უშვებენ ერთ გარემოებას, მაგალითად, გორის მაზრის ზოგიერთ თემებში მოიპოვებიან ისეთი კომუჯრედები, რომლებიც აერთიანებენ 3—4 სოფელს. ასეთები შეიძლება სხვაგანაც იყვეს. სოფლები დაშორებული არიან ერთი-მეორეზე ორიდან სამ ვერსზე. ამავე სოფლებში მოიპოვება თითო ოროლა პარტიის წევრი და კანდიდატი, რომლებსაც უჯრედის ბიურო ვალდებულათ ხდის, რათა მათ იარონ აღნიშნულ სოფლის ცენტრში, სადაც ეწყობა უჯრედის კრებები. ამ შემთხვევაში პარტიულ ყურადღების გარეშე რჩებიან დანარჩენი სოფლები. კომუჯრედის ბიუროებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა.

მფრინავი კრებების საშუალებით უჯრედს დაწვრილებით ექნება შესწავლილი სოფლის უპარტიო აქტივის საკითხი, უფრო ადვილათ შეიძლება იმავე სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, როგორიც არის მაგ. საბჭო, სასოფლო კომისიები სკოლა, მეურნეობის გაუმჯობესების საკითხები და სხვა.

ე. კალანდაძე.

კომკავშირში

ს. ა. ლ. კ. კ. თბ. კომიტეტის პლენუმზე

გუშინ საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში გაიხსნა საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები

1. თბილისის ორგანიზაციის აქტივის შემადგენლობის, მდგომარეობის, დაწინაურების და აღზრდის საკითხები;
2. ფიზკულტურის ორგანიზაციის ნებაყოფლობითი მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ;
3. რუსულ გაზეთ „მოლოდოი რაბოჩი"-ს გამოშვების შესახებ;
4. პოლიტ-სკოლების გამოშვება;
5. ორგანიზაციული და
6. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გ. სილაძემ.

—ორგანიზაციის ერთად-ერთი დასაყრდენი ძალა,—ამბობს მომხსენებელი,—არის აქტივი.

დღეს ასეთია ჩვენი აქტივის მდგომარეობა: უჯრედების ბიუროების გადარჩევის შემდეგ ბიუროებში გაყვანილ იქნა მუშები—54,7 პროც., (გასულ წელს იყო 47,8 პროც.), უჯრედის მდივნებათ მუშები—50,4 პროც. (იყო—43,2 პროც.) მოჯამაგირეები—3,75 პროც., (იყო—2,5 პროც.). რაიონულ კომიტეტში მუშები გვხვდება—69,9 პროც. (იყო—61,5 პროც.). გარდა ამისა, რაიონების ბიუროებში სულ ირიცხება 25 კაცი, ამათში—18 მუშაა. თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში თითქმის 100 პროც. მუშათა რიგებიდანაა.

ამგვარად, აქტივის ზრდა სწარმოებდა უმთავრესად მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე.

— ზოგიერთი აქტივისტი დატვირთულია ზედმეტი მუშაობით. უჯრედის მდივანი ხშირად ყველაფერია: აგიტპროპი, მომხსენებელი ამა თუ იმ წრის ხელმძღვანელი და სხვა. საჭიროა ასეთი ამხანაგების ზედმეტ დავალებათაგან განთავისუფლება და სხვისი წამოწევა.

გარდა ამისა, ყურადღება არ ექცევა თავისუფალ დროის რაციონალურად გამოყენების საკითხს. ახალგაზრდობას დიდი დრო ეკარგება უმიზნოთ ქუჩაში თუ სხვაგან ხეტიალში

— ეხლა საკითხი ისმება—როგორი ტიპის აქტივი გვინდა ჩვენ დღეს?

მოკლეთ:

ჩვენ ეხლა გვესაჭიროება მუშა-აქტივისტი: მტკიცე, კულტუროსანი, თამამი აზრების, კულტურულად მომუშავე, მასებთან დაკავშირებული მტკიცე ხასიათის, მედგარი, ჩვენი საქმის პერსპექტივის შემგნები, მაგრამ კონკრეტული —პატარა საქმის მომხერხებელიც; ჩვენ გვესაჭიროება აქტივისტი, რომლისთვისაც უცხოა დაუდევრობა და გაურკვევლობა, კომმედიდურობა და პანიკიორობა, უმეცრება და უპრინციპობა.

ჩვენ გვესაჭიროება აქტივისტი, რომლისთვისაც მუშაობაზე დიდი და მაღლობელი არაფერია არ არსებობს, რომლისთვისაც უკანა რიგზე სდგას ყველაფერი, რასაც პირადი ხასიათი აქვს, რაც მის დანიშნულებას არ შეეხება.

— დასასრულ მე დარწმუნებული ვარ, რომ პლენუმი ყველა წამოყენებულ საკითხებს მიაქცევს სერიოზულ ყურადღებას.

ამხ. გ. სილაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. ამხ. ჯავახიძემ, ჩაკვეტაძემ, პერეუშინმა, აზარაშვილმა, ლეკვეიშვილმა, ტერტეროვმა, ბეჟანოვმა, ბუჯიაშვილმა, ილინმა; ბარნაბიშვილმა, გიორგობიანმა, პანიევმა, ვარლამოვმა, მეხაძემ და სხვებმა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ რომ: — მუშა-ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი წამოწეულ უნდა იქნეს რაიონულ კომიტეტებში. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ისევ უნდა დაუბრუნონ წარმოებას და სხვები იქნან წამოყენებული მათ ადგილას.

— ჩვენს აქტივს შორის ადგილი აქვს ლოთობას, ხულიგნობას, სქესობრივ გახრწნილებას და სხვა. ეს მეტად მტკივნეული საკითხია და პლენუმმა სათანადო დადგენილება უნდა გამოიტანოს ამის შესახებ;

—პერიოდიულად უნდა იქნეს ჩატარებული საქმიანი შემოწმება.

აქტივი არ არის საკმაოდ მომზადებული; საჭიროა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ კომობივატელობას, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზაციაში; ხშირად უნდა მოეწყოს მოხსენებები, დისპუტები და სხვა დროულ თემებზე; მოწყობილ უნდა იქნეს კურსები, სადაც მომზადებულ იქნება სარაიონო კომიტეტის მუშაკები; აქტივმა უნდა იკითხოს პერიოდული გამოცემანი, უმთავრესად კი კომკავშირული გაზეთები და სხვა.

კამათის დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. სილაძემ, რომლის შემდეგ დაიხურა პირველი სხდომა.

მეორე სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე.

ჭა—ნაძე.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

საბჭოების საანგარიშო კამპანია სიღნაღის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს

სენაკის სამაზრო საკონკურსო კომისიამ დააწესა 6 ჯილდო საუკეთესო სექციების დასაჯილდოებლად

როგორ მიმდინარეობს საბჭოების და მისი სექციების საანგარიშო კამპანია

(წერილი სიღნაღიდან)

სასოფლო-სამეურნეო საბჭოების და მისი სექციების საანგარიშო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა სიღნაღის მაზრაში დამთავრდა მარტის პირველ რიცხვებში და საერთო საანგარიშო კრებები დაწყებულ იქნა ა.-წლის 15 მარტს ქიზიყის რაიონიდან.

მაზრის ხელისუფლების და პარტორგანიზაციების მიერ ხსენებულ საანგარიშო კამპანიის მასიურად და წარმატებით ჩატარებისათვის მიღებულ იქნა შემდეგი წინასწარი ზომები:

გამოიყო მაზრის პასუხისმგებელ ამხანაგებიდან 29 კაცი ადგილებზე საანგარიშო კამპანიის მომზადების და ჩატარების სახელმძღვანელოდ. ჩატარდა სპეციალური თათბირი ხსენებულ ამხანაგებისა საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებულ კითხვების გასარკვევად და უკანასკნელნი დაგზავნილ იქნენ სოფლებში და თემებში.

ჩატარდა მთელს მაზრაში: ღარიბი გლეხების, მშრომელი ქალების, მოჯამაგირეების, კოოპერაციის და პროფკავშირის წევრების ცალკე წინასწარი თათბირები საბჭოების საანგარიშო კამპანიაში შეგნებული და ორგანიზაციული მონაწილეობის მიღების მიზნით. საანგარიშო კამპანიის დაწყებიდან თვენახევრით ადრე დირექტივები მიეცა ადგილებს იმის შესახებ, რომ სათანადო უბნებში საანგარიშო მოხსენება ამომრჩეველთათვის ჩაებარებინათ ადგილობრივ გლეხ-დეპუტატებს და არ დაეშვათ ყველა უბნებში მომხსენებლად ერთი და იმავე პირის (თავმჯდომარე, აღმასკომის წევრი) გამოსვლა.

მოსამზადებელი მუშაობის განმავლობაში შენიშნული იქნა, რომ ადგილებს არ სურდათ გაეტარებინათ დირექტივები უბნებში მომხსენებლად გლეხ-დეპუტატების გამოყვანის შესახებ იმ მოტივით, რომ ვითომც საბჭოს წევრ-გლეხებმა „არ იციან მოხსენების გაკეთება და არევენ საქმეს". ეს გადახრა კატეგორიული ზომებით იქმნა აღმოფხვრილი. ადგილებს დაევალათ თემსაბჭოს და აღმასკომების მოხსენება შეედგინათ წინასწარ წერილობით და ის საბჭოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ დაერიგებინათ ყველა მომხსენებელთათვის. გარდა ამისა მიეცათ წინადადება სოფლის და თემის საბჭოებს, რათა მათ რამდენიმეჯერ მოეწვიათ მომხსენებლებლად გამოყოფილი გლეხ-დეპუტატების საინსტრუქციო თათბირი ამომრჩეველთათვის საანგარიშო მოხსენებს სისწორით ჩაბარების უზრუნველსაყოფად და მომხსენებლების სათანადოდ მოსამზადებლად.

მიცემულ იქნა აგრეთვე დირექტივები მომავალ არჩევნებამდე დამატებითი ნაკაზების მისაცემად საბჭოებისათვის და მსაჯულთა მორიგი გადარჩევის საანგარიშო კამპანიასთან დასაკავშირებლად.

დასასრულ შემუშავდა საერთო საანგარიშო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმა, რომლის თანახმადაც საანგარიშო კრებები მაზრაში უნდა მოთავდეს აპრილის რიცხვებში.

საანგარიშო კრებები ყველგან მიმდინარეობს შარშანდელ საარჩევნო უბნებში. საანგარიშო კრებებზე ისმება საკითხები: 1) საბჭოს და აღმასკომის საანგარიშო მოხსენება, 2) უმოქმედო დეპუტატების უკან გაწვევა და 3) მსაჯულების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენების გაკეთების შემდეგ იმართება შეკითხვების შეტანა და კამათი საბჭოს და აღმასკომის მოქმედებაზე. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ, კრება აფასებს საბჭოს მუშაობას და აძლევს საბჭოს ახალ დავალებებს (დამატებითი ნაკაზი) საბჭოების მომავალ არჩევნებამდე შესასრულებლად.

არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს გლეხებში საბჭოს ანგარიში. გლეხები გაფაციცებით უსმენენ ანგარიშის მომხსენებელს. აძლევენ შენიშვნებს ადგილებიდან მომხსენებლებს, როცა უკანასკნელი გადაამეტებს ან მიაფუჩეჩებს იმას, რაც საბჭოს ვერ გაუკეთებია. კამათში გლეხები გამოდიან ჯერ არნახული აქტივობით და საქმიანი წინადადებებით. ზემო-მაჩხაანის საანგარიშო კრებაზე საბჭოს ანგარიშის ირგვლივ კამათში გამოვიდა 60 წლის ღარიბი გლეხი სანდრო როპიტაშვილი, რომელმაც სთქვა:

„ჩვენ შარშან საბჭოს დავავალეთ მიეღო ყველა ზომები და შეეკეთებინა წყარო ზემო-მაჩხაანის კალოებთან, შირაქში, ამის შესრულება შეიძლებოდა, მაგრამ საბჭომ თავისი უყურადღებობით ვერ შეასრულა, აღნიშნულ კალოზე ჩემისთანა ღარიბები იტანჯებიან უწყლოობით, თორემ კულაკებს რა უჭირთ, იმათ ტაშკა აქვთ, ბოჭკები აქვთ, საქონელი ჰყავთ და აქედან მიაქვს საკმაო წყალი. ეს საქმე საბჭოს უნდა გაეკეთებინა თორემ სიკო ყორიაშვილი (ცნობილი კულაკია) ხომ არ გააკეთებს"-ო.

ზემო-მაჩხაანის საბჭოს მუშაობის შეფასების დროს გლეხებმა წინადადება შეიტანეს „საბჭოს მუშაობა სუსტად ჩაითვალოს". შემოვიდა მეორე წინადადება, რომელიც საბჭოს მოქმედებას დამაკმაყოფილებლად სცნობდა. ამომრჩევლები ორად გაიყვნენ, ზოგი ამბობდა რაც მთავარია საბჭომ ვერ გააკეთაო, ზოგნი ამბობდნენ ერთი წლის განმავლობაში მეტის გაკეთება არ შეიძლებოდაო. ბოლოს უკანასკნელ წინადადებას კენჭი და სამი ხმის უმეტესობით საბჭოს მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. კრებაზე იყო 424 კაცი. ამომრჩევლების 58 პროც.

არბოშიკის საანგარიშო კრებაზე მომხსენებელმა სთქვა: „ნაკაზი შევასრულეთ 60 პროცენტით"-ო. გლეხმა ი. კოტაშვილმა წინადადება მისცა მომხსენებელს „დაწვრილებით წაგვიკითხე ჩვენი ნაკაზი და აგვიხსენი, თუ რა შესრულდა იქიდანო". მომხსენებელმა დააკმაყოფილა კოტაშვილის წინადადება და ნათქვამი სწორი აღმოჩნდა.

აქტივობის მხრივ ასეთი მდგომარეობა იყო მთელს ქიზიყში (ქიზიყში შედის 9 თემი), ირკვევა, რომ საარჩევნო კრებებზე მიცემული ნაკაზები ხშირად ზერელეა და ადგილობრივ მოთხოვნილებებს გვერდს უვლის. ნაკაზებში ზოგან შეტანილია დიდი წამოწყებანი და დავიწყებული სადღეისო პირველი. მაგალითად ბოდბისხევის საბჭოს ნაკაზში ნათქვამია „აშენდეს ელექტრო-სადგური"-ო, მაშინ, როცა ამ თემს სკოლის შენობები ენგრევა, ამაზე კი ნაკაზში არაფერია ნათქვამი. ახალი დავალებების მიცემის დროს ეს დეფექტები საბოლოოდ გამოსწორებულია. ახალ დავალებებში მთავარი ადგილი უჭირავს: მიწად-მოწყობის დაჩქარებას, გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მიცემულ რაოდენობით განაღდებას, კოლექტივების სწორ ორგანიზაციას და სხვა.

ამომრჩევლების დასწრებას საანგარიშო კრებებზე ძლიერ აფერხებს ცუდი ამინდები. მიუხედავად ამისა დღემდე ჩატარებულ საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი 40 პროცენტზე ნაკლები არ არის. ქალთა დასწრებაც ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელია. ქალთა აქტივობა საანგარიშო კრებებზე შედარებით მამაკაცებთან სუსტია.

გარდა ამისა სამაზრო აღმასკომის საანგარიშო მოხსენება ჩაბარდება 10 თემის საბჭოების გაფართოებულ სხდომას და მაზრაში ორ პუნქტზე თემის მოსახლეობის საზოგადო ყრილობას.

საერთოდ საანგარიშო კამპანიის გატარების საქმეში დღემდე არსებული ცნობები ამტკიცებს, რომ სიღნაღის მაზრაში საანგარიშო კამპანია ჩატარდება მეტად ნაყოფიერად; იგი უდიდეს როლს ითამაშებს საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლების საქმეში.

რაც შეეხება საბჭოების საუკეთესო სექციების კონკურსს, საამისოდ გამოყოფილია სამაზრო საკონკურსო კომისია. მაზრაღმასკომის ინსტრუქტორს და პრეზიდიუმის 4 წევრს დავალებული აქვთ სექციების მუშაობის გამოკვლევა და სათანადო მასალების დანიშნულებისამებრ წარდგენა. სექციების მუშაობის გამოკვლევა და კონკურსის დამთავრება განზრახულია აპრილის დამლევისათვის.

აქ. ჭოჭუა.

საგარეჯოს თემსაბჭო (თბილისის მაზრა)

საბჭოების საანგარიშო კამპანია ჩვენს თემში დამთავრდა თებერვლის ბოლო რიცხვებში. კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით წინასწარ გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. საგარეჯოს თემი დაიყო 10 საანგარიშო უბნათ. კამპანიის დაწყებამდე მოწვეულ თემსაბჭოს გაფართოებულ სხდომამ მოისმინა თემ-აღმასკომის მუშაობის ანგარიში და აგრეთვე განიხილა კამპანიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. საანგარიშო მოხსენებების გასაკეთებლად გამოყოფილ იქნენ საბჭოს აქტიური წევრები მათ შორის გლეხი-ქალებიც. დამსწრენი კრებებზე დიდ აქტივობას იჩენდნენ. აძლევდნენ მომხსენებლებს შეკითხვებს, გამოდიოდნენ სიტყვებით და სხვა. ამომრჩევლები უმთავრესად ეხებოდნენ მიწათმოწყობას, გზების და ბოგირების შეკეთებას, სასმელი და სარწყავი წყლების გამოყვანას, სკოლის შენობების აგებას და სხვა. ზოგიერთი გლეხები გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას სართიჭალა-კაკაბეთის შარა-გზაზე შემოღებულ არანორმალურ წესების შესახებ. სახელდობრ გლეხობისათვის 5 დღიან სამუშაოში მოზომილი მიწის ნაკვეთების ვარგისიანობა, რადგან ერთი და იგივე ზომის ნაკვეთი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირია, ადვილად დასამუშავებელიც და ძნელიც. გლეხებს აწუხებდათ აგრეთვე ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთები მინდვრად დაფანტულია 20 ვერსის მანძილზე თვითეული, რაც ხელს უშლის გლეხის მეურნეობის ნაყოფიერად წარმოებას.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, წარსულში საბჭოს მიერ ნაკლები ყურადღება ჰქონია მიქცეული სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამოყალიბებას და მის კოლექტივიზაციას ზოგიერთ სოფლის გამოკლებით. რაც შეეხება თემის კეთილმოწყობას ამ მხრივ დიდი ნაბიჯებია გადადგმული.

საანგარიშო კრებებზე ისმებოდა საკითხი გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შესახებ, რომელსაც გლეხობა კმაყოფილებით ხვდებოდა. საანგარიშო კრებები გამოყენებულ იქმნა აგრეთვე ქასიურ და უმოქმედო დეპუტატების გამოსაწვევად და ზოგიერთისთვის სათანადო გაფრთხილებების მისაცემად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით წარსულთან, საანგარიშო კამპანია უფრო გაცხოველებით ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა უმეტესობამ.

როგორ მუშაობდა თემსაბჭოს სექციები

თემსაბჭოსთან არსებობს ოთხი სექცია: საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულიად საექიმო-სასანიტარო. ყველა სექციები მუშაობდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმით. გარდა საბჭოს წევრებისა სექციებში ჩაბმულ იყვნენ აქტიური გლეხები, პროფკავშირის წევრები, მშრომელი ინტელიგენცია და ახ. ლ. კ. კომკავშირელები.

საამშენებლო სექციის გარდა, თვითეულ სექციას სხდომები ჰქონდა დღემდე სამჯერ. სექციები ისმენდნენ თავიანთ სხდომებზე ექიმის, აგრონომის, სკოლის გამგის, სამკითხველოს და სხვათა მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ. უკანასკნელთ ეძლევათ სათანადო სექციების მიერ პრაქტიკული მითითებანი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ადგილობრივ დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობა-საქმიანობა.

სასოფლო-სამეურნეო სექცია აერთიანებს 24 წევრს. გაირჩა 8 საკითხი. საექიმო-სასანიტარო აერთიანებს 25 წევრს, გაირჩა 18 საკითხი; კულტურულ-საგანმანათლებლო სექციაში ჩაბმულია 14 წევრი, გარჩეულია 10 საკითხი.

როგორც სხდომები, ისე გარჩეული საკითხები, ძალიან მცირეა, რაც შემდეგისათვის უნდა გამოსწორდეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საამშენებლო სექციის მუშაობა, სადაც გაერთიანებულია 41 როგორც საბჭოს წევრები, ისე არაწევრებიც. აღნიშნულ სექციის სხდომა გამართხი, დიდი მუშაობა სწარმოებდა საგზაო მშენებლობის დარგში. კეთდებოდა ბოგირები, ხიდები — როგორც სოფლებში, ისე მინდვრათ იჭრებოდა ახალი გზები, სუფთავდებოდა და იწმინდებოდა ძველი, მიღებულ იქმნა ზომები სოფლებში წყალსადენის მიღების შესაკეთებლად, სოფ. გიორგიწმინდაში სახ. სახლის ასაგებად და მრავალი სხვა.

თბილისის აღმასკომის დახმარებით საამშენებლო სექციამ მოჰკიდა ხელი საგარეჯოში უდიდესი საქმის გაკეთებას. უკვე აშენდა 48 ოთახიანი საავადმყოფოს შენობა ერთი წლის განმავლობაში. შენობის კედლები უკვე დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს ხადურგლო სამუშაოები.

საამშენებლო სექციის ასეთი მუშაობა სანიმუშოა და სამაგალითო.

ადგილობრივი.

საუკეთესო სექცია მიიღებს საუკეთესო ჯილდოს

(წერილი სენაკიდან)

სამაზრო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება უკვე შეუდგა სექციათა მუშაობის გამოკვლევას. შესდგა თემსაბჭოთა სექციების კონკურსის ჩამტარებელი კომისია. ეს კომისია უხელმძღვანელებს მაზრაში სექციების კონკურსს და საუკეთესო სექცია მიიღებს ჯილდოს.

კომისიამ ამას წინეთ იმსჯელა იმ ჯილდოს შესახებ, რომელიც უნდა მიეცეს საუკეთესო სექციას. მაზრაში თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია ექვსი სხვადასხვა სექცია. კომისიამ დანიშნა 6 ჯილდო. თითოეული საუკეთესო სექცია მიიღებს თითო ჯილდოს.

როგორია ეს ჯილდოები?

1. საამშენებლო და კეთილმოწყობის სექციები მიიღებენ ჯილდოთ 1.500 კ. ფ. ხე-ტყის მასალას, რომელიმე კულტდაწესებულების შენობის ასაგებად.
2. საგზაო-ხიდების სექცია მიიღებს 80 კასრ ცემენტს ხიდ-ბოგირების ასაგებად და აგრეთვე 50 მანეთს ცემენტის გადასაზიდად.
3. საფინანსო-საგადასახადო სექციას მიეცემა თანხა სამხედრო კუთხის მოსაწყობად ტირით.
4. კულტურულ-განმანათლებელ სექციას—რადიო-მიმღები, ან 300 მანეთი სასწავლო ხელსაწყოების შესაძენად.
5. საექიმო-სასანიტარო სექციას 300 მან. საექიმო ხელსაწყოების შესაძენად.
6. სასოფლო-სამეურნეო-საკოოპერაციო სექციას 300 მან. ღირებულების სას.-სამ. იარაღები.

ამნაირად სექციების მუშაობის შემოწმება იწყება. სექციები გამოცდილების წინაშე დგებიან. საუკეთესო სექცია საუკეთესო ჯილდოს მიიღებს.

ახლო მომავალი დაგვანახებს, თუ რომელი თემსაბჭოს ან ქალაქის საბჭოს სექცია გახდება ღირსი დაჯილდოების.

გ. უჩანეიშვილი.

საანგარიშო კამპანია ადგილებზე

ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში მიღებულ ცნობების თანახმად, საანგარიშო კამპანიის მიმდინარეობა მაზრებში შემდეგნაირია:

ბორჩალოს მაზრაში დიდი თოვლის და ცუდი ამინდების გამო საანგარიშო კამპანია გაგრძელდება 15 აპრილამდის.

დუშეთის მაზრაში მდგომარეობა უფრო მწვავეა, ღრმა თოვლის გამო მიმოსვლა მაზრის ცენტრსა და თემებს შორის შეწყვეტილია, შეწყვეტილია აგრეთვე ნორმალური კავშირი თბილისთანაც. საანგარიშო კამპანია არ მიმდინარეობს.

საქ. ცაკში

დახმარება დაზარალებულ გლეხებს

საქ. ცაკის სოციალურ-უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა შეიძინა და სათემო გლეხკომების საშუალებით შეღავათიან პირობებში უღარიბეს გლეხებს გაუნაწილა 9 ვაგონი თივა და ორი ვაგონი სიმინდი.

გლეხთა სახლები

ქუთაისის სამაზრო გლეხკომების მეოთხე ყრილობის დადგენილების თანახმად ხონის, სამტრედიის და წყალტუბოს გლეხკომები შეუდგენ გლეხთა სახლების მოწყობას.

რაჭის მაზრაში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ კვარტალში რაჭის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში სულ აღრიცხული იყო სამოქალაქო და იმპერიალისტური ომის 68 ინვალიდი, 1 შრომის ინვალიდი და ომში მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგული პირების 26 ოჯახი. ამ პერიოდის განმავლობაში ზემო-აღნიშნულ პირებს აღმასკომმა თავის საშუალებებიდან დაურიგა პენსიები და დახმარების სახით 611 მანეთი.

საქ. სახკომსაბჭოში

კულტურული მეურნეობის გაფართოება გორის მაზრაში

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს გორის სამაზრო აღმასკომს—მაზრაში კულტურული მეურნეობის გასაფართოებლად საჭირო თანხა შეიტანოს აღმასკომის 1928—29 წლის ბიუჯეტში.

დაევალა გორის სამაზრო აღმასკომს კულტურული მეურნეობის გასაფართოებლად საჭირო გრძელვადიანი სესხის 5.000 მანეთის გაღების საკითხის შესახებ შეუთანხმდეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

სახ.-სამ. სტატისტიკის მუშაობის გეგმის შესახებ

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საქართველოს 1927—28 წ. სასოფლო-სამეურნეო 10 პროცენტიანი შერჩევითი აღწერის დატოვება.

გაუქმდა ა.-კ. სახკომსაბჭოს გადასინჯვის აღნიშნულ საკითხის თაობაზე თავისი 1928 წ. თებერვლის 16-ის დადგენილება.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის გამოცდა

(თათბირი ს. მ. უ. საბჭოში)

გუშინ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან, ინჟ. ბ. პიჭინაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი აბაშის ჰიდრო-ელსადგურის აგებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად. თათბირზე სადგურის საამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟ. ვასილევსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სადგურის ყველა ძირითადი ნაგებობების აშენება დასრულებულია და ამჟამად მიმდინარეობს აგრეგატის მონტაჟი.

ამჟამად ტურბინის მოწყობაც დასრულდა და ეხლა სწარმოებს მხოლოდ ამუშავებული ტურბინის გასაგრილებელი მოწყობილობის დადგმა. ტურბინის მონტაჟი დასრულდება აპრილის პირველი რიცხვებისათვის, ხოლო 10 აპრილისათვის შესაძლებელი გახდება მისი საცდელი ამუშავება.

სადგურის ელექტრო-მოწყობილობათა დადგმის შესახებ საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ინჟ. დობროჩიჩერი, რომელმაც თათბირს აცნობა, რომ მთელი ელექტრო მოწყობილობა უკვე დადგმულია, მათი მონტაჟი დასრულდა და ამჟამად დარჩა მხოლოდ ტრანსფორმატორის გამოშრობა. ტრანსფორმატორის გამოშრობა დასრულდება 5 აპრილისათვის და ამ დღიდან შეიძლება დაწყებულ იქნას მისი საცდელი ამუშავება.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ თათბირმა გადაწყვიტა გამოყოფილ იქნეს სადგურის ნაგებობათა გამომცდელი კომისია, რომელშიაც შევიდნენ—ინჟ. კოჩუბეინიკოვი, კოსტოვსკი, მუსხელიშვილი, გლურჯიძე, დობროჩიჩერი და ზარკოვსკი.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ქვესადგურებზე გადამცემ ელექტრო-ქსელის და სხვა ელექტრო მოწყობილობათა გამოსაცდელათ თათბირმა გამოყო მეორე კომისია, რომელშიაც არჩეული არიან: ინჟ. ბიჭიშვილი, კვარაცხავა და გლურჯიძე. აღნიშნული კომისია მუშაობას უნდა შეუდგეს სადგურის ნაგებობათა გამოცდის დასრულების შემდეგ, რომელიც განზრახულია მოხდეს აპრილის პირველ ნახევარში.

საწარმოო და ეკონომიური თათბირები

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ საქართველოს ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობებს, სამაზრო პროფკავშირულ ბიუროებს და ავტონომ. რესპუბლიკების პროფსაბჭოებს დაუგზავნა ცირკულიარი საწარმოო და ეკონომიური თათბირების შესახებ.

ცირკულიარში ნათქვამია, რომ პროფესიონალური კავშირები საწარმოო და ეკონომიური თათბირების ხელმძღვანელობის გასაწევად იწვევენ მხოლოდ საწარმოო და ეკონომიური კომისიების კონფერენციებს. ხელმძღვანელობის სხვა ფორმები არ უნდა იქნეს გატარებული.

საქპროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილება აღნიშნულ კონფერენციების საშუალებით თათბირების მუშაობის ხელმძღვანელობას არა საკმარისად სთვლის, რადგან კონფერენციების მოწვევა ხშირად შეუძლებელი ხდება.

ამის გამო, საქპროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილება წინადადებას აძლევს კავშირების ცენტრ. გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს საწარმოო ეკონ. კომისიების კონფერენციების ხანგამოშვებით მოწვევის გარდა (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ), გააძლიერონ კონკრეტული ხელმძღვანელობა თითოეულ წარმოება-დაწესებულებათა მიმართ და მიიღონ სათანადო ზომები საწარმოო და ეკონომიური თათბირების რეგულიარულად მოწვევისათვის, რათა მომავალში არ ექნეს ადგილი თათბირების შეცვლას კომისიებით. დახმარება უნდა გაუწიოს აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს და ადგილკომებს საწარმოო-ეკონომიური თათბირების სამუშაო გეგმის შედგენაში, გასარჩევი საკითხების შერჩევაში, საქმიან წინადადებათა დაჯილდოებაში და სხ.

შაბიამნის ბაზრის მოწესრიგება

შაბიამნის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, „თბილისის ვაჭრობის", „სოფლის კავშირი"-ს, და „ზაქსელმაში"-ს წარმომადგენელთა თათბირი.

„ზაქსელმაში"-ს წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ზაქსელმაში"-ს სოფლის კავშირისათვის დაკვეთილი აქვს 1.900000 კილოგრამი შაბიამანი. ამ რაოდენობიდან 18 მარტამდე მიღებულია და გადაეცა დანარჩენი „კავშირს" 726.000 კილოგ., ხოლო დანარჩენი რაოდენობა მიღებული იქნება უახლოეს დღეებში და დაუყოვნებლივ გადაეცემა სოფლის კავშირს მეურნეთათვის გასანაწილებლად. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ამჟამად „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას" მიღებული აქვს 2 ვაგონი შაბიამანი, „თბილისის ვაჭრობა"-ს — 1 ვაგონი და არტელ „გლარჯას"—1 ვაგონი შაბიამანი. „თბილისის ვაჭრობას" დამატებით დაკვეთილი ქონია და ამ მოკლე ხანში მიიღებს კიდევ 4 ვაგონ შაბიამანს.

თანახმად ეკონომსაბჭოს დადგენილებისა, შაბიამნის რეალიზაცია დავალებული აქვს „სოფლის კავშირს".

თათბირმა, შაბიამნის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, დაადგინა ლაბორატორიული წესით შემოწმებული იქნეს „თბილისის ვაჭრობის" და „საქართველოს სახ. ვაჭრობის" განკარგულებაში არსებული შაბიამანი და თუ იგი ვარგისი აღმოჩნდება, სარეალიზაციოთ გადაეცეს „სოფლის კავშირს".

თათბირის დადგენილებით, ლაბორატორიული წესით უნდა იქნეს შემოწმებული არტელ „გლარჯას" განკარგულებაში არსებული შაბიამანიც და თუ იგი ვარგისი აღმოჩნდა, უფლება მიეცემა არტელ „გლარჯა"-ს აღნიშნული შაბიამანი გაჰყიდოს ვაჭრობის კომისარიატის ფასებში ადგილობრივი ხელისუფლების და საკრედიტო ამხანაგობათა კონტროლის ქვეშ.

მაქსიმ გორკის იუბილეისათვის

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა მაქსიმ გორკის 35 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილეს ჩასატარებლად სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრენ ბიბლიოთეკების, მუშათა კლუბების, წრეების და ადგილკომების წარმომადგენელნი.

თათბირმა შეიმუშავა ვრცელი გეგმა იუბილეს ჩასატარებლად.

თათბირის დადგენილებით მთელ რესპუბლიკაში ადგილობრივ პროფორგანოებთან მოეწყობა საიუბილეო კომისიები, საიუბილეო კამპანიის ჩასატარებლად.

თბილისში ერთ-ერთ მუშათა კლუბში გაიხსნება მ. გორკის წიგნების გამოფენა. კლუბებში გაიმართება სალამო-წარმოდგენები და ლექციები მაქსიმ გორკზე.

თათბირმა დაადგინა საიუბილეო კამპანია მთელ საქართველოში ჩატარებული იქნეს ამ თვის ბოლო რიცხვებიდან მაისის დამლევამდე.

თათბირმა შეიმუშავა ადგილებზე საიუბილეო კამპანიის ჩატარების გეგმა, რომელიც ამ დღეებში იქნება დაგზავნილი.

აგრეთვე თათბირმა დაამტკიცა თბილისის მუშათა კლუბებში საიუბილეო სალამო-წარმოდგენების მოწყობის პროგრამა და შეადგინა მათი გამართვის კალენდარი. ამას გარდა თათბირის დადგენილებით პროფკავშირთა კულტგანყოფილება კომკავშირის ცეკასთან ერთად თბილისში გამართავს დიდ საიუბილეო სალამოს სპეციალურად ახალგაზრდობისათვის და მოაწყობს მასიურ დისპუტს შემდეგ თემაზე: „გორკი და თანამედროვეობა".

თათბირმა დაადგინა მუშათა ერთ-ერთ კლუბს ეწოდოს მ. გორკის სახელი.

პროფესორ ა. ვასილიევის დაკრძალვა

გუშინ დიდუბის სასაფლაოზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, დაკრძალეს ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორი-ინჟინერი ა. ვასილიევი.

4 საათისათვის პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, სადაც ესვენა განსვენებულის ცხედარი, თავი მოიყარა დიდძალმა საზოგადოებამ. ოთხ საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. ხანგამოშვებით სამგლოვიარო ჰიმნებს უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. განსვენებულის ცხედართან სიტყვები წარმოსთქვეს: სახკომსაბჭოს სახელით ამხ. ი. მარძიელმა, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის რექტორმა პროფ. ზაერიევმა, ქართულ ტექნიკ. საზ. სახელით ინჟინერმა ედიბერიძემ, რკინიგზის სამუშაოთა სამმართველოს სახელით—ინჟინერმა ხაჩატურიანმა და ს. ჩიქვილაძემ, ქართულ ტექნიკურ საზოგადოების სახელით ინჟინერმა დიასამიძემ, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტების სახელით—სტუდენტმა მარტიროსოვმა და სახ. უნივერსიტეტის სახელით ინჟ. ციფშიძემ, განსვენებულის ცხედარი გამოასვენეს: ამხ. ლ. ქართველიშვილმა, ი. მარძიელმა, დ. კანდელაკმა, გ. [illegible]ნაძემ, შ. [illegible] და [illegible]. შემდეგ ცხედარი წაასვენეს პროფესორებმა, განსვენებულის თანამშრომელმა ინჟინრებმა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებმა.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ინჟინერმა ტერ-ხაჩატუროვმა, ინჟინერმა ხუნდაძემ, ინჟ. ჩუბინიძემ, ინჟ. მელიქ-ფარსადანოვმა, ინჟ. პაპლევსკიმ და სტუდენტების სახელით—ბურლიმ.

განსვენებული დაკრძალეს საღამოს 7 საათზე.

ზამთრის შედეგები

აფხაზეთი

აფხაზეთის მთიან და აგრეთვე დაბლობ ადგილებში დევს დიდი თოვლი, რაც მარტში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს აფხაზეთში.

საკვების ნაკლებობა გლეხობას უმწეო მდგომარეობაში აყენებს. ზოგიერთ სოფლებში საქონელი შიმშილით იხოცება. ზოგან პირუტყვს ნედლი ხის წკნელით კვებავენ. საკვების დიდი კრიზისის გამო ძალიან დაეცა საქონლის ფასი. ადგილობრივი აღმასკომები ღებულობენ ზომებს გლეხობის დასახმარებლად.

სამხრეთ-ოსეთი

უარესი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში, სადაც საქონლის საკვების ნაკლებობას ემატება სასტიკი ყინვები. გლეხობას საკვები კარგა ხანია შემოაკლდა. საკვების მიწოდებას იმ რაიონებიდან, სადაც იგი იშოვება, აბრკოლებს გაუვალი გზები და უამინდობა.

ჯერ-ჯერობით მკაცრი ზამთრის მსხვერპლი შეიქნენ ხბოები, დეკეულები და მოზვერები.

ზემო-იმერეთი

ზემო-იმერეთის მაღლობ ადგილებში—განსაკუთრებით ჭიათურის და საჩხერის რაიონებში დევს დიდი თოვლი, რომელიც ალაგ-ალაგ ორ მეტრს აღწევს. შუა მარტისათვის მისვლა-მოსვლა სოფლებსა და სოფლებს შორის შეწყვეტილი იყო. უგზოობის გამო შეწყდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოტანა ჭიათურის ბაზარზე, რის გამო სას.-სამ. პროდუქტების ფასები გადიდდა.

მაზრა საქონლის საკვების დიდ ნაკლებობას განიცდის.

გარე-კახეთი

გარე-კახეთის ზოგიერთ რაიონებში თოვლის სიმაღლე ერთ მეტრს აღემატება. მოსახლეობას არ მოეპოვება საქონლის საკვები, გლეხები სჭრიან წკნელს და მით კვებენ საქონელს. ადგილობრივ კოოპერატივებში არ მოიპოვება არც ქატო, არც სხვა რამ საკვები.

გურია

გურიის ზოგიერთ სოფლებში თოვლის სისქე ორ მეტრს აღწევს. ყველგან საკვების დიდი ნაკლებობაა. საკვების უქონლობის გამო გლეხები კლავენ საქონელს და სახორცეთ ყიდიან.

წყალდიდობის მოლოდინში

50.000 მანეთი წყალდიდობასთან საბრძოლველად

წყალდიდობასთან მებრძოლმა რესპუბლიკანურმა საგანგებო კომისიამ, წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოების საწარმოებლად ყველა მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის გაანაწილა 50.000 მანეთი.

აღნიშნული თანხა გუშინ გადაეგზავნა სამაზრო და ავტონომიურ რესპუბლიკების წყალდიდობასთან მებრძოლ სამეულებს, რომლებმაც თანხების ხარჯვისა და სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ სისტემატიურად უნდა აგზავნონ ცნობები რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიაში.

თბილისის აღმასკომის შუამდგომლობა

თბილისის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინაშე, რომ ახალციხის, ბორჯომის და გორის ჰიდრომეტრიულმა სადგურებმა სისტემატიურად მიაწოდონ ცნობები მტკვარში წყლის მატების შესახებ თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებას.

თბილისის აღმასკომის აღნიშნული შუამდგომლობა, გამოწვეულია იმით, რომ მტკვრის ადიდების წინასწარ ცოდნის წყალობით შესაძლებელი გახდეს ქალაქის ზოგიერთი უბნების დაცვა წყალდიდობისგან. მტკვრის ადიდება განსაკუთრებით საფრთხეში აყენებს რიყის რაიონს და ორთაჭალას.

გზატკეცილების დაცვა

წყალდიდობასთან მებრძოლმა რესპუბლიკანურმა საგანგებო კომისიამ განიხილა და მოიწონა საქ. გზატკეცილების სამმართველოს მიერ დამუშავებული გეგმა რესპუბლიკანურ და საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილების დაცვის შესახებ წყალდიდობისაგან.

გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ მდინარეების ნაპირების გამაგრებას ჯებირებით იმ ადგილას, სადაც მოსალოდნელია წყლის შეჭრა გზებზე.

კახეთი

თბილისში მიღებული ცნობებით, ალაზნის და ელდარის ველები დაფარულია ღრმა თოვლით, რაც საშიშ მდგომარეობას ქმნის მთელი თელავის მაზრისათვის. მოსალოდნელია არაჩვეულებრივი წყალდიდობა, თუ ერთბაშად ათბა. განსაკუთრებით საფრთხეში ვარდება ახლად გაყვანილი ალაზნის არხი იმ ადგილებში, სადაც არხის ხევები სჭრის. დიდი თოვლის გამო თელავის მაზრაში საველე მუშაობა არ დაწყებულა.

ლეჩხუმი

მარტის შუა რიცხვებიდან ლეჩხუმის მაზრაში დაიჭირა თბილი ამინდები. თოვლმა სწრაფად დაიწყო დნობა, მდ. ცხენის-წყალმა და ლაჯანურმა იწყეს ადიდება. სოფლებს საფრთხე არ მოელის, მაგრამ საშიშ მდგომარეობაშია დაბა ორბელი, რომელიც მდ. ლაჯანურის პირად მდებარეობს, და ქ. ცაგერი, რომელსაც გვერდზე ჩაუდის მდ. ცხენის-წყალი. ადგილობრივი აღმასკომი აწარმოებს სასწრაფო მუშაობას ნაპირების გასამაგრებლად.

ახალციხის მაზრა

მთელი ახალციხის მაზრა დაფარულია ღრმა თოვლით, რომელიც თბილი ამინდის და წვიმების გამო სწრაფად დნება. მთის ხევებმა და მდინარეებმა იწყეს მომატება. მოსალოდნელი სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად სამაზრო აღმასკომთან მოეწყო კომისია წყალდიდობასთან საბრძოლველად. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. თემებში ეწყობა სამეულები, რომელთაც ევალებათ გლეხების ორგანიზაცია მდ. ნაპირების გასამაგრებლად.

გურია

თბილი ამინდის დადგომის გამო [illegible] რაიონში თოვლმა დაიწყო დნობა. რიონი საგრძნობლად ადიდებულია, ადიდდა აგრეთვე მდ. სუფსა. სურების და დიდი ვანის რაიონში თოვლი დიდი სისწრაფით დნება. ლანჩხუთის აღმასკომთან მოწყობილია წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია, რომელიც შეუდგა სამეულების მოწყობას სოფლებში.

თბილისის ტრამვაი

ახალი ხაზები

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად უკვე დამთავრებულია. ახალი ხაზები გაყვანილი იქნება ვაკიდან სახ. უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის შენობამდე და სოფ. მამლოკიმდე; ვაკიდან სას.-სამ. ფაკულტეტამდე გაყვანილი იქნება ორივე ლიანდაგი, ხოლო [illegible]მდე ცალი. ხაზების გაყვანა დაიწყება უახლოეს კვირეებში და დამთავრდება ივნის-ივლისში.

ახალი ლიანდაგის გასაყვანად და აგრეთვე ძველი ხაზების გამოსაცვლელად ტრამვაის დირექციას საკავშირო ლითონის სინდიკატისათვის შეკვეთილი აქვს 100 ათასი ფუთი რელსი, აქედან უკვე მიღებულია 30 ათასი ფუთი. დანარჩენი მიღებული იქნება ამ თვის დამლევისათვის.

ძველი ლიანდაგის გამოცვლა

როგორც კი გამოიდარებს, ტრამვაის სამმართველო შეუდგება ძველი ლიანდაგების ახლით შეცვლას, პირველ რიგში საბჭოთა ქუჩაზე (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.), სადაც ტრამვაის ხაზი გადატანილი იქნება ქუჩის შუა ნაწილში.

ახალი ტიპის ვაგონები

მიმდინარე წლის დამლევისათვის ტრამვაის სამმართველო მიიღებს მოსკოვიდან ყველა შეკვეთილ ვაგონებს. იმ ვაგონების გარდა, რომელიც უკვე მიღებულია და მუშაობს,—მოსკოვის ქარხნებმა დაამთავრეს კიდევ 11 ვაგონის აგება. ამჟამად მიმდინარეობს ამ ვაგონების აღჭურვა ელექტრო-მოწყობილობით. ეს ვაგონები განსხვავდებიან ამჟამად მოძრაობაში მყოფ ვაგონებიდან, ვაგონები დახურულია და ორივე მხარეზე (სადაც ჩვეულებრივ ვაგონებს მოაჯირები აქვთ) აქვთ კარები, რომლის გაღება ხდება ავტომატიურად ტრამვაის შეჩერების შემდეგ, რაც საგრძნობლად აადვილებს ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებას.

რკინისგზებზე

ხელფასის თავის დროზე გაცემის შესახებ

გზათა კომისარიატმა და რკინის გზელების კავშირის ცეკამ საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზების გამგეობებს წინადადება მისცეს,—მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემა აწარმოონ კოლექტიურ ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში და არ დაუშვან რაიმე დაყოვნება ამ საქმეში.

დამნაშავეები ხელფასის გაცემის დაგვიანებაში, თუ ამას ადგილი ექნება, დაისჯებიან ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით.

შპალების დამზადება

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა აღნიშნული, რომ ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციები სისტემატიურად არღვევენ რკინის გზების გამგეობასთან დადებულ ხელშეკრულებას შპალების მიწოდების შესახებ.

პირველ მარტამდე გზას უნდა მიეღო—218.320 ცალი შპალი, ნამდვილად კი მიიღო 76.314.

ასეთი მდგომარეობა მძიმე პირობებში აყენებს გზას და ხელს უშლის მის მუშაობას.

გზის გამგეობის მიერ მიღებულია ზომები ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. კერძოდ მას გადაწყვეტილი აქვს ხელშეკრულებების გარეშე—150.000 ცალი შპალის შეძენა.

ზაჰესის ენერგიაზე

ა. კ. რკინის გზების ტიპო-ლიტოგრაფია გადადის ზაჰესის ენერგიაზე.

წყლის ანალიზი

ა. კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ სადგ. სამტრედიაში მოახდინა სასმელი წყლის ანალიზი. სასმელად სადგ. სამტრედიის წყალი ცნობილია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ საჭიროდ არის ცნობილი მისი გაწმენდა.

ქუთაისი

სხვადასხვა საქონელზე ფასების აღნიშვნა

ქუთაისის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება, სახელმწიფო იქნება ის, კოოპერატიული, თუ კერძო, რომელნიც აწარმოებენ საქონლის ცალობით ვაჭრობას, ვალდებული არიან 2 კვირის განმავლობაში შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ დანომრილ სავაჭრო საქონელს დააწერონ გასაყიდი ფასები. ეს ფასები აღნიშნული უნდა იქნას საგანგებოდ დამზადებულ იარლიკებზე, რომლის შეძენა შეიძლება [illegible] განყოფილებაში. საცალო ფასები უნდა დააწერონ აგრეთვე ყველა იმ საქონელს, რომელიც სავაჭროს ვიტრინაში იქნება გამოფენილი, თუნდაც ის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ არ იყოს დანომრილი.

სასწორ-საზომების შემოწმება

15 მარტიდან წონა-ზომის პალატამ დაიწყო ქუთაისში მუშაობა სასწორ-საზომების შესამოწმებლად. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე კერძო პირნი ვალდებული არიან წარუდგინონ პალატის რწმუნებულს შესამოწმებლად სასწორ-საზომები. შემოწმება გაგრძელდება ქ. ქუთაისის 1-ლ სამილიციო უბანში 1-ლ აპრილამდი, მეორე უბანში—20 აპრილამდი; ქუთაისის, ხრესილის და ხონის რაიონებში კი—1-ლ მაისამდი.

სარწყავი არხების სამუშაოთა გამგე

რიონის წყალთა ოლქში სარწყავ არხების სამუშაოთა გამგედ დაინიშნა ინჟინერი ი. ა. ფალკოვიჩი.

ძლიერი ქარი

ღამით, 18—19 მარტს, ამოვარდა მეტად ძლიერი და ცივი ქარი, რომელმაც ქალაქს საგრძნობი ზარალი მიაყენა.

რამდენიმე ადგილას ხანძარიც გაჩნდა. 20 მარტს ქარი შენელდა.

აღმშენებლობისათვის გაცემული სესხი

თბილისის ქალაქის ბანკის ქუთაისის განყოფილებას დღიდან დაარსებისა (1925 წლიდან) გაუცია სულ 320 სარემონტო-საამშენებლო სესხი, 419.953 მან. რაოდენობით. აქედან კომუნალური მშენებლობისათვის აცემულა 308 სესხი 284.843 მან. რაოდენობით (გახსნილი კრედიტიდან დარჩენილა გაუტანელი 48.400 მან); მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობისათვის—12 სესხი, თანხით 135.110 მან. გარდა ამისა, გადაწყვეტილია მიეცეს ქუთაისის აღმასკომს მუშებისათვის ბინების ასაშენებლად 50.000 მანეთი.

სარწყავი არხის ახალი განმანაწილებელი

ქუთაისის წყალთა ოლქის გამგემ დააკმაყოფილა პატრიკეთის თემის შუამდგომლობა 1-ლ საბჭოთა არხიდან ახალი განმანაწილებლის გაყვანის შესახებ და უკვე მოახდინა განმანაწილებლის № 6 დაგეგმვა.

საუკეთესო კორესპონდენციების ავტორები დაჯილდოებული იქნებიან ჩვენი რედაქციის მიერ

მუშათა ცხოვრება

საწარმოო თათბირების მუშაობა

რა უნდა გამოსწორდეს

(მთავარი სახელოსნო)

უკანასკნელ თვეებში სადურგლო საამქროს მდგომარეობა გაუარესდა: საქმის უქონლობის გამო ხელოსნებისა და მუშების რიცხვი განახევრდა; ზოგი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ზოგი დამზღვევ სალაროს ხარჯზე გადავიდა.

საქმის დიდ რაოდენობას, რომელსაც სარონოდო-საამქრო იძლეოდა, დღეს თითონვე აკეთებს ამას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოს უფრო იაფი ჯდებოდა მასალა, მაგრამ სათანადო ორგანოებმა გამოიკვლიეს ეს საკითხი და აღმოჩნდა, რომ სარონოდო საამქროს მიერ დამზადებული მასალა უფრო ძვირი ჯდება; ამ საქმის საბოლოოდ გამორკვევის შემდეგ იმედია მოიმატებს საქმეები, მაგრამ მარტო ამით არ გამოკეთდება სადურგლო საამქროს მდგომარეობა.

არც ერთ საამქროში არ არის ისეთი ხშირი მოვლენა უბედურ შემთხვევებისა, როგორც სადურგლო საამქროში. არ გვყავს დურგალი, რომ თითი არ ჰქონდეს მოჭრილი. დამზღვევ სალაროს ხარჯებმა დააფიქრა ადმინისტრაცია და პროფორგანო, რომლებმაც გადაწყვიტეს გამოეჭყონ დახელოვნებული ხელოსნები დაზგებზე სამუშაოდ. მაგრამ ამ ხერხმა ვერ უშველა საქმეს, რადგან საქმის გამოყვანა ყველას თავისებურად ესაჭიროება და თავის დროზეც. უნდა მოინახოს სხვა საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მუშებს უბედური შემთხვევებისგან.

საქმეების სიმცირესთან დაკავშირებით საინტერესოა ფასების საკითხი: ადმინისტრაციის წარმომადგენელი, თითქმის ყოველ დღე უკლებს ფასებს საქმეებზე. გარდა ამისა ადმინისტრაცია ხშირად დაუფასებელ საქმეებს აძლევს ხელოსნებს, რის უფლებაც მას არა აქვს.

საწარმოო ქვე-კომისიის სამთვიან გეგმაში აღნიშნულია, რომ ამწყობ საამქროში უნდა გაკეთდეს ფარდული ორთქლმავლებზე მომუშავე ბრიგადის მასალის დასაწყობად. სამი თვე გადის და ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა, მასალა კი ფუჭდება და ნადგურდება.

საამქროს სარდაფში კეთდება ნახერხის ამომტანი სადგური. სიგრძეზე გაჭიმულია მთავარი მილი, ნახევარ მეტრის მანძილზე. სიგრძეზე აქვს ტოტები, რომლებიც შეერთებულია მექანიკურ დაზგების იმ ადგილებთან,—სადაც ნახერხი, ან ბურბუშელა ჩამოდის; მილს შუაში აქვს ფრთებისგან მოწყობილი ჩარხი, რომელიც მოძრაობს ძრავის საშუალებით. ჰაერის შესრუტვით, ჩარხის ტრიალის დროს, ნახერხი ან ბურბუშელა დაზგიდან ორთქლის ქვაბში მიექანება. ორთქლის ქვაბმა კი უნდა დააკმაყოფილოს საამქრო და ორთქლმავლების გასაშრობად უნდა მიაწოდოს ორთქლი ახლად მოწყობილ ორთქლმავლების მღებავ საამქროს. ეს სასარგებლო საქმე, სამწუხაროდ კუს ნაბიჯით მიდის წინ.

უკანასკნელ კვირეებში ადმინისტრაციის მეცადინეობით ხეები ბლომად მოვიდა, რის გამო საჭირო გახდა მუშების მომატება. სამუშაოდ ახალი მუშები მოიყვანეს. გადაყვანილების უკან დაბრუნებაზე კი არავინ ზრუნავს.

გარდა ამისა მუშებს ჰქონდათ სასადილო, რომელშიაც ერთი ღუმელი და მუშები ხანდახან ხელს ითბობდნენ. ადმინისტრაციამ,—არ ვიცით რა მოსაზრებით მოკეტა სასადილო, რის გამო მუშებს დაზგებზე უხდებათ პურის ჭამა. ეს არაფერი. საამქროსთან არსებობდა აბანოც. რომლითაც მუშაობის შემდეგ სარგებლობდნენ მუშები, ადმინისტრაციამ ეს აბანოც დაკეტა და ნაფოტების საწყობად გადააქცია. მუშები მოითხოვენ აბანოს გახსნას. თუ რამე დასჭირდება აბანოს, ისინი თავიანთი ხარჯით შეაკეთებენ.

ადგილკომი და შრომის დაცვის ინსპექტორი, სიტყვა თქვენზეა. მოაგვარეთ ეს საკითხი.

ფილმეჯ.

ნაკლიც გვაქვს

(ბორჯომის შუშის ქარხანა)

ბორჯომის შუშის ქარხნის საწარმოო თათბირი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. მისი საშუალებით ქარხანაში ბევრი ნაკლი გამოსწორდა და თვით წარმოებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. საწარმოო თათბირის ნაყოფიერ მუშაობასვე უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ შედარებით წინანდელთან მუშათა აქტივი გაიზარდა. ისეთი მუშებიც კი, რომლებსაც წინად ორი სიტყვის თქმაც არ შეეძლოთ ერთად, დღეს აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო თათბირებში; აყენებენ სხვადასხვა ღონისძიებებს წარმოების გასაუმჯობესებლად და ხელს უწყობენ საერთოდ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მიუხედავად ამისა ბორჯომის შუშის ქარხნის საწარმოო თათბირს მაინც ჰქონდა ნაკლი, რომელიც აფერხებდა საწარმოო თათბირის უფრო მეტ ნაყოფიერებას. მთავარი ნაკლი საწარმოო თათბირის მუშაობისა იმაში გამოიხატება, რომ გასული წლის განმავლობაში საწარმოო თათბირის სხდომა შესდგა სულ ოთხჯერ. მართალია ამ თათბირებს მუშების უმრავლესობა დაესწრო და აქტიური მონაწილეობაც მიიღო საკითხების განხილვაში, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თვეში ერთხელ მაინც შესდგეს საწარმოო თათბირების სხდომა.

გარდა ამისა საწარმოო თათბირის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებების მთელი ასი პროცენტი არ ტარდება ცხოვრებაში. გასულ წელს საწარმოო თათბირის მიერ წამოყენებულ იქნა 12 საკითხი. აქედან მხოლოდ რვა საკითხი გატარდა ცხოვრებაში. მართალია ზოგიერთ წარმოებაში ამდენიც არ ტარდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც არ მივიღოთ ზომები საწარმოო თათბირის ღონისძიებების ცხოვრებაში გასატარებლად. ამ მხრივ 1926 წელს უკეთესი მდგომარეობა იყო.

საწარმოო თათბირის ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ ზომები საწარმოო თათბირის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ცეცხლფურში.

დროებითი საკონტროლო კომისია

(თბ. მთავარი სახელოსნო)

პირველ თებერვლიდან ამხ. სტალინის სახელობის რკინის გზის თბილისის მთავარ სახელოსნოებთან დაარსებულია დროებითი საკონტროლო კომისია, რომლის მიზანია საწარმოო კომისიების მუშაობის გაღრმავება.

კომისიამ არჩევისთანავე შეიმუშავა ყველა ის საკითხები, რომლებზედაც უნდა ემუშავნა მას.

პირველი საკითხი ეხებოდა ლითონის ჩამოსასხმელ და სამჭედლო საამქროებში მასალების უვარგისობის მიზეზების შესწავლას. კომისიამ უკვე შეისწავლა ეს საკითხი და დაამუშავა საჭირო ღონისძიებები მასალების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად კომისია მუშაობს სახელოსნოების საჭირო მასალებით მომარაგების საკითხზე. კომისიის უმთავრეს მიზანს შეადგენს იმის გამორკვევა, თუ რა უშლის ხელს გზების მატერიალურ განყოფილებას, თავის დროზე მიაწოდონ სახელოსნოს საჭირო მასალები.

სანამ საკონტროლო კომისია დაარსდებოდა, ლითონის ჩამომსხმელ, სამჭედლო და საიარაღო საამქროებში მოწვეული იყო ამქრული კრებები, რომლებზედაც მუშებს გააცნეს კომისიის მიზანი და დანიშნულება. ამის შემდეგ კომისიის მუშაობას მუშები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს, მისთვის აუცილებელ მასალების მიწოდებით.

მუშაობის დამთავრების შემდეგ, კომისიამ თავისი დასკვნები გააცნო ამქრულ საწარმოო კომისიებს, რომლებმაც დაამტკიცეს იგი ზოგიერთი შესწორებებით. ამ დღეებში კი კომისია თავისი მუშაობის შესახებ მოახსენებს სახელოსნოების საწარმოო თათბირს. ასეთია მთავარ სახელოსნოების დროებითი საკონტროლო კომისიის საქმიანობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი საკონტროლო კომისიები საგრძნობლად გააუმჯობესებენ საწარმოო თათბირების მუშაობას და ხელს შეუწყობენ წარმოების განვითარებას.

ანი.

რკინის გზა ზარალობს

(მთავარ სახელოსნოს სამჭედლო საამქრო)

სამჭედლო საამქროს გამგეს ყავს ოთხი თანაშემწე: ერთი განაგებს,—კანტორის საქმეს, მეორე ღამის მუშაობას, და ორი კი ანაწილებს სხვადასხვა საამქროებიდან და ხაზებიდან გამოგზავნილ შეკვეთებს მჭედლებზე. ამ ორ თანაშემწეს ამხ. თ. სუხიშვილს და კუჩერენკოს განაწილებული აქვთ საქმეები: სუხიშვილს ევალება ვაგონის საქმეების განაწილება თავის მჭედლებზე, კუჩერენკოს კი აბარია ორთქლმავლების საქმეები.

შეკვეთები პირველად უნდა მიიღოს საამქროს გამგემ, რომელმაც უნდა დაუსვას ყველა საგნებს ფასები და გადასცეს თანაშემწეებს გასანაწილებლად. მაგრამ აქ ერთგვარ გაუგებრობას აქვს ადგილი, რომელიც ხელს უშლის წესიერ მუშაობას: იყო შემთხვევა როდესაც საამქროს გამგემ დაუსვა ფასები საქმეს და სუხიშვილის გარეშე შესასრულებლად გადასცა მჭედელ პეტრენკოს. ამავე დროს მთავარ საწყობიდან იმავე საქმისათვის გამოწერილი რკინები, გადასცეს ამხ. სუხიშვილს, რომელმაც შესასრულებლად გადასცა სხვა მჭედელს. ამგვარად გამოვიდა, რომ ერთ და იმავე საქმეს აკეთებს ორი მჭედელი, რაც არ ესაჭიროება რკინის გზას.

ასეთი დაუდევრობით და სხვისი მოვალეობების შესრულებით, რკ. გზა საგრძნობლად ზარალობს. შემდეგისათვის ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მუშკორი პატარა ზალიკო.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

შეაკეთეთ შენობა. ამხ. ზ. ქიქოძის სახელობის შინამრეწველ ქალთა საინსტრუქტორო სკოლის მოწაფეთა საერთო საცხოვრებლის დანგრევის პირზეა მიმდგარი. განათლების კომისარიატმა უნდა იზრუნოს აღნიშნულ ბინის შესაკეთებლად.

ნ. [illegible]

უსუფთაობა გვახრჩობს. ვარდის ჩიხი, სახ. № 10-ის ეზოში საშინელი სიბინძურეა გამეფებული. არც სახლის პატრონი და არც მეზობლის უბნის სანიტკომისია ყურადღებას არ აქცევენ ამ მოვლენას. მილიციავ, იქნებ შენ მაინც აიძულო სახლის პატრონი დაიცვას ეზოში სისუფთავე.

მ. გარუნი.

სამუშაოზე იგვიანებენ. მთ. სახელოსნოს სამჭედლო საამქროს მოსამსახურე მოქ. ზუბაძე თითქმის ყოველ დღე 2—3 საათით იგვიანებს სამუშაოზე. ხელფასს კი მთელი დღისას ღებულობს. საამქროს გამგემ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ფ. იჭაური.

ხელფასს გვაკლებენ. მთ. სახელოსნოს სამჭედლო საამქროს შავ მუშებს ხშირად აკლდებათ ხელფასი. თებერვალში მათ დააკლდათ 155 მან. 56 კაპ. ეს თანხა დაეკარგებოდათ მუშებს, რომ მათ სასწრაფოდ არ მიეღოთ ზომები და არ გაესაჩივრებიათ. ასეთი შემთხვევა მეორედ აღარ უნდა განმეორდეს.

ზალიკო.

გათბობის ნებას არ გვაძლევს. ზესტაფონის [illegible] სადგურის მუშები დასვენების დროს, ვისაც ბინის სიშორის გამო არ შეუძლიათ წავიდნენ სახლში, დასასვენებლად შედიან საბარგო სალაროში და თბებიან. მაგრამ მოლარე მოქ. კვანტალიანი, არ აძლევს მუშებს გათბობის ნებას და ლანძღვა-გინებით აგდებს გარეთ.

გულშემატკივარი.

ეს ბოროტმოქმედებაა. ნავთლუღის სადგურის პირველ განყოფილების მუშები სამუშაოზე გამოდიან ძალიან გვიან და მიდიან ადრე. ამით ისინი დიდ ზარალს აყენებენ რკინის გზას, რაც ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს. ადგილკომი, ყურადღება მიაქციე ამ მოვლენას.

მსმენელი.

არ გვაკმაყოფილებს. (შავი ზღვის რკ. გზა). შავი ზღვის რკინის გზის 1500 მუშა-მოსამსახურეს სურსათ-სანოვაგეს აწვდის „ზაკტპეის" ერთი [illegible], რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას. „ზაკტპეის" გამგეობავ, მოუმატე [illegible] რიცხვს.

ნ. მარიამიშვილი.

მასების მონაწილეობა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

მე-15 პარტყრილობის დირექტივების თანახმად, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ კიდევ უფრო გააფართოვა თავისი მასიური მუშაობა, მუშურ-გლეხური მასების ჩაბმა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში.

შემუშავებულ და გატარებულ იქნა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებმაც მოგვცა მთელი რიგი მიღწევანი: უზრუნველყოფილ იქნა მუშურ-გლეხური მასების მონაწილეობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევებში, ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სხდომებს რეგულიარულად ესწრებიან მასიური ორგანიზაციების წარმომადგენელნი, უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება პრესასა და მუშგლეხკორთა ორგანოებს შორის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩაბმულია კომკავშირის ორგანიზაციები, მოეწყო მთელი რიგი თათბირები და კრებები, რომლებზედაც ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი აშუქებდნენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს და სხ.

ჩატარებულ იქნა რამოდენიმე სერიოზული გამოკვლევა მუშურ-გლეხური მასების ფართო მონაწილეობით.

ასეთია, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოკვლევა ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ გამოკვლევას მიეცა ფართო საზოგადოებრივი ხასიათი. გარდა სათანადო ინფორმაციისა პრესაში, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ჩატარებულ იქნა მთელი რიგი თათბირები ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებრივ, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ ღარიბთათვის დახმარების აღმოჩენის დარგში.

ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნა გლეხთა მასების ფართო მონაწილეობა გამოკვლევაში, რითაც მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული ღარიბთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში.

მუშაობაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ იქნა მთელი სოფლის აქტივი (თემკომების, თემაღმასკომების, გლეხკომების, სასოფლო საბჭოების და ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენელნი). ყოველ თემში გამოკვლევითი მუშაობისათვის გამოყოფილი იყო 25 კაცი. ამგვარად, სიღნაღის და ქუთაისის მაზრების ყველა 12 თემში, რომლებშიაც ჩატარდა გამოკვლევა, აქტიურ მუშაობაში ჩაბმულ იქნა სოფლის აქტივის მნიშვნელოვანი რაოდენობა—300-მდე კაცი.

დასავლეთ საქართველოში განზრახულია ჩატარდეს პროლეტარული დემოკრატიის გამოკვლევა. ამ გამოკვლევაშიაც განზრახულია ჩაბმულ იქნას მუშურ-გლეხური ფართო მასები.

პურის ბაზრის მოწესრიგება

პურის ბაზრის მოსაწესრიგებლათ მიღებულმა სასწრაფო ზომებმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო და თბილისის პურის ბაზარზე დიდათ შემცირდა რიგები. გუშინ პური გამოცხობილი იქნა ნორმაზე მეტი რაოდენობით დილის 9 საათისათვის პურის სავაჭროებთან რიგები აღარ ყოფილა და პურით ვაჭრობა მიმდინარეობდა ნორმალურად. საღამოს პურის საცხობებში გაუსაღებელი დარჩა გამომცხვარი პურის თითქმის ერთი მესამედი.

დღეისთვისაც პური გამოცხობილი იქნება ნორმაზე მეტი რაოდენობით. ამასთანავე მიღებულია სასწრაფო ზომები პურის სავაჭრო პუნქტების გასამრავლებლად და პურის სავაჭროების რაიონებს შორის რეალურ მოთხოვნილებასთან შეფარდებით გასანაწილებლათ.

მიწადმოწყობა

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამუშავა მიწათმოწყობის საპერსპექტივო გეგმა 7 წლისათვის—1927-28 წლიდან 1933-34 წლამდე. მოწყობილი იქნება 1.851.138 ჰექტარი მიწა და 4.439 სოფელი.

კვალიფიციურ ძალების მოსამზადებლად გაიხსნება მიწათმოწყობის და სამიწისმზომლო კურსები, რომელიც 7 წლის განმავლობაში გამოუშვებს 410 მიწისმზომელს. სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნდა დაარსებულ იქნას მიწათმოწყობის და გეოდეზიის კათედრა, და აგრეთვე მოეწყობა საღამოს მოსამზადებელი კურსები.

რა ხდება საფინანსო კურსებზე?

ორი წლის უკან თბილისში გაიხსნა საფინანსო კურსები, რომელიც ფინსახკომის გამგებლობაში იმყოფებოდა. ფინსახკომის მიზანი იყო ფინმუშაკების სპეციალური კვალიფიკაციის ამაღლება, და მართლაც, კურსებზე თავი მოიყარეს უმთავრესად დაწესებულებაში მომუშავე მუშაკებმა. კურსების გამგებლობა იკისრა დ. თოფურიძემ. განათლების სახ. კომისარიატს ამ საკითხის შესახებ წინასწარ არც კი ჰქონია ცნობა და, ცხადია, მას კურსების ამოცანების, მისი ხანგრძლივობის, მსმენელთა შემადგენლობის, სასწავლო გეგმის და სხ. შესახებ გარკვეული შეხედულება არ ქონია შემუშავებული. მაგრამ კურსები მაინც არსებობდა და მუშაობდა ისე, როგორც გამგეს სურდა. არავითარი დებულება, არავითარი სასწავლო გეგმა, არავითარი პროგრამები, არავითარი ხელმძღვანელობა კურსებს არ ქონია.

გასული წლის გაზაფხულზე დანიშნულმა კურსების გამომკვლევმა კომისიამ აღნიშნა, რომ იქ მუშაობა ცუდად არის დაყენებული და სასურველად სცნო გატარებულიყო მთელი რიგი ღონისძიებათა, რომ სწავლის საქმე გაუმჯობესებულიყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფინსახკომს კურსები სრულიად მოსწყდა, ის ფაქტიურად გადაიქცა ნამდვილ კერძო კურსებად. ჯერ კიდევ 1926—27 წელში, რომელზედაც თავი მოიყარა 9 წლედ დამთავრებულ ახალგაზრდობამ. მიუხედავად იმისა, რომ კურსების ამოცანები, მსმენელთა შემადგენლობა და საერთო ხელმძღვანელობა შეიცვალა, მისი გამგე მთელი ზაფხულის განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე აცხადებდა, რომ ფინსახკომის გამგებლობაში არსებულ კურსებზე მიღება „სწარმოებს" და სხ. ამის გამო კურსებს ბევრი ახალგაზრდა მოაწყდა (400 კაცამდე) ამრიგად ფინკურსები, რომელიც მოწოდებული იყო დაწესებულებაში მომუშავე მუშაკები გადაემზადებინა, გადაიქცა ფინმუშაკების ახალ კადრების მომზადებელ სასწავლებლად. ამის დასტური კურსებს არ ქონია. არც ფინსახკომიდან, არც განათლების კომისარიატიდან. მსმენელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კურსები მთავრობის სასწავლებელია და არა კერძო. დ. თოფურიძე და მსმენელები ცდილობდნენ კურსები ორწლიანი ყოფილიყო, მას ქონებოდა უმაღლესი ფინკურსების სახელწოდება და უფლებაც. 3 თვის წინად პროფგანათლების მთავარ სამმართველომ ფინკურსებზე სწავლის საქმის დაყენება და ხელმძღვანელობა სცნო მიუღებლად, აღიარა, რომ კურსები ასცდა დასახულ მიზანს და ამ პირობებში მისი არსებობა შეუძლებელია და დაადგინა, რომ ის მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს დაიხუროს. ამ ამბავმა მსმენელებში გამოიწვია გაუგებრობა და მათ აირჩიეს კომისია, რომელსაც მიანდვეს კურსების მდგომარეობის გამორკვევა. კომისიამ გაიგო, რომ ფინსახკომმა ხელი აიღო კურსების ხელმძღვანელობაზე, განათ. სახ. კომისარიატს კი ეს კურსები არ გაუხსნია ამრიგად მთლად აიწეწ-დაიწეწა საქმე, კურსები აღმოჩნდა იმ პიროვნების ხელში, რომელსაც ის ფაქტიურად ეკუთვნოდა თავიდანვე, ანუ თოფურიძის ხელში. ნათელი გახდა ყველასათვის, რომ მსმენელები მოტყუებულნი დარჩენ, მაგრამ გვიანღა იყო. ამ გარემოებამ საშინელი ნერვიული ატმოსფერა შექმნა კურსებზე, როცა გამგემ დაინახა, საქმე ცუდად არის, გაახსენდა, რომ კურსებზე ლექტორები არიან, რომლებისგანაც შეიძლება შესდგეს პედაგოგ. საბჭო და მოიწვია ამ საბჭოს სხდომა. კურსების გახსნის დღიდან მას ერთხელაც არ მოუწვევია მასწავლებელთა კრება და არც ერთი პროგრამული, მეთოდიური და სხვა საკითხი არ დაუსვამს. ამას ის განზრახ გაურბოდა. ან რა საჭირო იყო ყოველივე ეს, როცა მას შეეძლო თვითონ გადაეჭრა ესა თუ ის საკითხი. უკეთ რომ ვსთქვათ, მას მსმენელთა სწავლის საქმე ნაკლებად აწუხებდა და შემოსავლის გამოანგარიშება თვითონაც შეეძლო. ორჯერ მოიწვია პედსაბჭოს სხდომა. პირველად შესჩივლა სხდომას, რომ კურსები „ილუპება", ხურავენო (ე. ი. შემოსავალი აკლდება) მეორეჯერ „ანგარიში" წარმოუდგინა საბჭოს და განაცხადა, რომ კურსები „დავალიანდა" და საშუალება უნდა მოეძებნოთ აქედან თავის დასაღწევადო. მისი „ხსნის" პროექტი ამბობდა, რომ მოწაფეების ხარჯზე უნდა მოხდეს ვალების გასტუმრება, ე. ი. ჯგუფების გაერთიანებით. მასწავლებლებმა ეს შეუძლებლად სცნეს, მიუთითებდნენ გამგეს გაბერილ შტატებზე, კანცელიარიის მოსამსახურეებზე (4—5 კაცი), რომლებიც შემცირებაც საგრძნობლად შეამცირებდა ხარჯებს. მაგრამ ამ წინადადებას გამგე არ დაეთანხმა.

ამჟამად მსმენელები ისევ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან, ღელავენ, ნერვიულობენ, გაყოფილი არიან ჯგუფებათ და ებრძვიან ერთმანეთს.

ნუ თუ არავინ მიხედავს ამ კურსებს?

ნუ თუ კიდევ გაგრძელდება ასეთი გამოურკვეველი და არანორმალური მდგომარეობა?

მოკეთე.

თბ. ზოოლოგიური ბაღი

თბილისის ზოოლოგიური ბაღის ორგანიზატორმა ამხ. მარკოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

თბილისის ზოოლოგიური ბაღის საამშენებლო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ამჟამად უმთავრესი ყურადღება ექცევა ბაღის სამეურნეო განყოფილების მოწყობას. ამ განყოფილების მოსაწყობად ბაღისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან აღებულია ერთი ჰექტარის სივრცე. ამ განყოფილებაში მოეწყობა ბინები ყოველგვარ ცხოველებისა და ფრინველებისათვის; აქ იწარმოებს მათი მეცნიერულათ შესწავლა და მათი ჯანმრთელობის შემოწმება—თვითონ ბაღში, მთავარ ხეივანში, ცხოველების გადაყვანა იწარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამტკიცდება მათი სრული ჯანსაღობა.

ასეთი განყოფილება არ მოეპოვება საბჭოთა კავშირის არც ერთ ზოოლოგიურ ბაღს, რის გამოც იყო შემთხვევები ბაღის დიდი ზარალისა. მაგალითად მოსკოვის ზოოლოგიურმა ბაღმა რამოდენიმე ხნის წინეთ შეიძინა ერთი იშვიათი ჯიშის ირემი, რომელიც დაუყოვნებლივ იქნა მოთავსებული ბაღში. ეს ირემი დასნეულებული აღმოჩნდა, ავადმყოფობა გადაედო ბევრ სხვა მხეცებსაც და ბაღმა დაკარგა ბევრი იშვიათი ჯიშის ეგზემპლიარები.

ამ შემთხვევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ერთგვარი კარანტინის (საქმიანი ეზოს) მოწყობა. ამავე განყოფილებაში იქნება მოთავსებული ლაბორატორია, საბეითლო სადგური, ბიბლიოთეკა და სხ.

განყოფილება მზათ იქნება მიმდინარე წლის მაისში და ამავე დროს დაიწყება მხეცების და ფრინველების მოთავსებაც.

ამჟამად ჩვენ ვღებულობთ მრავალ წინადადებებს ცხოველების შეძენის შესახებ, მაგრამ სანამ საქმიანი ეზო მზათ არ იქნება ვერიდებით მათ შეძენას. საქართველოს სახკომსაბჭო გვპირდება შველებს და ჯეირნებს, ზაქ. მონადირეთა კავშირი—ჯეირნებს ზაქათალიდან—კვერნებს და სხ.

საქმიანი ეზოს გახსნა განზრახულია მაისისათვის; ამავე დროისთვის მზათ იქნება ბაღის მთავარი ხეივანი, სადაც შესაძლო იქნება ხეირნობა.

ბაღის სავსებით მოსაწყობათ და მხეცების და ფრინველების შესაძენათ გადადებულია 924.200 მანეთი. საქმიან ეზოს მოწყობასთან ერთად სწარმოებს მუშაობა თვით მთავარ ბაღშიაც. აღნიშნულ სამუშაოებზე გამოყენებული იქნებიან უმუშევრები.

ქრონიკა

ცვალებად წითელ-მოლაშქრეების საყურადღებოდ

მე-2 ქართული მსროლელი დივიზია აცხადებს, რომ საარტილერიო ლეგიონის ცვალებად წითელ-მოლაშქრეების (დაბადებულნი 1901, 1902, 1903 და 1904 წლებში) გამოცხადების დრო, რომელიც დანიშნული იყო 25 მარტისათვის, გადადებულია 8 აპრილისათვის. მოლაშქრეები უნდა გამოცხადდნენ დილის 8 საათზე კლარა-ცეტკინის ქ. № 119.

მ. გორკის ნაწერები ქართულად

სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა მაქსიმ გორკის ნაწერების კრებულის გამოცემას ქართულ ენაზე.

სახელგამი აგრეთვე ბეჭდავს ცალკე წიგნებათ ლენინის წერილს გორკიზე და ი. გომართელის კრიტიკულ-ბიოგრაფიულ წერილებს გორკიზე.

ჯილდო ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით გასაღებისათვის

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს ფინსახკომმა საქართველოს ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს აჭარისტანში და ქუთაისის და ბორჩალოს სამაზრო საფინანსო განყოფილებებს დაურიგა ჯილდოები. ჯილდოს სახით სულ გაცემულია 700 მანეთი.

რადიო-აპარატების გაიაფება

პოლიტგანათლების მთავარ-სამმართველოსთან არსებულ რადიო-კომისიის ცნობით, 1 აპრილიდან განზრახულია რადიო-აპარატების და მათი მოწყობილობის გაიაფება 5 ნახევარი პროცენტით.

თავდაცვა—ავიაქიმის თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. მაქსიმოვის მოხსენება თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების საგაზაფხულო მუშაობის შესახებ და ამხ. ბელიაევის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმში ქალების მუშაობის შესახებ.

რადიო გამოფენა

გუშინ, საღამოს, რუსთაველის თეატრის ქვედა სართულში გაიხსნა რადიო-გამოფენა.

თბილისის აღმასკომში

◆ **კირის ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ძეგვში ააგოს კირის მექანიკური ქარხანა, რომელიც წლიურად დაამზადებს 275.000 ფ. კირს.

◆ **სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების** გასაფართოებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 32.513 მანეთი.

◆ **ახალი სახკოლო შენებლობისათვის** და არსებულ სკოლების შესაკეთებლად განათლების განყოფილებას გადაეცა 165.816 მანეთი.

◆ **სამკურნალო დაწესებულების ქსელის** გასაფართოებლად გადაიდო 49.261 მანეთი.

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლის** გასაძლიერებლად აღმასკომმა გადასდო 78 ათასი მანეთი.

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა კოჯორში გაიყვანოს წყალსადენი

ჯანსახკომში

◆ **სატუბერკულიოზო ყრილობა.** 5 მაისს თბილისში გაიხსნება სატუბერკულიოზო საკავშირო ყრილობა.

◆ **სამალარიო სადგურები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს 2 სამალარიო მოძრავი სადგური მაზრებში სამუშაოთ.

◆ **კბილის საექიმო ამბულატორიაში.** ჯანსახკომმა დაადგინა მოზრდილ თემებში არსებულ საექიმო პუნქტებთან გახსნას კბილის საექიმო პატარა ამბულატორიები.

◆ **საექიმო რაზმები.** ჯანსახკომი შეუდგა საექიმო რაზმების შედგენას გაზაფხულიდან მაზრებში დასაგზავნად.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **დიატერმიული აპარატი.** უნ. გამგეობამ გადასწყვიტა გერმანიაში შეიძინოს დიატერმიული აპარატი უნივერსიტეტისათვის.

◆ **ცენტრ. კლინიკური ინსტიტუტს** სახ. უნივერსიტეტმა გადასცა საზღვარგარეთიდან ახლად მიღებული 8000 მანეთად ღირებული საექიმო იარაღები.

◆ **საზოგადო კრება.** შაბათს, 24 მარტს დილის 12 ს სახ. უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის წევრ-სტუდენტების საზოგადო კრება. მომუშავე სტუდენტები სამსახურიდან თავისუფლდებიან 12 ნახ. საათზე.

◆ **სტუდენტთა კლუბში** შაბათს, 24 მარტს საღამოს 6 ს. პროფ. მელიქიშვილის სახელობის სტუდ. აგრონომიულ სამეცნიერო წრის წევრთა საჯარო კრებაზე ვ. ჩხიკვიშვილი და ვ. ოქრომჭედლიძე წაიკითხავენ მოხსენებას რუსეთის სას.-სამ. მთავარ საცდელ სადგურების მუშაობის შესახებ.

◆ **სტუდენტთა** ალმასხიური დღის საღამოს 7 ს. უნივერსიტეტის კლუბში იწვევს მუშკოოპის წევრ სტუდენტთა საერთო კრებას.

კოოპერაცია

◆ **კონკურსი.** ახლო ხანში მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება კონკურსი საუკეთესო მომუშავე კოოპერატივზე.

◆ **საპაიო კამპანია.** ცეკავშირი შეუდგა სამომხმარებლო კოოპერაციაში გადიდებულ საპაიო გადასახადის აკრეფის კამპანიის ჩატარებას. პაი გადიდებულია სოფლად—10 მანეთამდე, ქალაქად—15 მან.

სხვადასხვა

ქლექის დისპანსერის გადატანა

ქლექის დისპანსერი, რომელიც მოთავსებული იყო კლ. ცეტკინის ქუჩაზე გადაიტანა ახალ შენობაში (ბორჯომის ქ. № 10).

◆ **ჩაის ახალი ქარხანა.** „საქართველოს ჩაი“-მ ჩაქვაში ჩაის ახალი ქარხნის ასაგებად გადასდო 400.000 მანეთი.

◆ **რაბინდრანათ თაგორი ქართულად.** რედაქციამ მიიღო რაბინდრანათ თაგორის მინიატურების წიგნი, თარგმნილი ლ. ძიძიგურის მიერ.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სამარიდან—ლომაძეს, აგდამიდან—ტერინს, ტიუმენიდან—მხითარიოვს, მექვენიდან—მაჭაუტაძეს, როსტოვიდან—კვიციკას.

ხელოვნება

პროფ. ა. ეისნერის სურათები

განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა პროფ. ა. ეისნერისაგან, რომელიც ამჟამად ლენინგრადში იმყოფება, მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ჩემს კოლექციაში ამოირჩია 135 ცალი სურათი, რომელიც დახატული მაქვს საქართველოში ყოფნის დროს—30 წლის განმავლობაში.

ამ სურათებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კოლექციის მთლიანობისათვის, რომელიც გასულ წელს თქვენ შეიძინეთ ჩემგან. კოლექციის შესავსებათ და აგრეთვე საქართველოში ჩემი 30 წლის ცხოვრების მანძილზე გატარებულ საუკეთესო დღეების აღსანიშნავად გიგზავნით 135 ცალს სურათს საჩუქრათ“.

პროფ. ა. ეისნერი 30 წელიწადს ცხოვრობდა საქართველოში და მოღვაწეობდა სამხატვრო-სამეცნიერო დარგში. ამ ხნის განმავლობაში პროფ. ეისნერმა თითქმის მთლიანად მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. მოგზაურობის დროს ის ხატავდა არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ძეგლებს და ქართულ ყოფა-ცხოვრებას. მასვე შემოვლილი აქვს ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებიც. 1927 წელს პროფ. ა. ეისნერი საცხოვრებლად გადასახლდა ლენინგრადში. გამგზავრების წინ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა შეიძინა მისი სურათების კოლექცია, რომელშიც შედის 548 ცალი აკვარელით, ფანქრით და ფერადი საღებავებით შესრულებული სურათი.

სურათების ნაწილი წარმოადგენს საქართველოს არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლების ასლს, ნაწილი შეიცავს მხატვრულად შესრულებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებას და ხალხის ცხოვრებას, ტიპებს და სხ. კოლექციაში აგრეთვე მრავლადაა სურათები სომხეთის და აზერბეიჯანის ცხოვრებიდან.

ახალგაზრდა მომღერალთა კოლექტივი

ხელოვნების მუშაკთა კავშირის საშუამავლო ბიუროს ინიციატივით, თბილისში დაარსდა ახალგაზრდა მომღერალთა კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად სახ. კონსერვატორიის მსმენელებია.

კოლექტივის მიზანია სამსახური გაუწიოს თბილისის მუშათა კლუბებს კონცერტებისა და საოპერო წარმოდგენების გამართვის საქმეში. კოლექტივის წევრ ახალგაზრდა მომღერალთა გაწვრთნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საოპერო წარმოდგენათა გამართვის დროს კოლექტივში მოწვეული იქნებიან სახელმწიფო ოპერის კვალიფიციური მომღერლები.

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ სამართველოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა აღნიშნულ კოლექტივისათვის სახელმწიფო ოპერიდან სათანადო დეკორაციების, რეკვიზიტის, კოსტიუმების და ბუტაფორიების მიცემის შესახებ.

ჭიათურის აკადემიურ თეატრში

ჭიათურის აკადემიური თეატრის გამოსვლები დაეტყო. გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში მისი საქმიანობა უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.

თეატრის მუშაობამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც დაიდგა ს. ტრეტიაკოვის პიესა „ღრიალე ჩინეთო“. ორი კვირის განმავლობაში პიესა წავიდა 6-ჯერ, რაც არაჩვეულებრივი მოვლენაა ჭიათურის აკადემიური თეატრის საქმიანობაში.

„ღრიალე ჩინეთო“, დადგა რეჟ. ვ. ფრანგიშვილმა. დეკორაციები დამზადებულია ოსიპენკოს მიერ. ყოველი წარმოდგენა ანშლაგით მიდის. მაყურებელთა უმრავლესობას შეადგენენ მაღაროს მუშები. სამაზრო აღმასკომმა დასი გაიწვია ზესტაფონში „ღრიალე ჩინეთო“-ს დასადგმელად ადგილობრივ გლეხებისათვის.

ამჟამად ჭიათურის აკადემიური თეატრი დასადგმელად ამზადებს გ. ერისთავის „გაყრას“ (ტექსტი გადაკეთებულია და გათანამედროვებულია კ. ზელიაშვილის მიერ) და ბ. ლავრენევის „რღვევა“-ს. ორივე პიესას სდგამს რეჟ. ვ. ფრანგიშვილი. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია და ორივე პრემიერა მზათ იქნება ახლო ხანში.

ჟ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ბარსოვას მესამე გასტროლისათვის** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რომეო და ჯულიეტა“.

◆ **„ორი ჯიბგირი“.** ნაძალადევის მუშათა თეატრში 24 მარტს ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ორი ჯიბგირი“.

◆ **„ბოშის სისხლი“.** ორშაბათიდან თბილისის კინოებში დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის: „ბოშის სისხლის“ ჩვენება.

◆ **მომღერალ ქაშაკაშვილის კონცერტი.** კვირას, 25 მარტს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ ქაშაკაშვილის კონცერტი.

◆ **„კაცი პორტფელით“.** მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ ამ დღეებში წარმოდგენილი იქნება პრემიერა „კაცი პორტფელით“.

◆ **თურქული წარმოდგენა.** რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **საბავშვო წარმოდგენა.** ოპერის თეატრში კვირას, 25 მარტს დილით, გაიმართება საოპერო წარმოდგენა ბავშვებისათვის.

◆ **თარხნიშვილების კონცერტი.** შაბათს, 24 მარტს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება თარხნიშვილების გუნდის დიდი კონცერტი.

სასამართლო

განაჩენი ვაგნერების საქმეზე

თბილისის სამაზრო სასამართლომ დაასრულა ვაგნერების საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, ანა და ევგენი ვაგნერებს მალაკნის ქუჩაზე ჰქონდათ მოწყობილი გარყვნილების ბუდე.

სასამართლომ თვითეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.

კატასტროფა რკინის გზაზე

გასულ წელს, დეკემბერში ძეგვის ხიდთან მომხდარ კატასტროფის გამო, პასუხისგებაში იყო მიცემული მემანქანე პეტრე კრავცოვი და უფროსი კონდუქტორი ივანე ტარანოვი.

საბარგო მატარებელი, რომელიც მიჰყავდა ბათომისაკენ მემანქანე კრავცოვს დიდი გაჭირვებით მიიზლაზნებოდა, რადგან ორთქლმავალს 56 ვაგონი ება და ტვირთის რაოდენობა 73, 00 ფუთს აღწევდა.

ძეგვის ხიდს იქით იწყება აღმართი. ორთქლმავალმა ვერ აიტანა აღმართზე ამოდენა ტვირთი, და გაჩერდა!

ასეთ შემთხვევებში, როგორც ინსტრუქცია ლაპარაკობს, მემანქანე ვალდებულია ნაწილ-ნაწილად აზიდოს ვაგონები აღმართში, თუ ეს შესაძლებელია. თუ არა და—დამხმარე ორთქლმავალს დაუცადოს.

მემანქანემ და უფროსმა კონდუქტორმა ინსტრუქცია განზე მიაგდეს და ერთმანეთთან შეთანხმებით უკან დაახევიეს მატარებელს იმ მიზნით, რომ შემდეგ ერთბაშათ გაექანებიათ მატარებელი და აღმართზე აეყვანეთ.

მატარებელი დაექანა უკან კისრის-ტეხით და მალე ისევ მოაბრა აღმართს, მაგრამ ამ დროს ჯაჭვმა ვერ გაუძლო და მატარებელი გაწყდა.

მოწყვეტილი უკანა ნაწილი წავიდა უკან, მაგრამ იქაც აღმართი დაუხვდა და ისევ დაღმართისაკენ დაეშვა.

ვერც მოწყვეტილი წინა ნაწილი ვერ აიტანა აღმართზე ორთქლმავალმა და ისიც ქვევით დაეშვა. უკან გამობრუნებული ნაწილები ერთმანეთს დაეჯახნენ და დაიმსხვრნენ. დაჯახებამ შეიწირა ერთი კაცის სიცოცხლე და დიდი ზარალი მიაყენა რკინის გზას.

სასამართლომ მემანქანე კრავცოვს და უფროს კონდუქტორს ტარანოვს მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

კრავცოვს უფლება არ აქვს ერთი წლის განმავლობაში მემანქანის თანამდებობა დაიკავოს.

აფლანგვა თბილისის სამხედრო კომისარიატში

სამხედრო ტრიბუნალში ირჩეოდა მოქ. არჩილ ბაქრაძის და მინდელის საქმე.

არჩილ ბაქრაძე მსახურობდა თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში მოლარის და ნახევრად საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე. ჯამაგირებს ის ურიგებდა მოსამსახურეებს.

საბრალდებლო დასკვნის მიხედვით ბაქრაძეს გაუფლანგავს 1300 მანეთი, ხოლო მინდელს, რომელიც გადამწერის თანამდებობას ასრულებდა,—400 მანეთი.

ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

როგორ გაჰყინეს მგზავრები

სადგურ ქსანში ბარებელ მგზავრებს თავი მოუყრია. საშინელი ამინდია. გარეთ ჰქრის და სთოვს.

ხალხი მატარებელს უცდის, მაგრამ მატარებელი არსად სჩანს. აშკარაა, სადმე ზვავი ჩამოწვა. ვინ იცის, როდის გაიწმინდება გზა.

სადგურის დარბაზში ისე ცივა, როგორც საყინულეში. პატარა ბავშვები მოკრუნჩხულან სიცივისაგან და დედებს შესტირიან, თითქოს მათი ბრალი იყოს, რომ დარბაზში სითბო არ არის.

— დავიხოცებით, გვიშველეთ რამე! მატარებელი, როგორც სჩანს, ვეღარ დაიძვრება ასეთ ამინდში. გაგვითბეთ დარბაზი. ბავშვები გაიყინენ!—ემუდარებიან ქალები სადგურის მორიგეს, რომელიც პასუხის მაგიერ კარებს ჩაიკეტავს თავის თბილ ოთახში.

ამ დროს დარბაზში შემოდის დუშეთის მაზრის სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. თენეიშვილი, რომელიც ხედავს ასეთ სურათს, ხალხის ჩოჩქოლს, ბავშვების ტირილს.

ამხ. თენეიშვილს სურს გამოარკვიოს, აქვს თუ არა სადგურს სათბობი მასალა, რომ ხალხი გადაარჩინონ გაყინვისაგან.

თენეიშვილმა შეაღო სადგურის მორიგეს ოთახი, რომელიც აბანოსავით გამთბარი იყო..

ღუმელთან მიმჯდარიყო ერთი რკინის გზელი, რომელიც ჰყრიდა და ჰყრიდა ისედაც გავარვარებულ ღუმელში შეშას.

— სად არის მორიგე?—კითხულობს ამხ. თენეიშვილი.

— მორიგეს არ სცალია,—არის პასუხი.

— გვარი გვითხარით,—ეკითხება თენეიშვილი.

— არ ვიცი გვარი, რომ ვიცოდე, მე რატომ უნდა გითხრა, მას ჰკითხე, აგერ არის წამოწოლილი.

ამ დროს გამოიღვიძა ტკბილად და თბილად ჩაძინებულმა მორიგემ და ლოგინიდან გადმოიძახა:

— ვინ არის, რომ „მუშაობაზე“ ხელს გვიშლის, გავიდეს აქედან! თუ ხელები გაეყინა გაითბოს ცეცხლზე და მალე დასცალოს ოთახი!

— ამხანაგო, ხალხი სიცივისაგან იხოცება, მე მინდა გამოვარკვიო, გაქვთ თუ არა სათბობი მასალა, რომ ხალხს ცეცხლი დაუნთოთ დარბაზში!—ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე.

— მოცლილი ხარ შენ, ვიღაცა ხარ! დაჯექი მანდ და თუ გინდა ცეცხლი გაითბე! რა შენი საქმეა, ვინ გეკითხება „ბალი ათი შაური და სამი აბაზი“. ხალხს თუ აჰყევი, კარგად წავა ჩემი საქმე.

მორიგე გადაბრუნდა და ამოუშვა ხვრინვა.

ამხ. თენეიშვილმა გამოიძახა სათანადო ორგანოს წარმომადგენლები, შეადგინა ოქმი და საქმე გადუგზავნა დუშეთის მაზრის პროკურორს.

მგზავრების გაყინვისათვის სადგურის მორიგე მიცემულია პასუხისგებაში და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

მერ.

მიხ. პაიჭაძე უდანაშაულოა

(„არტო“-ში მომხდარ ბოროტმოქმედების გარშემო)

სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების კლუბ „არტო“-ში მომხდარ ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაიდინეს გ. სიხარულიძემ, და კ. ცოტაძემ, როგორც ვსწერდით. პასუხისგებაში იყო მიცემული მოქ. მიხეილ ვარდენისძე პაიჭაძე. საგამომძიებლო ორგანოებმა უდანაშაულოდ სცნეს მიხეილ პაიჭაძე და მოხსნეს მას ყოველგვარი ბრალდება.

მგლების თარეში

თბილისში მიღებული ცნობებით, საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გამოჩნდნენ მგლები.

21 მარტს, ღამის 12 საათზე, თიანეთში მცხოვრებ ლ. გონჯილაშვილის სახლის ერთ ოთახში ფანჯრიდან შევარდა მგელი, რომელიც იქვე მოჰკლეს.

გუშინ წინ ღამით მგლები თბ. შემოიჭრენ ალმისიონის ქუჩაზე (საბურთალო) მგლების ხროვა თავს დაესხა მეურმე გლეხს, რომელმაც თავი გადაირჩინა ხეზე ასვლით.

ელექტროსადგური
ნატახტარში

ნატახტარში, სადაც სწარმოებს ახალი წყალსადენის გასაყვანი სამუშაოები, დასრულდა დიზელიან ელექტრო-სადგურის მოწყობა. სადგური 150 ცხ. ძალისაა და ენერგიას აწოდებს დიდი ჰაერულილების ამოსაღებ მანქანებს

ნატახტარის სამუშაოებზე ამჟამად მუშაობს 132 მუშა.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინ, დილით ტყავ-ტრესტის შესახვევში (სახლი № 3 პირდაპირ) გამვლელმა პირებმა აღმოაჩინეს მოკლული კაცის გვამი. მკვლელობის შესახებ ცნობის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, მორიგე გამომძიებელი ი. ფოთოლაშვილი და სასამართლოს ექიმი.

გვამი პირქვე ჩაგდებული იყო დიდ ტალახში. დაახლოვებით 10 ფეხის ნაბიჯზე ეგდო კალოშები და სხვადასხვა საბუთები. მოკლულის ტანისამოსზე ბლომად იყო სისხლის წვეთები.

მოკლული აღმოჩნდა 27 წლის იგორ იოსების ძე გუგუშვილი (მცხ. გრიბოედოვის ქ. № 15).

მოკლულს აქვს რამოდენიმე ჭრილობა ხანჯლით და დანით—თავზე, სახეზე და მუცელში.

თუ როგორ და რა პირობებში მოხდა მკვლელობა, ეს ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მხოლოდ წინასწარი გამოძიება ცხადჰყოფს, რომ მკვლელობა მოხდა 21 მარტს, ღამით.

გუგუშვილი მსახურობდა ქალაქის აღმასკომის გაერთიანებულ საბავშო სახლში და მკვლელობის ღამეს სამსახურიდან ბრუნდებოდა სახლში.

მკვლელებს ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით გვამი ჩაუგდიათ დიდ ტალახში.

ფიქრობენ, რომ მკვლელობა ჩადენილია ძარცვის მიზნით.

დღეს ექიმ-ექსპერტი მოახდენს გვამის გაკვეთას. გამოძიება გრძელდება.

ქურდობა ზოოლოგიურ ბაღში

უკანასკნელ ხანებში ზოოლოგიურ ბაღიდან სისტემატიურად იკარგებოდა კარები და ფანჯრის ჩარჩოები. ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა ვიღაც იაკობ სიმონის ძე გომიკაციძე. ქურდი დაპატიმრებულია.

ჯიბგირი ტრამვაიში

გუშინ დილით შალვა ქუთათელაძეს წყნეთის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონში გრიშ კარაპეტის ძე ენგიბარიანცმა ჯიბიდან ამოაცალა 16 მანეთი. ჯიბგირი დაპატიმრებულია.

ქურდის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა რატი არუთინის ძე არუთინოვი, რომელსაც აქვს ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

ფიზკულტურა

რამდენი კაცია ჩაბმული ფიზკულტურის წრეებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიურომ ამ დღეებში შეადგინა ნუსხა თბილისის მუშათა კლუბებთან არსებულ ფიზკულტურის წრეებისა და მასში ჩაბმულ პროფკავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ.

აღნიშნულ ნუსხის თანახმად მთელ თბილისში ამჟამად ითვლება 185 საკლუბო ფიზკულტურის წრე, რომელთა საქმიანობაში ჩაბმულია სულ 3.719 კაცი. (რკინის გზელთა ფიზკულტურის წრეების გარდა). წრეებს შორის უმრავლესობა მოდის ჭადრაკზე. მთელ ქალაქში არსებობს 44 საჭადრაკო წრე, რომელიც აერთიანებს 867 მოჭადრაკეს (რკინის გზელთა გარდა). შემდეგი ადგილი უკავია ძალოსანთა და ძლეოსანთა წრეებს, რომელთა რაოდენობა ამჟამად აღწევს 36-დე. გასული წლის სექტემბერში ამდენივე იყო საკლუბო სასროლო წრეების რაოდენობაც, მაგრამ იგი ამჟამად შემცირდა 18-დე. სასროლო წრეებში სულ ჩაბმულია 858 კაცი. მთელ ქალაქში ამჟამად არსებობს 33 ფეხბურთელთა გუნდი; გუნდების რიცხვი თანდათან გაიზრდება საგაზაფხულო სპორტის დაწყების შემდეგ, ფეხბურთელთა გუნდებში სულ ირიცხება 463 კაცი. თბილისში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კალათბურთის განვითარებას. მთელ ქალაქში ირიცხება 47 კალათბურთის წრე, რომლებშიაც მოვარჯიშეთა რაოდენობა აღწევს 284 კაცს. მათი უმრავლესობა ქალებია.

აღნიშნულ ნუსხასთან ერთად ფიზკულტურის ბიურომ შეადგინა აგრეთვე ცნობა პროვინციაში არსებულ ფიზკულტურის წრეების შესახებ. მათი უკანასკნელი აღრიცხვის თანახმად პროვინციაში ამჟამად არსებობს 218 ფიზკულტურის წრე, რომლებიც აერთიანებს 3.647 კაცს. წრეების შორის ძალოსანთა და ძლეოსანთა წრეა—87,—აერთიანებს 2157 კაცს. ფეხბურთელთა გუნდია—42, სასროლო წრეა—10, კალათ-ბურთის—59, ხოლო ჭადრაკის წრეა—22. პროვინციის ფიზკულტურის წრეებს შორის განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა ეტყობათ. ქ. ბათომისა და ქუთაისის ფიზკულტურის წრეებს. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სამტრედიის, ხონის, ფოთის, სენაკის და ხაშურის ფიზკულტურის წრეებში.

ამრიგად, ზემო მოყვანილი ნუსხის მიხედვით მთელ საქართველოში ამჟამად მარტო პროფკავშირების ხაზით ფიზკულტურის წრეების საქმიანობაში ჩაბმულია სულ 7.366 კაცი. ამაში არ შედის რკინის გზელთა, წითელ არმიისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და მუშფაკების ფიზკულტურის წრეები, რომლებსაც საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ საქართველოს საფიზკულტურო აღმშენებლობაში.

ვ.

ამერიკელი ინჟინერის ახალი გამოგონება
„კაცი-მანქანა“

როგორც ლონდონის გაზეთები გადმოგვცემენ, ერთ ამერიკელ ინჟინერს „ელექტრიკ ჯენერალ კომპანი“-დან, რ. ჯ. ვენსლეის, გამოუგონია „კაცი-მანქანა“, რომელიც ადამიანის სიტყვიერი ბრძანების გარკვეული წესით (რასაც გამომგონი „ტელევოქს“-ს უწოდებს) მოძრაობაში მოდის და ასრულებს რთულ დავალებებსაც. გამომგონმა მოახდინა თვისი ახალი „მანქანა-კაცის“ ცდა ნიუ-იორკის „ლეველ-კლუბში“ წარსული თებერვლის 28-ს. გამომგონის ყოველ გარკვეულ ხმაზე მანქანა იცვლიდა ხელების მდგომარეობას და ნაბიჯების მიმართულებას.

სურათი წარმოადგენს ამ ახალ მანქანას და მის გამომგონს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 4

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებულ სანოტარო ქვეგანყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებული სანოტარო ქვეგანყოფილების შემდეგი დებულება.

2. გაუქმებულ იქნეს სანოტარო განყოფილებანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოებთან. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილი ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების სანოტარო არქივი გადაეცეს ქალ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კონტორას, ხოლო დასავლეთ საქართველოს ყოფილი ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების სანოტარო არქივი ქალ. ქუთაისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კონტორას.

3. ამა დადგენილებით დამტკიცებული დებულების სამოქმედო შემოღების ვადასა და განხორციელების წესს განსაზღვრავს იუსტიციის სახ. კომისარი.

4. დაევალოს იუსტიციის სახ. კომისარს შემუშაოს და წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დადგენილების პროექტი იმ ცვლილებათა შესახებ, რაც, ამა დებულების შემოღების გამო შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს წყობილების. დებულებასა და იუსტიციის სახ. კომისარიატის დებულებაში.

დებულება

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებული სანოტარო ქვეგანყოფილების შესახებ.

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილების და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებობს სანოტარო ქვეგანყოფილება, რომელსაც უშუალოდ განაგებს ამ ქვეგანყოფილების გამგე.

2. სანოტარო ქვეგანყოფილებას დაეკისრება:

ა) სანოტარო დაწესებულებათა ორგანიზაცია და მათი მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) წინასწარი შემუშავება საკანონმდებლო აქტებისა, ინსტრუქციებისა, ცირკულიარებისა და განმარტებათა პროექტებისა იმ საკითხების გამო, რაც ნოტარიატს ეხება;

გ) ზედამხედველობა სანოტარო დაწესებულებათა მოქმედებისათვის და ნოტარიატის მომუშავეთა აღნუსხვა;

დ) სანოტარო ორგანოების, მათ შორის სანოტარო მოქმედების აღმასრულებელი სახალხო მოსამართლეებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების რევიზია და ამ ორგანოებისათვის ინსტრუქტიობის გაწევა;

ე) სანოტარო დაწესებულებათა მუშაობის წარმართვა საფინანსო, საბუხჰალტრო, სახარჯთაღრიცხვო და საანგარიშგებო დარგში, საერთო საფუძველზე, კერძოდ-კი ა) ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა სანოტარო დაწესებულებათა შემოსავლისა და გასავლისათვის და ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის; ბ) შემოსავალ-გასავლის აღნუსხვა, გ) ინსტრუქციების და ცირკულიარებისა შედგენა და განმარტებათა მიცემა ისეთ საკითხებზე, რაც საფინანსო მოქმედებას შეეხება.

ვ) ხელმძღვანელობის გაწევა სანოტარო დაწესებულებათა მუშაობისათვის სტატისტიკის დარგში;

ზ) სანოტარო დაწესებულების მიერ დამოწმებული და საზღვარგარეთ გასატანი დოკუმენტებისათვის ვიზის გაკეთება.

3. ქვეგანყოფილების ბუხჰალტერიას დაეკისრება ყველა იმ საკითხის შემუშავება, რაც კი სანოტარო დაწესებულებათა საფინანსო სახარჯთაღრიცხვო, საანგარიშო და საბუხჰალტრო ნაწილს შეეხება; შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვათა შედგენა, ფულის ანგარიშების სისტემატიზაცია და შეჯამება; შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეესაბამება სანოტარო დაწესებულების ხარჯთ-აღრიცხვა ტიპიურ ნორმას; სანოტარო დაწესებულებისათვის ინსტრუქტიობის გაწევა საფინანსო და საანგარიშო საკითხებში და ქვეგანყოფილების საფინანსო-საანგარიშო ნაწილის გამგებლობა.

4. სანოტარო ქვეგანყოფილების შენახვისათვის საჭირო ხარჯი უნდა დაიფაროს სანოტარო დაწესებულებაში სანოტარო მოქმედებისა და ტეხნიკური მუშაობისათვის შემოსული გამოსაღებით (გარდა იმ გამოსაღებისა, რაც სათემო აღმასრულებელ კომიტეტში შევა). ეს გამოსაღები შეადგენს იუსტიციის სახ. კომისარიატის სპეციალური სახსარს ქვეგანყოფილების ხარჯთაღრიცხვა, ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით, დამტკიცებულ იქნება იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ და წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. ქვეგანყოფილებას აქვს თავისი სახელდახელო ანგარიში ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროებში და სახელმწიფო ბანკში. ყველა სანოტარო განყოფილება, რომელიც ქ. თბილისის გარე იმყოფება, მოვალეა ყოველთვე არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5-ს რიცხვისა, შეიტანოს ქვეგანყოფილების სახელდახელო ანგარიშზე ის თანხა, რაც კი დარჩება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ყველა ხარჯის გასტუმრებისა და უახლოეს თვისათვის საჭირო ავანსების თავის სახელდახელო ანგარიშზე გადარიცხვის შემდეგ; ხოლო ქ. თბილისის სანოტარო დაწესებულებანი, რომელთა შენახვისათვისაც საჭირო ხარჯებს სანოტარო ქვეგანყოფილება იწევა, შემოსულ სანოტარო გამოსაღებს, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, შეიტანენ უშუალოდ ქვეგანყოფილების სალაროში.

6. ნოტარიატის სპეციალური სახსარის განმკარგულებელი იუსტიციის სახ. კომისარია; ხოლო ხარჯებს დამტკიცებული საკვარტალო გეგმის ფარგლებში ეწევა სანოტარო ქვეგანყოფილების გამგე.

7. კვარტალის დამლევს დარჩენილი თანხა, იმ ავანსების გამოკლებით, რაც კი დასჭირდება ხარჯების დაფარვას შემდეგი კვარტალის განმავლობაში, გადაირიცხება ხაზინის შემოსავლად. წლიური ხარჯთაღრიცხვის გასავალს გაანაწილებს კვარტალებზე იუსტიციის სახ. კომისარიატი ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
შ. მათიკაშვილი.

1928 წ. იანვრის 10.
თბილისი—სასახლე.

ნარევი

პიზის კოშკი იქცევა

იტალიაში არის ძველი ქალაქი პიზა, რომელიც ცნობილია ასეთივე ძველი კოშკით. ამ კოშკის აგება დაიწყეს 1.174 წ. და დაასრულეს 1.350 წ. ამრიგად კოშკს „წლოვანება“ 578 წ. უდრის. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს კოშკი უკვე მრავალი ათეული წელია, რაც წაფერდებულია. რასაკვირველია, აშენების დროს ის ასეთ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში მიწისქვეშა წყლებმა კოშკის საძირკველს ნიადაგი გამოაცალა და კოშკი თანდათანობით იხრებოდა. უკანასკნელ ხანებში კოშკის დახრამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ყოველწლიურად კოშკის თავი ორი მილიმეტრით იხრება. 1927 წ. ეს დახრილობა ხუთ მეტრს უდრიდა. ვინაიდან ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული ამ ისტორიულ ძეგლს დანგრევა მოელის. პიზის მუნიციპალიტეტმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ღონისძიებების გამომუშავება კოშკის გადასარჩენათ. კომისიამ საჭიროთ აღიარა კოშკის საძირკვლის ქვეშ წარმოშობილ სიცარიელეთა გავსება ცემენტით ნიადაგის გასამაგრებლად. პარიზის სამეცნიერო აკადემიის წევრმა ხუროთმოძღვარმა ემხომ მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიება უნაყოფოა. თავის მხრივ ემხომ წარმოადგინა პროექტი, რომლის განხორციელება შესაძლებლად ხდის კოშკის დაცვას მის ახლანდელ მდგომარეობაში. ემხი წინადადებას იძლევა, რომ ნიადაგი კოშკის ქვეშ ხელოვნურად იქნეს გაყინული მარილის ხსნარის საშუალებით. ნიადაგის დასაცავად ასეთ გაყინულ მდგომარეობაში კოშკის ახლო მოწყობილი იქნება განსაკუთრებული შენობა, საიდანაც მარილის ხსნარი მილებით წავა ნიადაგში. ნიადაგის გაყინვის შემდეგ კოშკის დახრა თავისთავად შეწყდება და შესაძლებელი გახდება კოშკის საძირკვლის დეტალურად გამოკვლევა უფრო საიმედო ღონისძიებათა მისაღებათ.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 23 მარტი

დღეს, 23 მარტს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ავიაქიმის მოხსენება: ტექნიკის როლი მომავალ ომებში—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

მოხსენება: როგორ გაჩნდა ქრისტიანობა—რუსულ ენაზე.

ჯანსახკომის მოხსენება: დედობის დაცვის საკითხები—თურქულ ენაზე.

მოხსენება „რამაზანის“ შესახებ—თურქულ ენაზე.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ოპერა „რომეო და ჯულიეტა“-ს ტრანსლიაცია.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

იურიდიული დახმარება

მელითონეთა კავშირის წევრს ფ. [illegible]

[illegible]

ცხრა წლის წინად გარდაიცვალა ჩემი ბიძა და სამი თვის შემდეგ კი მისი მეუღლეც. მათ დარჩათ მცირე წლოვანი ობლები, რომელთაც მეურვედ დაინიშნა ჩემი მამა. ობლებს, რომლებიც ჩვენ ოჯახში შემოვიდნენ ჰქონდათ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება. მამა ჩემის ოჯახსაც ჰქონდა ასეთი ქონება, მამიჩემის შრომით შეძენილი, ობლების შემოყვანის შემდეგ მეც შევიძინე საოჯახო მოწყობილობა. ობლებს შორის ერთი ამჟამად სრულწლოვანია, მეორე კი ისევ არასრულწლოვანი. გეკითხებით; 1) როგორი წესით უნდა გაინთავისუფლოს თავი მამამ მეურვის მოვალეობისაგან და როგორი წესით ჩააბაროს ანგარიში. 2) შეუძლიათ თუ არა ძმის წულებს მოითხოვონ წილი მამის და ჩემ მიერ შეძენილი ქონებიდან, 3) როდესაც მცირეწლოვანი ობლის მზრუნველობისაგან იქნება განთავისუფლებული მამა, და მიუხედავათ ამისა ის და მისი სრულწლოვანი ძმა მოისურვებენ კვლავ ოჯახში დარჩენას, რა უფლებებით შეუძლიათ ისარგებლონ?

პასუხი:

რადგან სოფლად გაქვთ მეურნეობა და თქვენ ოჯახში თქვენი ბიძის ობლები შედიან როგორც ოჯახის წევრები, ისინი თქვენი კომლის წევრად ითვლებიან. ასეთ პირობაში ყველა ის ქონება, რაც ობლებს დარჩა მშობლების სიკვდილის შემდეგ, და აგრეთვე თქვენი მამის ქონება და თქვენ მიერ შეძენილიც შეადგენს კომლის ქონებას, თუ კი ეს ქონება ისეთია, რომ თქვენ პირად ქონებას არ წარმოადგენს, ე. ი. ისეთ ქონებას, რაც თქვენ მიერ შეძენილია და მასთან იყო და არის თქვენს პირად სარგებლობაში (პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებელი ქონება. და არა სამეურნეო მნიშვნელობის ქონება). ამასთან დაკავშირებით სწყდება მეორე საკითხი, რა უფლებებით შეუძლიათ ობლებს ისარგებლონ. ობლები კომლის წევრად ითვლებიან და მათ აქვთ ყველა ის უფლება, რაც კომლის წევრს ეკუთვნის, მათ შორის გაყოფის მოთხოვნის უფლებაც. რაც შეეხება მეურვეობას, ასეთისაგან მამა თქვენს შეუძლია თავი გაინთავისუფლოს, ხოლო თქვენი მამის, როგორც მეურვის მიერ ანგარიშის ჩაბარება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვან კომლის წევრს ჰქონდა კომლში პირადი ქონება.

პარტიული კალენდარი

სახ. უნ. აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს 23 მარტს საღამოს 5 საათზე მოწვეულია უჯრედის მორიგი კრება. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 24 მარტს, სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ჯორჯაძის ქ. № 4) საქ. საექსკურსიო ტურისტულ ბიუროს აუდიტორიაში გიორგი ნიორაძე წაიკითხავს მოხსენებას: „არქეოლოგია მხარეთმცოდნეობაში“. დასაწყისი საღ. 7 საათზე. შესვლა თავისუფალია.

---

17 მარტს ამა 1928 წელს, სოფელ კოტიანეთში (სენაკის მაზრაში) ხანგრძლივი მძიმე ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა ღარიბი გლეხის შვილი პარტიის წევრი (კანდიდატი)

ამხ. მელიტონ გიორგის ძე

ფაჩუაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება იქვე 24 მარტს, შაბათს, 16 საათზე, რასაც აცნობებენ ამხანაგ-მეგობრებსა და ნათესავებს გულდათუთქულნი: დედა თეკლე (მაკრინე), მამა გიორგი, ძმა [illegible], დები ფილოდო, ია, ანეტა, მარგარიტა, მაშიკო და ოლია და რძალი მაშო ფაჩუაშვილები. 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელიზაბედ გრიგოლის ასული, შვილებით: გრიშა, შოთა, თინა და კოტიკა ფხაკაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 25 მარტს შუადღის 12 საათზე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე გადახდილი იქნება მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დამსახურებული პედაგოგის

მიტროფანე ფილიპეს ძე

ფხაკაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. 1888

ღრმად დამწუხრებულნი შვილები; მათე, ბარბარე, ეკატერინე, მარიამი, სოფიო, ნინა ქმრებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ დედის

მატრონა (ოლღა) ჭანიაშვილის

უდროოდ დაკარგვას, პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 23 მარტს, დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან კობის ქ. № 23 1882

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ტერეზია მოსეს ასული, შვილები: გიორგი, ეკატერინა, ოლია, ლიპა, რძალი: ნინა, სიძეები ვლადიმერ კახიანი, შალვა კოპალეიშვილი, შვილიშვილები: ვერა, ნადია, თინიკო მიქაძეები, დიომიდე, მელიტო, შალვა, ლავრენტი თოფურიები, ნინა, თამარა, ვარიჩკა, ვახტუ კახიანები, თავისი ახლო ნათესავებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი ქმრის, მამის და ბაბუას

ზურაბ ნიკოლოზის ძე მიქაძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად 24 მარტს, შაბათს ნაშუადღევის 3 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი კულაშის თემის ჯვარცხმის სასაფლაოზე. ნ. 811

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 23 მარტს,
მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერის
ვალერია ვლადიმერის ასულ ბარსოვას
მე-3 გასტროლი **რომეო და ჯულიეტა**
ოპერა 5 მოქმედებად. მუსიკა გუნოსი.
ანონსი: შაბათს 24 მარტს, დ. დ. გოლოვინის მე-3 გასტროლი **დემონი.**
ნ. 812

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო	**„განკიცხულნი“**	გ. ჰიუგოს რომანის მიხედვით უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო	**„ნიბელუნგები“**	უკანასკნელი 3 და 4 სერია ერთად
სოლეი	გლორია სვენსონი ორიგინალურ კომედიაში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**	
დარბაზი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 4 სერიათ **აფრიკის ქალიშვილი**	1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	უკრაინის ფოტო-კინოს ფილმი **ბელვედერის ჩრდილები**	
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 2 სერიათ **უშიშარი ამერიკელი**	1 და 2 სერია ერთად

ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь“ 0—18

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დ. დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 26 მარტს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 50-ში პლეხანოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსი ბანიტაშვილის მოძრავ ქონებას: დახლს (апок), ვენტილიატორს, დოლიმბერ-ს მოტორს, ბორმაშინას და სხვ. შეფასებულს 260 მანეთად, მელითონეთა კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 3 და 6 თებერვლის 1928 წ. თარიღით, № 275 და 309 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 812

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

კინო „სოლეი“
დღეს და ყოველდღე
გლორია სვენსონი
ორიგინალურ კომედიაში
„რა საჭიროა ცოლის გამოცვლა“
სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ლოტბარობით
I სეანსის დასაწყისი 7 საათზე. ნ. 813

თბილისის კომუნალური წყალსადენი
26 ამა მარტიდან შეუდგება თავის აბონენტების სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა
ახალ რეგისტრაციას,
რისთვისაც აბონენტები ვალდებულნი არიან მოაწესრიგონ შეღავათების მისაღებად საჭირო წიგნ საბუთები ისე, რომ გამოძახების დღეს წარმოადგინონ ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში წყალზე შეღავათები არ მიეცემათ. რეგისტრაციაზე გამოცხადების დრო და წესი აბონენტებს ეცნობება სათანადო უწყებით, რასაც ისინი მიიღებენ სახლებში.
ნ. 810. დირექცია.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ჩიჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებში მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ხოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—0

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა. ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ვ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 – საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელინსკის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—2

დაკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 26393, გაცემული დუშეთის მაზრის კავშირიდან, ბესარიონ შოშიძე კაიშაურის სახელზე ჩ. გ. 1891

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 13507 პეტრე ლილიცის სახელზე, ჩ. გ. 890

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 476ა [illegible] ძე ბალიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 989

პოლიგრაფტრესტის მე-4-ე სტამბა, კამოს ქ. № 68